პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 ივნისი შაბათი 2013
№151 (14 067) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაზოგეთ 40 000!

ფედერაციამ კლუბები საწევროსგან გაათავისუფლა

ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა 2

# შენგელია ბოსტონში
# ჰო, თუ არა?

პასუხისთვის 10 ივლისს უნდა დაველოდოთ




10

# ლევან ყენია დიუსელდორფშია!

**ლევანმა სამედიცინო შემოწმება წარმატებით გაიარა და ფორტუნასთან კონტრაქტს აფორმებს**

გერმანული გაზეთის, „რაინიშე პოსტის“ ინფორმაციით, ლევან ყენიამ გუშინ დიუსელდორფის „ფორტუნაში“ სამედიცინო შემონმება ნარმატებით გაიარა და შესაძლოა, უკვე კონტრაქტიც გაფორმებული ჰქონდეს - ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, 22 წლის ქართველი ნახევარმცველის დიუსელდორფულ კლუბში ჩარიცხვა გადანყვეტილი ამბავია. ხსენებული გაზეთი იმასაც ნერს, რომ „ფორტუნა“ ლვოვის „კარპატის“ ყენიას სანაცვლოდ 300 000 ევროს გადაუხდის. ალსანიშნავია, რომ ლევანის ტრანსფერი შარშან უკრაინულ კლუბსაც 300 000 დაუჯდა. ყენია მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებული „ფორტუნასთვის“ რიგით მეექვსე შენაძენია. დიუსელდორფული კლუბის მთავარი მწვრთნელი ახლა მაიკ ბიუსკენსია, რომელიც ადრე „შალკეში“ მუშაობდა და ყენიას იცნობს.

გოტფრიდ ლენცი




# ვისიამოვნოთ დიდი ფეხბურთით

## ნანატრი ფინალი: ბრაზილია-ესპანეთი







9

# კოკაია გეგუჩაძეს: დაბრუნდი!

ზესტაფონის პრეზიდენტმა ამბიციის გემო გაიხსენა



3

სტუმარი

# ერთი ტაიმი ლელოს რედაქციაში გელა კეტაშვილთან ერთად

2-3



ფეხბურთის ფედერაციის ყრილობა

# ფედერაციამ კლუბებს 40 000 დაუზოგა

## კუტივაძე და ფიფია აღმასკომში

გუშინ თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის XXII ყრილობა გაიმართა. დღის წესრიგში ათი საკითხი იყო.

როგორც ყოველთვის, ყრილობა ჟურნალისტებისთვის დახურეს, მხოლოდ პირველი თხუთმეტი წუთი დავესწარით ამ ღონისძიებას.

გუშინდელი ყრილობისთვის თბილისში ჩამოვიდა უეფას აღმასკომის სლოვაკი წევრი **ფრანტიშეკ ლაურინეცი.** ყრილობის დაწყებამდე ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რევაზ არველაძემ** დარბაზში შეკრებილთ სთხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ რამაზ შენგელიას ხსოვნისთვის.

35 დელეგატიდან ყრილობას 32 დაესწრო. დაიწყო თუ არა სამუშაო პროცესი, დელეგატებიდან ყველაზე უფრო მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტი **ფრიდონ ინჯია** აქტიურობდა, რომელმაც იმაზეც დაიჩივლა, დელეგატებს მაგიდა რატომ არ დაგვიდგით, მუხლებზე ხომ არ უნდა ვწეროთო. საგანგებოდ ინჯიასთვის მაგიდა მალე მოიტანეს და იმის დროც დადგა, რომ ჟურნალისტებს დარბაზი დაგვეტოვებინა.

სასტუმროს წინ კი „ზესტაფონის“ ასამდე ქომაგი შეიკრიბა. მოგეხსენებათ, კლუბი გაურკვევლობაშია, ჯერაც უცნობია, თუ ვინ და როგორ უპატრონებს „ზესტაფონს“. ცხადია, გულშემატკივრები ამ ყველაფრით შეწუხებულები არიან. რუპორი და დროშები - გუნდის ქომაგებს არც ეს აკლდათ.

ყრილობის დასრულების შემდეგ პრესკონფერენცია გაიმართა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა,** გენმდივანი რევაზ არველაძე და ფრანტიშეკ ლაურინეცი - მასმედიის წინაში ისინი დარჩნენ.

ყრილობაზე გადაწყდა, რომ უმაღლესი ლიგის კლუბებს აღარ მოუწევთ სამონაწილეო 40 000 ლარის გადახდა. ეს მართლაც მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება ბევრი კლუბისთვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთის ფედერაციას ხარჯი დაეზოგება, ეროვნული ჩემპიონატის თუ თასისი გათამაშების მატჩების ორგანიზება ხომ გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.



ზვიად სიჭინავა

ყრილობაზე ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ორი ახალი წევრი აირჩიეს - ვეტერანი ფეხბურთელი და ყოფილი მწვრთნელი **სერგო კუტივაძე** და „დინამო თბილისის“ პრეზიდენტი **რომან ფიფია.**

პრესკონფერენეციაზე არველაძემ აღნიშნა, რომ აღმასკომში კლუბების წარმომადგენელთა რიცხვის კიდევ გაზრდაც შესაძლებელია.

ფეხბურთის ფედერაციის წლიური ბიუჯეტი შემცირდება. შარშან 13 800 000 ლარი თუ იყო, წლეულს 7 000 000 ლარი იქნება - ასეთი ინფორმაციაც მოვისმინეთ.

რაც შეეხება რიგგარეშე ყრილობის მოწვევის შესაძლებლობას, ამას ყრილობის დელეგატთა 2/3 -ის თანხმობა დასჭირდება. ყრილობის დელეგატთა რაოდენობის გაზრდაზე ლაპარაკი კი არ ყოფილა.

პრესკონფერენეციის დასრულების შემდეგ დარბაზში „ზესტაფონის“ მხარდამჭერები შემოვიდნენ, მათ ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა შეხვდა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი 10 აგვისტოს დაიწყება და იმ სტადიონებზე აღარ გაიმართება მატჩები, რომლებიც სათანადო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ - გუშინდელ ყრილობაზე ამაზეც შეთანხმდნენ. ჩემპიონატის საპრიზო ფონდი კი ისევ ერთი მილიონი ლარი იქნება.

**დავით თავართქილაძე**

# რევაზ არველაძე: ფედერაცია სახელმწიფოს ფულს არ უნდა შეეხოს



რევაზ არველაძე

არსებობს თუ არა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, ან თუ მიმდინარეობს მასზე მუშაობა, რა სტადიაშია სახელმწიფოსა და ფეხბურთის ურთიერთობა?

საზოგადოებაში ეს კითხვები ყოველდღიურად გაისმის, მაგრამ პასუხი უცნობია. ამის შესახებ კომენტარი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს, **რევაზ არველაძეს** ჩამოვართვით.

*"სახელმწიფო მონადინებულია, რომ ფეხბურთს დაეხმაროს. მაგრამ ზერელედ ამაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა უნდა იყოს გააზრებული, დროში გაწერილი, დავითვალოთ თითოეული თეთრი, კლუბებისა და ფედერაციის ვალდებულებები. პროგრამა სერიოზული განხილვის შემდეგ უნდა მივიღოთ. აქ სიჩქარე გაუმართლებელი იქნება, დღეს გვინდა და ხვალ დავამტკიცოთ, საქმე ასე არ გამოვა.*

*მაგრამ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ მინდა ვთქვა: თუ სახელმწიფო კლუბებს დააფინანსებს, აქ ფედერაცია არ უნდა მონაწილეობდეს არც თანხის გამტარის და არც სხვა როლში. ოღონდ, კლუბებმა უნდა აიღონ ვალდებულება, რომ მოთამაშეებს დააზღვევენ, უპატრონებენ დუბლშემადგენლობებს, სამი ასაკის ჭაბუკთა გუნდებს, იზრუნებენ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე და თანამედროვე მენეჯმენტით მუშაობას ისწავლიან. ინვესტორისთვის საინტერესო მხოლოდ ის კლუბი იქნება, რომელსაც აქვს სტადიონი, ბაზა, მოთამაშეთა გარკვეული რაოდენობა, ჰყავს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები და მენეჯერები. სპონსორთან მისვლა და დახმარების თხოვნა გამოსავალი არ არის - ზედმეტად ფულის ხარჯვა არავის სიამოვნებს, თუ ბიზნესად ვერ აღიქვამს".*

**მერაბ მამულაშვილი**

## მამუკა კვარაცხელია:

# ყრილობას ეს წინადადებები მოეწონა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის XXII ყრილობაზე, დღის წესრიგის მიღმა, ბევრ საინტერესო საკითხზე ილაპარაკეს. მათ შორის ერთ-ერთი, ყველაზე საინტერესო, უეფას მედია ოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ** დააყენა.

"ლელომ" მას ინტერვიუ ჩამოართვა:

- ყრილობას ოთხი წინადადებით მივმართე. პირველი აღმასკომის წევრთა შეცვლას შეეხებოდა. მიმაჩნია, რომ ის ხალხი, ვისაც ქართული ფეხბურთისთვის ბევრი რამ გაუკეთებია და ფეხბურთით ცხოვრობს, აღმასრულებელ კომიტეტში აუცილებლად უნდა შეიყვანონ. აღმასკომის წევრთა რაოდენობის გაზრდაც რომ გახდეს საჭირო, ეს ნაბიჯი მაინც უნდა გადავდგათ.

მეორე წინადადება: ბოლო წლების სამარცხვინო ტენდენცია, რომ უამრავი სტადიონი და ბაზა გასხვისდა ან მის ადგილზე მშენებლობა დაიწყო და საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მწვავე დეფიციტია. ამიტომ, გადაუდებელ აუცილებლობად მიამჩნია, რომ ყველა ქალაქში, დაბასა და სოფელში აღირიცხოს მოედნები, ბაზები და ეს სია ფეხბურთის ფედერაციასა და პარლამენტს წარედგინოს. შემდეგ კი არც ერთ მათგანზე ბალახი არ უნდა მოწყვიტონ და ერთი აგურიც აღარ დაადონ.

მესამე საკითხი: აუცილებლად უნდა აღვადგინოთ ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისში მოქმედი აფხაზური კლუბები – სოხუმის "ცხუმი", გალის "მზიური" და ოჩამჩირის "ამირანი". პარლამენტმა და მთავრობამ კეთილი ინებონ, საკითხს სერიოზულად მოეკიდონ და ამ გუნდებს დაეხმარონ.

მეოთხე და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი - ლევან ფხაკაძემ წარმოადგინა პროექტი, რომელიც ბიზნესმენებისთვის ადეკვატური საგადასახადო წესების შემოღებას გულისხმობს. ჩემი აზრით, ეს ძალიან საინტერესო წინადადებაა, რომელიც დახვეწის შემთხვევაში, ქართულ ფეხბურთს დიდ დახმარებას გაუწევს.

იმ ხალხს, ვინც ქართულ ფეხბურთში ფულს დებს, დაუწესონ გარკვეული შეღავათები. სახელმწიფოს ვთხოვთ არა ფულს, არამედ, დღევანდელობის შესაბამის კანონმდებლობას, სხვაგვარად, ფეხბურთი დაიღუპება.

**- კანონმდებლობის მიღება როგორ წარმოგიდგენიათ?**

- გაუმართლებელი იქნებოდა, გუნდის მეპატრონე საერთოდ რომ არ დაიბეგროს. მაგრამ საწყისი 500 ათასი ლარი არ დაუბეგრონ, ამის შემდეგ კი ჩვეულებრივი გადასახადი დაუწესონ - ნუთუ ეს შეუძლებელია? ხომ ვხედავთ, რომ ქართულ ფეხბურთს ბიზნესი სათოფეზეც არ ეკარება, ორიოდე ადამიანი შემორჩა და ისიც უნდა გავაქციოთ?

**- თქვენი აზრით, ეს ვითარებას შეცვლის?**

- რა თქმა უნდა, შეცვლის. საწყისი 500 ათასი რომ არ დაებეგრება, ფეხბურთი მიმზიდველი გახდება. მე ვიცი კონკრეტული ბიზნესმენები, რომლებიც ამ ცვლილებას ელიან. "ზესტაფონის" პრეზიდენტი ილია კოკაია წავიდა, რესურსები "იბერია სტარის" პრეზიდენტსაც ამოეწურა, ბოლოს და ბოლოს, რაღაც ხომ უნდა შევცვალოთ, რამე ხომ უნდა ვიღონოთ? ფეხბურთი რომ დაიღუპება, მერე გვიანი იქნება თითზე კბენანი.

**- ყრილობის დელეგატებს თქვენს წინადადებაზე რა რეაქცია ჰქონდათ?**

- ყველას მოეწონა, წინადადებები სამშაბათს აღმასკომზე წარმოადგინეთო. ჩამოყალიბებულ პროექტს ფედერაციის სამდივნოში ორშაბათს წარვადგენ, აღმასკომმა რომ განიხილოს. ვნახოთ, რას იზამენ, ფაქტია, რომ აღმასკომი და ყრილობა უფრო ქმედითუნარიანი უნდა იყოს.

**მერაბ მამულაშვილი**

ლელოს საუბარი

გელა კეტაშვილი

**ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც აქტიური საფეხბურთო კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულა – გელა კეტაშვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ და ჰქონდა კიდეც ყველა მონაცემი საიმისოდ, რომ მსოფლიო დონის ვარსკვლავად ქცეულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო, ეს ვერ შეძლო. სეულის 1988 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალურ მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ბრაზილია დაამარცხა, რომლის შემადგენლობაში ისეთი კაშკაშა ვარსკვლავები თამაშობდნენ, როგორებიც რომარიო, ბებეტო, ტაფარელი, ჟორჟინიო, მაზინიო და სხვები იყვნენ.**

**გელა კეტაშვილი "ლელოს" ტრადიციული რუბრიკის სტუმარია და ჩვეული პირდაპირობით საუბრობს აქტუალურ და საჭირბოროტო საფეხბურთო საკითხებზე და ცხადია, თავისი კარიერის მნიშვნელოვან ეპიზოდებსაც იხსენებს. დასაწყისში კი უახლეს ამბავს შევეხეთ – რამდენიმე დღეა, რაც დაფუძნდა ვეტერან დინამოელ ფეხბურთელთა კავშირი, რომელსაც სათავეში კეტაშვილი ჩაუდგა.**



# გელა კეტაშვილი: ქართულ ფეხბურთში ყველაფერი თავიდან არის ასაწყობი

- ჩვენ გვყავს ცოცხალი დინამოელი ლეგენდები, არა მარტო ფეხბურთელები, არამედ სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც. დიდ მადლობას ვუხდი ფიზკულტურულ-სპორტულ კლუბ "დინამოს" ხელმძღვანელობას, ჩემი ამ თანამდებობაზე წარდგენა მისი ინიციატივა იყო. ბოლომდე დავიხარჯები იმისთვის, რომ ამ სასახელო ხალხის მიერ სამშობლოსთვის დაღვრილი ოფლი სათანადოდ დაფასდეს. რაკი მათთან შედარებით ახალგაზრდა ვარ, ვეტერანებმა ჩემს კანდიდატურას დაუჭირეს მხარი და მათი ნდობის გამართლებას მაქსიმალურად შევეცდები. ერთი სიტყვით, მუშაობას დიდი ენთუზიაზმით ვიწყებ.

საქმე კი მართლაც ძალიან ბევრი გვაქვს. ვეტერან სპორტსმენთა დახმარების გარდა, ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია დაკარგული სპორტული ობიექტების დაბრუნება. ჩვენი ცენტრალური ოფისი ეროვნულ სტადიონზე ბანკში იპოთეკით არის ჩადებული და ახლა ბანკს ვალების რესტრუქტურიზაციას ვთხოვთ.

**- ბოლო წლებში თქვენთვის სამსახური არავის შემოუთავაზებია?**

- ვმუშაობდი საგზაო პოლიციაში, საიდანაც 2004 წელს მინისტრ გიორგი ბარამიძის უშუალო მითითებით გამათავისუფლეს. ბარამიძემ ჩემს თანამდებობაზე თანაკლასელი დანიშნა. მას შემდეგ უმუშევარი ვიყავი, თუ არ ჩავთვლით საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს, სადაც დელეგატად დავდივარ. ხშირად მანდობენ რთულ შეხვედრებს, რათა საჭიროების შემთხვევაში, ექსცესები განემუხტო. ჩემი ავტორიტეტის წყალობით ეს ბევრჯერ მომიხერხებია. აღელვებულ გულშემატკივრებზე ჩემი მოწოდება ჭრის და კონფლიქტური სიტუაციები გვარდება.

**- ქართული ფეხბურთის დღევანდელ მდგომარეობას როგორ შეაფასებთ?**

- უფრო და უფრო ვეშვებით უფსკრულისკენ, რაც არც არის გასაკვირი. ქართულმა ფეხბურთმა იმდენი არაპროფესიონალის ხელში გაიარა, ყველაფერი თავიდან არის ასაწყობი.

**- საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე რას გვეტყვით?**

- იქ პროცესები იმდენად არასწორად ვითარდება, საუბარიც კი მიჭირს. როცა გუნდი 1:0 დაწინაურდება, მეტოქე კაცნაკლულია და მწვრთნელს მოედნიდან თავდამსხმელი გამოჰყავს, ეს უვიცობად მიმაჩნია. ქეცბაიას თავისი ამბიციები დაღუპავს, თუ უკვე არ დაღუპა. დღეს მოდაში ცხვირის აწევაა. ამდენი წაგებული თამაშის მერე, ქართველ გულშემატკივარს ბოდიშს მოვუხდიდი, ქუდს დავიხურავდი და წავიდოდი. მე ქეცბაიაზე ცუდს არაფერს ვამბობ, მასზე თამაშის ხარისხი ლაღადებს.

**- ბევრს ნაკრების სტილი არ მოსწონს...**

- რა, ჩვენს ნაკრებს რაიმე სტილი გააჩნია? ისიც არ მესმის, როგორ შეიძლება, წაგებული მატჩის შემდეგ გუნდს აეროპორტში დახვდე და ტაში დაუკრა. ჩემი ფეხბურთელობის დროს, თამაშის წაგების შემდეგ ხალხი აეროპორტში საგინებლად გვხვდებოდა და სახეზე ჩანთააფარებულები უკანა გასასვლელიდან გავრბოდით.

**- თავად არასდროს გიცდიათ მწვრთნელობა?**

- არც მიცდია და არც მიფიქრია. ფიცხი და პირდაპირი ადამიანი ვარ და ეს თვისებები მწვრთნელობაში ხელს შემიშლიდა.

**- გვახსოვს თქვენი ინტერვიუ "სპორტ-ექსპრესთან", სადაც თქვით, "დინამოში" ინტრიგები იყოო. რა ინტრიგებს გულისხმობდით?**




გელა კეტაშვილი (მარჯვნივ) სეულის ოლიმპიადაზე ბრაზილიის წინააღმდეგ

- იყო შური და ფეხის დადება. ზოგ ზოგიერთებს შურდათ, ერთადერთი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი რომ ვიყავი.

**- ოლიმპიადამდე თვენახევრით ადრე ფეხი მოიტეხეთ. ასეთ მოკლე დროში მწყობრში ჩადგომა როგორ მოასწარით?**

- ეს, ალბათ, სასწაული იყო. ნაკრების მთავარი მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი თან გადამყვა – თბილისიდან სასწრაფოდ მოსკოვში გამაქანა და ყველაზე პრესტიჟულ კლინიკაში დამაწვინა. ოლიმპიადამდე ნაკრები აკლიმატიზაციის გასავლელად იაპონიას ეწვია, სადაც სამი ამხანაგური მატჩი გამართა. პირველი ორი შეხვედრა გამოვტოვე, მესამეში კი მოედანზე მხოლოდ ბოლო 10 წუთით შევედი. სამაგიეროდ, ოლიმპიადაზე ექვსივე მატჩი შეუცვლელად ჩავატარე, ასეთი კი ნაკრებში მხოლოდ ხუთნი ვიყავით. ყველა თამაშის წინ ნემსებს მიკეთებდნენ და ფეხს სპეციალური მალამოებით მიმუშავებდნენ. მოკლედ, ბიშოვეცის მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მას ჩემი თავგანწირული თამაში მოსწონდა და როცა საჭირო გახდა, ჩემთვის მანაც თავი გასწირა.

**- საბჭოთა კავშირის ნაკრებში როგორი ატმოსფერო იყო?**

- ნორმალური, თუმცა იყო უსიამოვნო ეპიზოდიც. ერთხელ დმიტრი ხარინმა "ჩორნაჟოპი" მიწოდა და ამის გამო ვცემე, თუმცა მოგვიანებით შევრიგდით.

**- ორი წლის წინათ, როცა ჩემპიონთა ლიგაზე "ზესტაფონი" მოლდოვურ "დაჩიას" შეხვდა, მისი მთავარი მწვრთნელი იგორ დობროვოლსკი ქართველებთან არცთუ ლამაზად მოიქცა.**

- სიმართლე გითხრათ, ამან გამაკვირვა, რადგან მასთან ნორმალური ურთიერთობა მქონდა და არც ქართველების სიძულვილი შემიმჩნევია.

**- ყველაზე კარგი დამოკიდებულება ვისთან გქონდათ?**

- ძირითადად, უკრაინელებთან. მოსკოველები ვითომ გემეგობრებოდნენ, მაგრამ ეს უფრო კოლეგიალობა იყო, ვიდრე მეგობრობა. საერთო ჯამში, ვიტყოდი, რომ ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფერო იყო.

**- სეულის ოლიმპიური ჩემპიონი ფეხბურთელებიდან თქვენ გარდა, საბჭოთა კავშირის ეროვნულ ნაკრებში თითქმის ყველა მოხვდა...**

- როგორც იცით, ჩვენი ფედერაცია საკავშირო ფედერაციას გამოეყო. ახლოვდებოდა მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონატი და ვალერი ლობანოვსკიმ შემომთავაზა, გადმოდი კიევის "დინამოში" და მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლა გარანტირებული გექნებაო. შემეძლო, კიევში ოჯახთან ერთად წავსულიყავი და კარგი საცხოვრებელი პირობები მქონოდა. ლობანოვსკი ლამის ყოველდღე მირეკავდა, მაგრამ მიტინგზე ზვიად გამსახურდია დაიმუქრა, თუ წავა, ერის მოღალატედ გამოვაცხადებთო. იმ დროს საბჭოთა კავშირის ნაკრებში თამაში სამშობლოს ღალატად აღიქმებოდა და თბილისში დავრჩი. სხვა კლუბებშიც შემეძლო კარიერის გაგრძელება – მარსელის "ოლიმპიკში, "ბორდოში", "რომაში", "გალათასარაიში", მაგრამ არც ეს გამომივიდა, საჯაროდ არ ვიტყვი, რატომ და როგორ. დავრჩი თბილისის "დინამოში", მერე მცირე პერიოდი მოსკოვის ცსკა-ში გავატარე, სადაც მანეჟში თამაშისას მუხლი შემიბრუნდა და ჩემი ფეხბურთელობა იქ დასრულდა.

**- მცველობამდე თავდასხმაში თამაშობდით...**

- არა მხოლოდ თავდასხმაში. ასევე მითამაშია მარცხენა მცველად და მარცხენა ნახევარმცველად. ორივე ფეხს თანაბრად ვხმარობდი, რაც მამაჩემის დამსახურებაა. იგი ყოველთვის მიმითითებდა, რომ ორივე ფეხი თანაბრად განმევითარებინა. თავდასხმაში მიღებული გამოცდილება კი დაცვაში თამაშისას ძალიან დამეხმარა. თავდამსხმელის ჩანაფიქრის ამოცნობა არ მიჭირდა.

**- შეგეძლოთ, მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატიც მოგეგოთ.**

- 1985 წელს ჩემპიონატის მასპინძელი საბჭოთა კავშირი იყო. მესამე ადგილისთვის მატჩი ესპანეთთან პენალტების სერიით დავთმეთ. ეს შეხვედრა ორი ყვითელი ბარათის გამო გამოვტოვე. მესამე ადგილისთვის მატჩი კი ნიგერიასთან ასევე თერთმეტმეტრიანების სერიით წავაგეთ. სამწუხაროდ, პენალტი ვერ გავიტანე – ბურთი ხარიხას გავარტყი.

**- ნაკრებელ თანაგუნდელებთან რაიმე ურთიერთობა თუ გაქვთ?**

- შარშანწინ დამირეკა ალექსეი პრუდნიკოვმა, ანთალიაში დამპატიჟა და დაბადების დღე იქ გადამიხადა.

**- თანამედროვე ქართველი მცველებიდან ვის გამოარჩევთ?**

- არ მინდა, ვინმეს ეწყინოს, მაგრამ გამორჩეულს ვერავის ვხედავთ. მსოფლიოს მასშტაბით კი ჩემი ფავორიტი მარჯვენა მცველი დანი ალვეშია, მანამდე ძალიან მომწონდა მისი თანამემამულე კაფუ.

**- საკუთარ ოჯახში თუ გეზრდებათ მემკვიდრე?**

- იმედი მაქვს, რომ ჩემი ორი წლის შვილიშვილი ლევანი დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ჩემს ვაჟ გიორგისაც შეეძლო რაღაცის მიღწევა, მაგრამ მამის პოლიტიკური შეხედულებების გამო, უგუნდოდ დარჩა და კარიერა ნაადრევად დასრულა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაცია



ილია კოკაია



გია გეგუჩაძე

# კოკაია გეგუჩაძეს: დაბრუნდი!

## ზესტაფონის პრეზიდენტმა ამბიციის გემო გაიხსენა

დიდი შანსია, რომ **გია გეგუჩაძე** ხელმეორედ გახდეს „ზესტაფონის“ მთავარი მწვრთნელი - ინფორმაცია სანდო და კონფიდენციალურმა წყარომ მოგვაწოდა.

ისიც შევიტყვეთ, რომ „ზესტაფონის“ პრეზიდენტი **ილია კოკაია** უკვე შეხვდა გეგუჩაძეს და „ზესტაფონში“ დაბრუნება შესთავაზა.

ერთი სიტყვით, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ზესტაფონი“ არ დაიშლება და კლუბს ისევ კოკაია გაუძღვება.

ჩვენი ინფორმაციით, კოკაია ამბიციური გუნდის შექმნას აპირებს, რომელიც მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს და გეგუჩაძეს კანდიდატურასაც ამის გამო მიანიჭა უპირატესობა.

„ზესტაფონი“ საქართველოს ჩემპიონი პირველად სწორედ გეგუჩაძის თავკაცობით გახდა 2011 წელს. გეგუჩაძის ხელში „ზესტაფონს“ ჰქონდა მკვეთრად გამორჩეული ხელწერა, ის სახე, რაც განასხვავებდა მას სხვა გუნდებისგან. იმასაც შეგახსენებთ, რომ გეგუჩაძეს ხელმძღვანელობით „დინამო თბილისმა“ 2004 წელს საქართველოს თასი მოიგო და იმავე წელს უეფას თასის ჯგუფში გავიდა - ევროსარბიელზე მსგავსი შედეგი ქართული გუნდის არც ერთ მწვრთნელს არ ჰქონია.

გეგუჩაძე ბოლოს ქუთაისის „ტორპედოში“ მუშაობდა, თუმცა კლუბის ხელმძღვანელობამ მას ესპანელი **მულეტ სარაგოსა** ამჯობინა.

მივა თუ არა გეგუჩაძე ხელმეორედ „ზესტაფონში“, ორ-სამ დღეში გაირკვევა.

**დავით თავართქილაძე**

სამზადისი. დინამო

# ავსტრიული ფრაგმენტები

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფი თბილისის „დინამო“ ხვალ ბოლო საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: **დუშან უჰრინის** გუნდის მეტოქე რუსული პრემიერლიგის „კრასნოდარი“ იქნება. ამის შემდეგ „დინამო“ სამშობლოში გამოემგზავრება და ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩაერთვება, მანამდე კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს: 7 ივლისს, თბილისის „დინამო-არენაზე“ ძველი მეტოქეების, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ ამხანაგური შეხვედრაა დაგეგმილი. რუსულ გუნდებთან სპარინგ-მატჩებამდე დინამოელები მზადებას განაგრძობენ და უქმად არც კლუბის პრესსამსახურის (ხელმძღვანელი - **გიგა გვენცაძე**) თანამშრომლები არიან. ავსტრიული შეკრების დაწყებიდან კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ოპერატიულად შუქდება „დინამოს“ ყოველდღიური ყოფა: ვარჯიშები, სპარინგ-მატჩების ტექსტური ტრანსლაცია, ფეხბურთელთა და მწვრთნელთა მატჩისშემდგომი კომენტარები და ასე შემდეგ. ამას გარდა, კლუბის ვებგვერდზე თითქმის ყოველდღე ვეცნობით „დინამოს“ ფეხბურთელებთან ინტერვიუებს, - როგორც „სტაჟიან“ წევრებთან თუ გამოცდილ ფეხბურთელებთან, ასევე ახალწვეულებსა თუ გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებთან. აი, ახლაც, ერთ-ერთი ინტერვიუს ფრაგმენტები გვინდა შემოგთავაზოთ, „დინამოს“ პრესსამსახურმა ავსტრიაში რომ ჩაწერა.

## გიორგი შაშიაშვილი: ყველანი დინამოს სამსახურში ვართ

გიორგი შაშიაშვილი „დინამოში“ 17 წლის ასაკში გამოჩნდა; 2003 წელს როცა „დინამომ“ დუბლი შეასრულა, გუნდის კაპიტანი გახლდათ. ხანგრძლივი განშორების შემდეგ შაშიაშვილი კვლავაც დინამოელია...

**- 3 წლის განმავლობაში ავსტრიაში ასპარეზობდი და ეს გარემო შენთვის უცხო არ უნდა იყოს...**

- ავსტრიის ულამაზეს მხარეში ვიმყოფებით, იდეალური ადგილია და ძალიან ბევრი ოცნებობს აქ მოხვედრაზე. ამიტომაც არის, რომ შეკრებას სწორედ აქ გადიან კიევის „დინამო“, დონეცკის „შახტარი“, თუ კიდევ მრავალი სხვა ცნობილი კლუბი.

**- ბევრ სხვადასხვა სტილის მიმდევარ მწვრთნელთან გიმუშავია. დუშან უჰრინის მიდგომა რით განსხვავდება?**

- დუშან უჰრინმა გუნდის ფიზიკურად კარგად მომზადება და მთელი სეზონის განმავლობაში სტაბილურობის შენარჩუნება შეძლო, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ისევე როგორც ყველა მწვრთნელს, უჰრინსაც განსხვავებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვა აქვს, რომელმაც შედეგი უკვე მოგვიტანა - ჩემპიონობა და თასი!

**- 2004 წელს იმ „დინამოს“ წევრი იყავი, უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე რომ ასპარეზობდა. რა პარალელს გაავლებდი მაშინდელ და ახლანდელ გუნდს შორის?**

- მაშინაც და ახლაც, გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების სინთეზი იყო; თუმცა, დღევანდელი გუნდი უკეთესი იმითაც მიმაჩნია, რომ თავის საქმის პროფესიონალი ლეგიონერებიც თამაშობენ.

**- დღევანდელი „დინამოს“ მთავარ პლუსად რას მიიჩნევდი?**



გიორგი შაშიაშვილი

- გუნდში, ფაქტობრივად, იდეალური სიტუაციაა: მეგობრული და, ამასთან, საქმიანი ატმოსფერო; ყველამ იცის, რა და როგორ უნდა აკეთოს; ხელმძღვანელები თუ ფეხბურთელები, ყველანი „დინამოს“ სამსახურში ვართ. ბევრ უცხოურ გუნდში მითამაშია და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი თანამედროვე ბაზა არსად მინახავს. ჩვენი კლუბის პრეზიდენტმა რომან ფიფიამ ყველაფერი გააკეთა, რომ „დინამო“ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევდეს და პროგრესირებდეს: ჯერ - ინფრასტრუქტურა, მერე - წარმატება საქართველოში, ვნახოთ, რა იქნება მომდევნო ნაბიჯი.

**- რას ეტყვი „დინამოს“ გულშემატკივარს?**

- „დინამოს“ ისტორია, ტრადიცია, უბრალოდ, „დინამოს“ ფორმა გვავალდებულებს გამარჯვებას. ქართველი ხალხი „დინამოს“ წარმატების მოლოდინშია. სხვა ქართულ გუნდებსაც ჰქონდათ ლოკალური მიღწევები, მაგრამ ჩვენი თანამემამულეებისათვის „დინამო“ ქართული ფეხბურთის სახეა. ჩვენგან გულშემატკივრები წარმატებებს ელოდებიან და ვეცდებით, ისინი არ გავაწბილოთ. ბევრი ძლიერი მეტოქე გვეყოლება, მაგრამ „დინამო“ დღეს ის გუნდია, რომელსაც შესწევს ძალა საკუთარი თავი ღირსეულად წარმოაჩინოს.

**გია ტუხაშვილი**

რეგიონი

# დილას საიმედო ცვლა ეზრდება

გუშინ, გორის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის ცენტრალური სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში, ახლახან დასრულებული საფეხბურთო სეზონის მიხედვით გორის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის (დირექტორი **გიორგი ტულუში**) წარმატებული გუნდების დაჯილდოება გაიმართა. ასაკობრივ პირველობებზე ამ სკოლის 10 გუნდი მონაწილეობდა, საიდანაც 7-მა საპრიზო ადგილებზე გასვლა შეძლო. ამ გუნდების მწვრთნელებს ქალაქის განათლების, სპორტისა და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელებმა, საფეხბურთო კლუბ გორის „დილას“ დირექტორმა **ზვიად შერმადინმა** და მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა** თასები და დიპლომები გადასცეს.

სეზონის საბოლოო შედეგების მიხედვით პირველ ადგილზე გავიდნენ აფხაზეთის პირველობაზე გორის „დილას“ 2004 წ. დაბ. გუნდი (**მწ. ვ. ტიტვინიძე, მ. თაყაძე**) სამხრეთ ოსეთის პირველობაზე 1998 წ. დაბ. გუნდი (მწ. - **ზ. ჭარუაშვილი, ა. ხოხობაშვილი**). მეორე ადგილი დაიკავეს აფხაზეთის პირველობაზე 2001 წ. დაბ. (მწ. - **მ. ვარდოსანიძე, დ. ხოხობაშვილი**) და 2003 წ. დაბ (**მწ. – გ. ქუჯოშვილი, ს. სულთანიშვილი**). მესამე იყო სამხრეთ ოსეთის პირველობაზე 1996 წ. დაბ. (მწ. **– რ. ხაჭაპურიძე, ბ. ჯალაბაძე**), ჭაბუკთა ლიგაზე 1995 — 96 წწ დაბ. (მწ. – **ლ. ელიაური, ვ. აკოფიანი**) და შიდა ქართლის რეგიონის პირველობაზე 2002 წ. დაბ. (მწ. – **ლ. ელიაური, ლ. ბალიაშვილი**).

*„საფეხბურთო სკოლაში ამჟამად 505 ბავშვი ვარჯიშობს. ხელმძღვანელები მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებლად მაქსიმალურად ვზრუნავთ. დღეს სკოლაში 2 „ა“ კატეგორიის, 4 „ბ“ და 12 „ც“ კატეგორიის ლიცენზიის მწვრთნელები მუშაობენ. აქვე მინდა აღვნიშნო მეკარეთა მწვრთნელების* **რამაზ სოლოლაშვილის** *და* **ბესიკ კეჩხუაშვილის** *ნაყოფიერი მუშაობა, რომელთა დამსახურებითაც ყველა ასაკობრივ გუნდში გვეზრდება პერსპექტიული გოლკიპერები, რაც ბუნებრივია, „დილას“ ძირითად გუნდს მომავალში დიდად დაეხმარება“* — აღნიშნა სკოლის დირექტორმა **გიორგი ტულუშმა.**

*„დღესდღეობით თუ „დილას“ მთავარ გუნდში სამი-ოთხი გორელი ფეხბურთელი თამაშობს, მომავალში გვინდა, რომ ძირითადად სწორედ ადგილობრივი კადრებით იყოს დაკომპლექტებული. გუნდს 3-4 წლის განმავლობაში ჩავარდნა ჰქონდა, რის შემდეგაც რეგიონლიგიდან დავიწყეთ აღმასვლა და ახლა გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა. სასიხარულოა, რომ უმცროსი ასაკის ფეხბურთელები ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებშიც ირიცხებიან“* — თქვა საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელმა **ზვიად შერმადინმა.**

*„ასეთი შედეგით, რაც წლეულს უმცროსი ასაკის გორელმა ფეხბურთელებმა აჩვენეს, დედაქალაქის ბევრი სკოლა ვერ დაიტრაბახებს. ამასთან, საფეხბურთო სეზონის დასრულების მიუხედავად ვხედავ, რომ სკოლაში მუშაობა ისევ გრძელდება, რაც ძალიან სასიამოვნოა. გორში კარგი საფეხბურთო ატმოსფეროა, შესანიშნავი სპეციალისტები მუშაობენ და ვცდილობ მეც შევუერთდე ამ სამუშაო პროცესს. ვიზიარებ სურვილს, რომ „დილაში“ უფრო მეტი ადგილობრივი უნდა თამაშობდეს. იმედია, ასეც იქნება, თუმცა ამას ჯერ დრო სჭირდება“* — განაცხადა „დილას“ მთავარმა მწვრთნელმა **გიორგი დევდარიანმა.**

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● ინტერვიუ გიორგი დარასელიასთან

# ვინც ასეთ რთულ ქალაქში სათამაშოდ მიდის, ფსიქოლოგიურადაც უნდა მოემზადოს

**ხაბაროვსკის „სკა-ენერგია“ პრემიერლიგაში ვერ გადავიდა და გუნდის ქართველმა მთავარმა მწვრთნელმა გიორგი დარასელიამ შორეული აღმოსავლეთი დატოვა. ოფიციალური ვერსიით, დარასელიას კონტრაქტის ვადა დაუსრულდა, ხოლო კლუბმა ხელშეკრულება აღარ გააახანგრძლივა. მასთან ერთად, კლუბი დატოვეს ოთარ მარცვალაძემ, შოთა გრიგალაშვილმა, გოჩა ხოჯავამ და ლაშა სალუქვაძემ. თუმცა, დარასელია ხაბაროვსკში დარჩენის სხვა მიზეზებზე ლაპარაკობს, საინტერესო ამბებს იხსენებს და ამბობს, რომ დედამიწის ლამის მეორე ნახევარსფეროში წარმატების მიღწევა ურთულესი ამოცანა იყო.**

**- პრემიერლიგაში გადასასვლელად ბრძოლა რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული?**

- ვერ წარმოიდგენთ, შორეულ აღმოსავლეთში მუშაობა რა ძნელია. ჩემპიონატის დასრულებამდე დარჩენილ 11 ტურში ჩვენი მიზანი პლეი ოფამდე მისვლა იყო. პირველ-მეორე ადგილოსნებთან ჩამორჩენის შემცირება ზღაპარს ჰგავდა.

მერე ყველაფერი იმაზე იქნებოდა დამოკიდებული, პლეი ოფში ვის შევხვდებოდით. სამი თვე შეკრებაზე ვიყავით ისრაელში, კვიპროსში, თურქეთში – მარტის შუა რიცხვებამდე ასე გრძელდებოდა და ჩემპიონატში ჩავერთეთ. პირველი მატჩი სანკტ-პეტერბურგში გვქონდა და მერე შინ წასვლის ნაცვლად, კისლოვოდსკში დავბინავდით, რადგან ხაბაროვსკში ბალახი მხოლოდ სეზონის მსვლელობისას ამოვიდა.

ამის მიუხედავად, იმითაც ბედნიერი ვარ, რომ კლუბის არსებობის ისტორიაში საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ. მეტი თითქმის შეუძლებელი იყო. რაც უნდა დიდი ფული შესთავაზონ, ხაბაროვსკში წასვლაზე ბევრ მოთამაშეს ვერ დაითანხმებ. ურჩევნიათ, რუსეთის ევროპულ ნაწილში იყვნენ.

**- ცალკე თემაა რუსეთში მრავალსაათიანი გადაფრენა-გადმოფრენები.**

- მარტო ის რად ღირს, რომ უმთავრესად, 7-8 საათიანი საათობრივი სარტყელის გადალახვა გვჭირდებოდა. მოსკოვში "შერემეტიევოში" 8 საათში რომ ჩაფრინდები, ერთ საათში მეორე აეროპორტიდან კალინინგრადში ან ნალჩიკში უნდა გაფრინდე და ამას კიდევ ორი-სამი საათი სჭირდება. ყოფილა შემთხვევა, აეროპორტსა და თვითმფრინავში 12 საათი გაგვიტარებია. ეს ძალიან ძნელი გადასატანია, მორალურად და ფიზიკურად იფიტები. კვირის ორი დღე მაინც ჰაერში ვიყავით და ესეც კონკურენტების უპირატესობა იყო – ისინი თამაშის მეორე დღეს თუ ადამიანურად ისვენებდნენ, ჩვენ თვითმფრინავში ვისხედით, ერთ დღეს ვკარგავდით და ძალების აღდგენას ერთი დღის დაგვიანებით ვცდილობდით.

იქ იმდენი გაუთვალისწინებელი პრობლემა შეგვხვდა, წინასწარ ვერც წარმოვიდგენდი. თუ ევროპულ რუსეთში გვქონდა თამაში, კისლოვოდსკში ვრჩებოდით და თამაშისთვის იქ ვემზადებოდი – მხოლოდ ეს იყო შეღავათი. მთელი მარტი იქ გავჩერდით. ისე, ამდენი მგზავრობის მიუხედავად, თვითმფრინავში ერთხელ არ დამიძინია.

**- ასე თამაში "ბარსელონას" და "ბაიერნსაც" გაუჭირდებოდა.**

- ნებისმიერ გუნდს, რადგან აქ ლაპარაკია არა კლასზე, არამედ, ადამიანის მორალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებზე. მგზავრობის შემდეგ, დილით სასტუმროში დავბინავდებოდით და ძალების აღდგენას ვცდილობდით, საღამოს რომ გვეთამაშა.

ამდენი ფრენის გამო, დღე და ღამე აგვერია, ზოგს შუადღისას ეძინებოდა და ზოგს - საღამოს. ჩვეულებრივი სპორტსმენებივით ვერ ვცხოვრობდით, რომელმაც იცის ძილისა და ვარჯიშის დრო.

**- ამ ყველაფერთან ადაპტაციისთვის რა დრო დაგჭირდათ?**



- ხაბაროვსკში რომ გვეთამაშა და გვეცხოვრა, პრობლემა არ იქნებოდა, მაგრამ თვითმფრინავში ცხოვრებითა და საათობრივი სარტყელების აქეთ-იქით სერვით ამას ვერ შეეჩვეოდი. დარწმუნებული ვარ, ასეთი გუნდი რუსეთის ევროპულ ნაწილში რომ გვყოლოდა, უკეთესი შედეგი გვექნებოდა. ფეხბურთელი თუ ვერ დაისვენებს და ძალებს ვერ აღიდგენს, შედეგზე ფიქრი ძნელია. როგორ უნდა მოიყვანო ფეხბურთელი დილით ვარჯიშზე, როდესაც მთელი ღამე არ სძინავს? რომ იცოდეთ, ბოლოს მარცვალაძისა და სალუქვაძის ტრავმა სწორედ ამის შედეგი იყო, ორგანიზმი გადაეღალათ, გამოეფიტათ და ველარ გაუძლეს. ამ დროს კი, ტრავმის რისკი საკმაოდ მაღალია. ამიტომ, ვინც ასეთ რთულ ქალაქში სათამაშოდ მიდის, ფსიქოლოგიურადაც უნდა მოემზადოს. იქ ისეთი ითამაშებს, ვინც ახლომახლო ცხოვრობს და ამ გარემოსთან შეჩვეულია. მაგრამ შორეულ აღმოსავლეთში ამდენი ფეხბურთელი არც ჰყავთ.

**- ანუ რუსეთის პრემიერლიგაში გადასვლა შეუძლებელი იყო?**

- გადათამაშებაში პრემიერლიგელების უპირატესობა გამოჩნდა. ისინი სხვა დონის მეტოქეებს ხვდებოდნენ. ამას გარდა, პირველ ლიგაში 3 ლეგიონერის თამაშის უფლება გვქონდა და 6 ლეგიონერი გვყავდა, პრემიერლიგელებს კი 25 მოთამაშიდან 10-12 ლეგიონერი ჰყავთ და 7-ს ათამაშებდნენ. ოსტატობითაც უფრო მაღალი დონის უცხოელები მიჰყავთ და ეს გუნდურ კლასზეც აისახებოდა.

სხვათა შორის, მამუკა ჯუღელის გარდა, სხვა ვერავინ მოახერხებდა ხაბაროვსკში ასეთ ძლიერი მოთამაშეების ჩაყვანას და ამას გუნდშიც აღიარებდნენ. მითხარით გუნდი, რომელიც მამუკას ფეხზე არ დაუყენებია, ან ფეხბურთელი, ვისთანაც ის ჩაჭრილა? ასეთს ვერ გაიხსენებთ. მაგრამ ჭკუით რომ ვერ ჯობნიდნენ, შავ პიარს უგორებდნენ.

აქვე ვიტყვი, რომ ნალჩიკის "სპარტაკში" სირაძისა და რუხაიას თამაში ვნახე და ორივე ძალიან მომეწონა.

**- კონტრაქტი რატომ არ გაგიხანგრძლივეს?**

- თავად აღარ ვისურვე, იქ დარჩენა ძნელი იყო. თანაც, ახალ სეზონში გადასვლისთვის ბრძოლას აღარ აპირებდნენ და დარჩენას რა აზრი ჰქონდა?

**- საერთოდ, რუსეთის პირველი ლიგაში რა დონეა?**

- საკმაოდ მაღალი, რადგან ფულიც აქვთ და სავარჯიშო პირობებიც, მაგრამ ამას ყველა გუნდზე ვერ ვიტყვი.

**- ახლა რას აპირებთ?**

- წინადადებები რუსეთშიც მაქვს და ისრაელშიც. მალე ყველაფერი გაირკვევა. მაგრამ ამბიციურ გუნდში თუ არ მოვხვდი, ისე წასვლას აზრი არ აქვს. გორის "დილაში" ვითარება რომ არ არეულიყო, დღესაც სიამოვნებით დავრჩებოდი და დარწმუნებული ვარ, ჩემპიონობა სავსებით შესაძლებელი იყო.

ხელფასებს ისრაელშიც აგვიანებდნენ, მაგრამ მაქსიმუმ ერთი თვე. სამწუხაროდ, საქართველოში პრობლემები ყოველდღიური ამბავია, ჩვენდა სამწუხაროდ, არასტაბილური გარემოა და ბევრგან არც იციან, რა იქნება ხვალ და ზეგ. გორის "დილას" შემადგენლობა რომ შეგვენარჩუნებინა, ჩემპიონატიც კარგი იქნებოდა, ევროთასებზეც შორს წავიდოდით და მაყურებელიც სტადიონს შეეჩვეოდა. მაგრამ სტაბილური დაფინანსების არარსებობის გამო, უამრავი ნიჭიერი მწვრთნელი და ფეხბურთელი გვეკარგება, გუნდებიც ერთ ადგილს ტკეპნიან. არადა, ძალიან პერსპექტიული ბავშვები გვყავს.

რომ ამბობენ, სახელმწიფო კლუბებს არ უნდა დაეხმაროსო, სისულელეა. ქალაქს თუ შეუძლია, განზე რატომ უნდა გადგეს? ისრაელში კლუბებს კერძო მეპატრონეები ჰყავს, მაგრამ ქალაქიც ეხმარება. ჩვენთან ამას კომუნისტურ აზროვნებად ჩათვლიდნენ. გუნდების ნაწილს ევროპაშიც მუნიციპალიტეტები აფინანსებენ და ესეც კომუნიზმია? კლუბებს სტადიონის, განათებისა და მოედნის მორწყვის პრობლემა მაინც მოუგვარონ, ესეც დიდი შეღავათი იქნება.

უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდს ბაზა რომ არ აქვს, ესეც დიდი პრობლემაა. არადა, დამიჯერეთ, გორის "დილაში" უფრო პროფესიონალი მოთამაშეები გვყავდა, ვიდრე ხაბაროვსკში. ასეთი გუნდი რუსეთში რომ მყოლოდა, პრემიერლიგაში აუცილებლად გადავიდოდით.

**მერაბ მამულაშვილი**

# 1000 კვირის წვრილმანი

**დავით თავართქილაძე**

## ვაკეში დანაც უსვრიათ

ფედერაციის შენობას ესროლეს, სავარაუდოდ ცეცხლსასროლი იარაღიდან. დაზიანდა ორმაგი შუშა და შემთხვევის ადგილზე კრიმინალისტებიც მივიდნენ.

არ ვიცი, გაიხსნება თუ არა ეს საქმე, მაგრამ სროლა რომ კარგს არაფერს ნიშნავს, ბნელი 90-იანი წლებიდანაც გვახსოვს. მაშინ სხვანაირად ისროდნენ, ფეხბურთშიც სხვანაირად ხდებოდა ამა თუ იმ ადგილის დაკავება.

ფეხბურთის ფედერაციის შენობა ადრე დიდუბეში იყო, იამანიძის ხუთ ნომერში - ძველი, გვარიანად შელახული შენობა, სადაც ძალიან მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. იქ მისვლა ბევრს არ უყვარდა, ზოგს შელანძღული კედლებისა და იატაკის, ზოგს კი იმის გამო, რომ მაშინ ფედერაცია რაღაცნაირ, დახურულ ორგანიზაციას ჰგავდა.

ფედერაციას მაშინ ნოდარ ახალკაცი მართავდა, დიდი ავტორიტეტი. ახლა სხვა დროა, მართვის ძველი სტილი და მეთოდები აღარ ჭრის არც ბასრად და არც ბლაგვად. ოღონდაც სროლა მაინც შემორჩა.

საქართველოს ნაკრები „ლოკომოტივის“ სტადიონზე ირლანდიას რომ ეთამაშებოდა, ტრიბუნიდან ვიღაცამ გახსნილი ჯაყვა ისროლა. სროლა თითქოს სისხლში გვაქვს.

ფედერაციას ახლა ძალიან კოხტა, გაწკრიალებული ოფისი აქვს, ამ ორგანიზაციის პრეზიდენტობისთვის კი კვლავ შლეგად იბრძვიან. ამ ბრძოლას ისეთი ისტორია აქვს, რომ ცოდვა-ბრალი ფედერაციის ახალ შენობაშიც იგრძნობა, რომელსაც ესროლეს.



დინამომ ავსტრიაში შახტარს მოუგო

ფედერაციასა და სპორტის სამინისტროს შორის ურთიერთობა მგონი დალაგდა. დაძაბული ფონი აღარ ჩანს და თანამშრომლობის შესაძლებლობებიც უკვე გამოკვეთილია. ეს იმის საწინდარი უნდა იყოს, რომ რაღაც უკეთესობა იქნება.

და რას მოიმოქმედებს ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია? ვფიქრობ, ის აღარ გააკეთებს განცხადებებს სოციალური ქსელით და პირდაპირ გაამხელს საკუთარ სურვილს.

რადგან ჟორდანიამ უკვე გამოთქვა სურვილი, რომ დაბრუნდეს ქართულ ფეხბურთში, ეს იმას ნიშნავს, რომ არნემის „ვიტესში“ მისი პოზიციები შესაძლოა, შეიცვალოს. სხვანაირად რატომ უნდა ჰქონდეს ჟორდანიას ქართულ ფეხბურთში საქმიანობის სურვილი?

როგორც უნდა იყოს, ჟორდანია ქართული ფეხბურთისთვის აქტუალური ფიგურაა. თუ ის მართლა გადაწყვეტს ფედერაციის პრეზიდენტობისთვის კანდიდატურის წამოყენებს, მას საამისო პლაცდარმიც დასჭირდება, რაც ჯერ არ ჩანს.

ამ ჩახლართული ამბის ბოლო კი ალბათ ის იქნება, რომ ფედერაციის პრეზიდენტობა აღარ იქნება ისეთი ამაფორიაქებელი თანამდებობა, როგორიც იყო და არის და ალბათ აღარავის მოუვა აზრად, რომ ფედერაციის შენობას ესროლოს.

ამასობაში ბაქოს „ინტერში“ კიდევ ერთი გამოცდილი ქართველი ფეხბურთელი მივიდა - ლაშა სალუქვაძე. დიუსელდორფის „ფორტუნაში“ შესაძლოა, ლევან ყენია გადავიდეს. შოთა არველაძე კი ადასტურებს, რომ თანაშემწედ ქართველი მწვრთნელი სურს. ღმერთმანი, საინტერესო ტრანსფერები გველის.

„ზესტაფონის“ ამბავსაც ალბათ კეთილი ბოლო ექნება და ილია კოკაიას გუნდი კვლავ ერთ-ერთი მოწინავე გახდება საქართველოში.

თითქოს ყველაფერს ეშველება, გარდა ეროვნული ნაკრებისა, რომელიც ყველას უხერხულობას უქმნის: სახელმწიფოს, ფედერაციას, მწვრთნელს, ფეხბურთელებს...

სექტემბრამდე მოგვიწევს დაცდა, როცა ნაკრები მორიგ მატჩებს ითამაშებს შესარჩევში. მანამდე კი ევროტურნირებია. მოსამზადებელ ეტაპზე „დინამომ“ ახმეტოვის „შახტარს“ 1:0 მოუგო. თქმა რად უნდა იმას, რომ საკონტროლო შეხვედრებში გუნდის რეალური ძალა არ ჩანს, მაგრამ მაინც, „შახტარის“ დამარცხებამ უიმედობის განცდას თითქოს წყალი შეუყენა...

● სიტუაცია

# ზუგდიდი უმაღლესში აღარ ითამაშებს?

ახლახან „ზუგდიდის“ დირექტორი **მალხაზ ჭეჟია** „ლელოს“ გუნდში არსებულ ვითარებაზე ელაპარაკა და თქვა, რომ დაფინანსების საკითხის გარკვევას ცდილობდა.

მაშინ ჭეჟია ამბობდა, რომ ფინანსური პრობლემების მოგვარების იმედი ჰქონდა,. მაგრამ ზუსტად არ იცოდა, რა და როგორ იქნებოდა.

"ზუგდიდის" დირექტორი გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის XII ყრილობას დაესწრო და გუნდში არსებულ ვითარებაზე კიდევ ერთხელ დავეკითხეთ: *"არ მინდა დავიჯერო, რომ ზუგდიდის ფეხბურთის ბედი არავის აინტერესებს. მაგრამ გუნდის დაფინანსების საკითხი კვლავაც გაურკვეველია, არადა, ჩემპიონატი კარს მოგვადგა და "ზუგდიდს" ჯერ მოსამზადებელი ეტაპიც არ დაუგეგმავს, ვარჯიშზე ლაპარაკიც ზედმეტია. სანამ ბიუჯეტი არ გვეცოდინება, მანამდე ფეხბურთელებს ვერ დაველაპარაკებით. და თუ ვითარება სასწრაფოდ არ შეიცვალა, შესაძლოა, უმაღლეს ლიგაში ველარ ვითამაშოთ. გუნდს თავს თუ მაინც მოვუყრით და უმაღლესში გამოვალთ, ასეთი წინაპირობის გამო, წამყვან პოზიციებზე მოხვედრა ძალიან გაგვიჭირდება"* – ამბობს ჭეჟია.

**მერაბ მამულაშვილი**

● ფეხბურთი ყველასათვის

# ტურნირი მინიფეხბურთში

**ლევან ჟორდანიას** ფონდის ინიციატივით და შიდა ქართლის ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით უკვე მესამე წელიწადია გორში დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი იმართება მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში გორის და გორის რაიონის გუნდები მონაწილეობენ. ორი დღის განმავლობაში მიმდინარე შეჯიბრებამ ფეხბურთის ადგილობრივ ქომაგებში ინტერესი გამოიწვია და მატჩების სანახავად მაყურებელი არცთუ მცირე ოდენობით იკრიბებოდა. ფინალურ დაპირისპირებაში ერთმანეთს სუხიშვილების ქუჩის და გორში დევნილთა დასახლების გუნდები შეხვდნენ. „სუხიშვილებმა“ დიდი ანგარიშით 3:0 იმარჯვეს. მესამე ადგილზე ტინისხიდის გუნდი გავიდა. გამარჯვებულები და პრიზიორები რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა **გიორგი რევაზიშვილმა** დააჯილდოვა.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ჯგერენაია მიკოლაევში



19 წლის მცველი **გიორგი ჯგერენაია** ბოლოს უკრაინულ „ილიჩევეცში“ იყო, თუმცა სავარაუდოდ სხვა გუნდში მოუწევს გადასვლა. ჯგერენაია მარცხენა მცველი გახლავთ და საკმაოდ კარგი მონაცემებიც აქვს, ამიტომაც გადავიდა „გაგრადან“ უკრაინულ კლუბში. კარგი აღნაგობის, ამლოიანი, შეტევაში ჩართვის უნარით - ასეთია ჯგერენაია.

ჯგერენაია საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელიცაა, უთამაშია საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებშიც. შევიტყვეთ, რომ ჯგერენაია ამ დროისთვის უკრაინის პირველი ლიგის „მიკოლაევშია“. ტრანსფერი ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ჯგერენაია უკვე ვარჯიშობს ამ გუნდში და თუ მწვრთნელს თავს მოაწონებს, ისევ უკრაინაში მოუწევს დარჩენა.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინის ჩემპიონატი



ფერნანდო გაგო

# ბოკა ხუნიორსი ცვლილებებს გეგმავს

ჩაგდებული სეზონის შემდეგ, რომელშიც გუნდმა მე-18 ადგილი დაიკავა, „ბოკა ხუნიორსში" სერიოზული ცვლილებები იგეგმება. **კარლოს ბიანკი** უკვე რამდენიმე ფეხბურთელს დაემშვიდობა. ურუგვაელი **ემილიანო ალბინი** „პენიაროლს" დაუბრუნდა, **ლაუტარო აკოსტა** კი „სევილიას" - ორივე ფეხბურთელი „ბოკაში" იჯარით თამაშობდა. გარდა ამისა, კონტრაქტები დაუსრულდათ **ლეანდრო სომოსას, ფრანკო სოსას, კრისტიან სელაის** და **კლემენტე როდრიგესს**. ამ უკანასკნელზე უკვე მოგახსენეთ, რომ კარიერას „სან პაულოში" გააგრძელებს, აი, სხვების მომავალი ნავსაყუდელი ჯერ უცნობია. საუბრობენ იმაზეც, რომ ბიანკის **სანტიაგო სილვა** და **ვალტერ ერვიტიც** აღარ სჭირდება.

გუნდიდან ნასვლის პირას არის **ხუან სანჩეს მინიო**, რომლითაც ხარკოვის „მეტალისტია" დაინტერესებული. უკრაინელები არგენტინულ კლუბს 7,5 მილიონ ევროს სთავაზობენ, მაგრამ პრეზიდენტ **დანიელ ანხელიჩის** ნიჭიერი ფეხბურთელის გაყიდვა მხოლოდ ერთი პირობით სურს: 23 წლის უნივერსალმა მომდევნო ჩემპიონატი „ბოკაში" უნდა გაატაროს და უკრაინაში მხოლოდ იანვარში გადავიდეს. ჯერჯერობით ამ ტრანსფერზე გარკვეული არაფერია და მოლაპარაკებები გრძელდება.

რაც შეეხება იმ ფეხბურთელებს, ვინც „ბოკას" გააძლიერებს: გუნდს იჯარიდან **სერხიო არაუხო** და **ემილიანო ინსუა** დაუბრუნდნენ - 21 წლის შემტევი „ბარსელონა B"-ში ასპარეზობდა (7 გოლი 34 მატჩში), ხოლო მარცხენა მცველმა ინსუამ წინა სეზონი „გოდოი კრუსში" გაატარა.

დაცვის ხაზის გაძლიერება ბიანკის **კატა დიასის** და **მატიას როდრიგესის** მეშვეობით სურს. დიასი მადრიდის „ატლეტიკოში" ირიცხება, თუმცა ძირითადში იშვიათად ხვდება და არაა გამორიცხული კლუბი დატოვოს, მატიას როდრიგესი კი იანვარში „სამპდორიაში" გადავიდა, მაგრამ გენუურ კლუბში მხოლოდ 1 მატჩი ჩაატარა, არადა, 27 წლის მარჯვენა მცველი 2012 წლის სამხრეთ ამერიკის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელეს.

ნახევარდაცვაში არსებული პრობლემების მოგვარება „პაპა კარლოს" **ფერნანდო გაგოს** მეშვეობით სურს. „ბოკას" აღზრდილმა გაგომ, რომელიც „ვალენსიას" ეკუთვნის, ტორნეო ფინალი „ველეს სარსფილდში" გაატარა, თუმცა თავის გამოჩენაში ხელი ტრავმებმა შეუშალეს. 29 ივნისს გასამართი სეზონის ფინალური მატჩის შემდეგ 27 წლის ფეხბურთელი კვლავ „ვალენსიაში" დაბრუნდება და „ბოკას" მოლაპარაკებების გამართვა სწორედ ესპანურ გუნდთან მოუწევს. გაგო 5 წლის ასაკიდან „ბოკა ხუნიორსის" წევრი იყო, 2004-07 წლებში კი ამ გუნდის მაისურა 69 შეხვედრაში მოირგო და 1 გოლიც გაიტანა, რის შემდეგაც სათამაშოდ მადრიდის „რეალში" გადავიდა.

კოპა ლიბერტადორესის 6-გზის მფლობელი **ემანუელ ჟიგლიოტითაც** არის დაინტერესებული. „კოლონის" 26 წლის ფორვარდი, რომელიც **იგნასიო სკოკოსთან** ერთად ტორნეო ფინალის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ბოკაში" სანტიაგო სილვას შემცვლელი უნდა გახდეს.

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## პაიე მარსელში გადავიდა

როგორც მოსალოდნელი იყო, **დიმიტრი პაიე** კარიერას „მარსელში" გააგრძელებს. 26 წლის ფეხბურთელის „ლილიდან" გამოსყიდვა „ოლიმპიკს" 10 მილიონი ევრო დაუჯდა. „ნანტის" და „სენტ ეტიენის" ყოფილი მოთამაშე, რომელსაც საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებში 5 მატჩი აქვს ჩატარებული, პროვანსული გუნდის ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელი გახდება და **მატიო ვალბუენას, ანდრე აიუს, სტივ მანდანდას, ანდრე-პიერ ჟინიაკის** და **ნიკოლა ნკულუს** მსგავსად, თვეში 200 000 ევროზე მეტს მიიღებს.

პაიემ დასრულებულ სეზონში 38-ვე მატჩში ითამაშა და 12 გოლით გუნდის ბომბარდირებში მეორე ადგილი დაიკავა (პირველი **სალომონ კალუ** იყო 14 გოლით), ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი „ლილის" დატოვების სურვილი გამოთქვა. ფორვარდს რამდენიმე მიწვევა ჰქონდა, მათ შორის მისი შეძენით ლონდონის „არსენალიც" იყო დაინტერესებული, მაგრამ პაიემ საფრანგეთში დარჩენა ამჯობინა და „მარსელის" წინადადებას დათანხმდა.

## მონაკოს მორიგი ტრანსფერი

**რადამელ ფალკაოს, ჯეიმს როდრიგესის, ჟოაო მოუტინიოს** და **რიკარდო კარვალიოს** შემდეგ, „მონაკომ" ზაფხულის მეხუთე ტრანსფერი განახორციელა და აღსანიშნავია, რომ მორიგი ახალწვეული „პორტუს" ყოფილი ფეხბურთელი არ გახლავთ.

ლიგა 2-ის გამარჯვებულმა „ვალანსიენიდან" **ნიკოლა ისიმატ-მირენი** შეიძინა. საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წევრი „მონაკოს" 4 მილიონი ევრო დაუჯდა. 21 წლის ცენტრალური მცველი ახალ გუნდში მე-2 ნომრით ითამაშებს.

**ტატო ბაციკაძე**

## მონაკო ჩემპიონატს -2 ქულით დაიწყებს

საფრანგეთის ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, თუმცა ელიტაში დაბრუნებული „მონაკო" ტურნირს დანაკარგით დაიწყებს - ამ კლუბს ლიგა 1-ის ხელმძღვანელობამ 2 ქულა დააკლო. ამასთან, „მონაკო" ერთ მატჩს ცარიელი ტრიბუნების წინ გამართავს. ამ დასჯის მიზეზი მაისში მომხდარი არეულობაა.

„მონაკო" **გიორგი მაკარიძის** „ლე მანს" ხვდებოდა, როცა „მონაკოს" ფანებმა პიროტექნიკა გამოიყენეს, მოედანზე შეიჭრნენ და ერთმა ფანმა მსაჯსაც მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა.

შეგახსენებთ, რომ „მონაკომ" ხმაურიანი ტრანსფერები გააკეთა (**რადამელ ფალკაო, ჯეიმს როდრიგესი, ჟოაო მოუტინიო, რიკარდო კარვალიო**), ამიტომაც კლაუდიო რანიერის გუნდი ტიტულისთვის მებრძოლად მიიჩნევა.

## პსჟ-ს პრეზიდენტი: ზლატანი და ტიაგო სილვა რჩებიან

„პარი სენ-ჟერმენის" პრეზიდენტმა **ნასერ ალ ხელაიფიმ** განაცხადა, რომ პარიზული კლუბი ორ ლიდერს, **ზლატან იბრაჰიმოვიჩსა** და **ტიაგო სილვას** აუცილებლად შეინარჩუნებს. „მილანიდან" ერთი წლის წინათ მისული დუეტი ხან რომელ გრანდს დაუკავშირეს და ხან რომელს.

*„რა აღარ წამიკითხავს ტიაგო სილვას და ზლატან იბრაჰიმოვიჩის მომავალზე. მაგრამ ყველა სპეკულაციაა - მინდა დაგარწმუნოთ, ეს ორი ფეხბურთელი კონტრაქტის ბოლომდე „პარი სენ-ჟერმენში" დარჩება"*, - განაცხადა ალ ხელაიფიმ.

შეგახსენებთ, რომ იბრაჰიმოვიჩს 2015 წლამდე აქვს კონტრაქტი პსჟ-სთან, ხოლო სილვას - 2017 წლამდე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ბაიერნი

# ლამი: პეპს მალე შევეჩვევით!

უკვე სამი დღეა, რაც **ხოსეპ გვარდიოლა** „ბაიერნს" ავარჯიშებს, მისი პირველი ექსკლუზიური ინტერვიუ კი ჯერ ვერც ერთმა გერმანულმა გამოცემამ ვერ მოიპოვა – პეპი ჯერჯერობით თვით „ბილდისთვისაც" კი მიუწვდომელია. სამაგიეროდ, ტაბლოიდმა რეკორდმაისტერის კაპიტნის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც **ფილიპ ლამი**, რა თქმა უნდა, სწორედ გვარდიოლაზე და მისი პირველი ვარჯიშებიდან მიღებულ შთაბეჭდილებებზე საუბრობს.

*„გვარდიოლა კომუნიკაბელური აღმოჩნდა. ბევრს გველაპარაკება და უამრავ მითითებას გვაძლევს. მას უნდა, რომ მალე გავუგოთ და ვარჯიშებისადმი მისეული მიდგომა სწრაფად გავითავისოთ. პირველივე ვარჯიშებზე გამოჩნდა, რომ საკმაოდ ბევრი რამ შეიცვლება,"* - აცხადებს ლამი ხსენებულ ინტერვიუში.

თუმცა, ლამის თქმით, უშუალოდ ვარჯიშებზე ისეთი არაფერი ყოფილა, რაც მას და მის თანაგუნდელებს აქამდე არ უნახავთ: *„ფეხბურთს დიდი ხანია ვთამაშობ და მწვრთნელის შეცვლის არაერთი ფაქტი მახსოვს. მწვრთნელის შეცვლა იგივეა, კომპანიას შეფი რომ შეეცვალოს. მოდის ახალი ბოსი, რომელსაც თავისი ხედვა აქვს და რომელიც სხვა კრიტერიუმებით აფასებს ყველაფერს. გვარდიოლა, რა თქმა უნდა, ჰაინკესისგან დიდად განსხვავდება, მაგრამ მეტს ვერაფერს ვიტყვი, რადგან დეტალური ანალიზის გაკეთება ჯერ ძალიანნაადრევია."*

ლამი დარწმუნებულია, რომ პეპს „ბაიერნისა" და ზოგადად, გერმანულ ატმოსფეროსთან შეჩვევის პროცესი და გერმანულ ფეხბურთში ინტეგრაციის პერიოდი დიდხანს არ გაუგრძელდება: *„რაც მთავარია, ყველანი ყურადღებით ვართ. გვარდიოლას უდიდესი კონცენტრაციით ვაკვირდებით. ახალი სეზონის დაწყებამდე საკმაოდ დიდი დროა დარჩენილი იმისათვის, რომ გვარდიოლა კარგად გავიცნოთ. უკვე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პეპი მალე შეგვეჩვევა და ჩვენც მალე შევეჩვევით პეპს."*

გასული სეზონის ტრიუმფატორმა „ბაიერნმა" ახალი სეზონისთვის მზადება ოთხშაბათს დაიწყო, პირველ ამხანაგურ მატჩს კი დღეს თავისივე ფან-კლუბის გუნდთან გამართავს. ხვალ მიუნხენელები „რეგენთან" ითამაშებენ, მერე კი რეკორდმაისტერი ტრენტინოში (შეკრება 4-დან 12 ივლისამდე) მოემზადება.

**გოტფრიდ ლენცი**



ხოსეპ გვარდიოლა და ბაიერნის კაპიტანი ფილიპ ლამი

ტრანსფერი

# მარინი სევილიაში!

## ჟოზემ გერმანელი ესპანეთში გაათხოვა

პრინციპში, არავის გაჰკვირვებია ის ფაქტი, რომ **მარკო მარინმა** „ჩელსიში" იმედები ვერ გაამართლა. 24 წლის შემტევი ნახევარმცველი ლონდონურ კლუბში შარშან ბრემენის „ვერდერიდან" გადაბარგდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა და მოსალოდნელიც იყო, რომ **ჟოზე მოურინიოს** გეგმებში არ ჩაჯდებოდა. ამრიგად, „ჩელსიმ" გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ მარინი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 16 მატჩი აქვს ჩატარებული, მომავალ სეზონს იჯარის წესით „სევილიაში" გაატარებს.

მარკო მარინს „ჩელსითან" კონტრაქტი 2017 წლამდე აქვს გაფორმებული და გასულ სეზონში ლონდონური კლუბის ფორმა სულ 16 შეხვედრაში ეცვა. აქედან, ექვსჯერ პრემიერლიგაში იასპარეზა და 26-ე ტურში „უიგანთან" პირველი და დღემდე ერთადერთი ინგლისური გოლი გაიტანა.

შეგახსენებთ, რომ „სევილიამ" ესპანეთის ჩემპიონატში მე-9 ადგილი დაიკავა, მაგრამ რაკი „მალაგა" ევროტურნირებიდან მოკვეთილია, ანდალუსიელები ევროპალიგაში იასპარეზებენ. მარინს „სევილიაში" თანამემამულე **პიოტრ ტროხოვსკი** დახვდება.

**გოტფრიდ ლენცი**



მარკო მარინი

ამბები

## სპაჰიჩი ლევერკუზენში

ლევერკუზენის „ბაიერმა" ბოსნიის ნაკრების კაპიტანი **ემირ სპაჰიჩი** გადაიბირა. 32 წლის ცენტრალური მცველი გერმანულ კლუბში „სევილიადან" გადაბარგდა და „ფარმაცევტებთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სპაჰიჩი ბოლოს მახაჩკალის „ანჟიში" გახლდათ განათხოვრებული. სატრანსფერო თანხა გასაიდუმლოებულია – სპაჰიჩი „ლევერკუზენს" ივლისის დასაწყისში უნდა შეუერთდეს.

## ფენერს იანალი გაწვრთნის

თურქეთის 18-გზის ჩემპიონმა „ფენერბაჰჩემ" ევროტურნირებიდან მოკვეთიდან სამი დღის შემდეგ ახალი მთავარი მწვრთნელი წარადგინა. „ფენერს" ამიერიდან თურქეთის ნაკრების ყოფილი დამრიგებელი **ერსუნ იანალი** უთავკაცებს - მან „ფენერბაჰჩესთან" ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. იანალმა ამ პოსტზე აიქუთ კოჩამანი შეცვალა, რომელიც მაისში სამწლიანი მოღვაწეობის შემდეგ გაათავისუფლეს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი

# ჰონდა მილანს შეუთანხმდა

„გაძეტა დელო სპორტის" მტკიცებით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონიდან **კეისუკე ჰონდა** „მილანის" ღირსებას დაიცავს. ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით, რომ ლომბარდიელები 27 წლის იაპონელის გადასაბირებლად ყველაფერს აკეთებენ და როგორც ჩანს, მიზანს მიაღწიეს კიდეც. ავტორიტეტული გამოცემის მტკიცებით, ჰონდა „როსონერისთან" 4-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, მისი წლიური გასამრჯელო კი 2.5 მილიონი ევრო იქნება.



კეისუკე ჰონდა იტალიაში ითამაშებს

„მილანი" კეისუკეს სანაცვლოდ მოსკოვის ცსკა-ს მხოლოდ 2 მილიონ ევროს გადაუხდის, რაც რუსებს დიდად არ ახარებთ, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ აქვთ. მოგეხსენებათ, ფეხბურთელის სურვილი უმთავრესია, ჰონდამ კი სწორედ იტალიურ გრანდში არჩია გადასვლა - წინააღმდეგ შემთხვევაში, ცოტა ხანი უფეხბურთოთ დარჩენისთვისაც გამოთქვა მზადყოფნა, რადგან ზამთარში თავისუფალი აგენტი ხდება და გზა ნებისმიერი მიმართულებით გაეხსნება. მოკლედ, მოსკოველებს ისღა დარჩენოდათ 2 მილიონს დათანხმებოდნენ, არადა, ინგლისური „ევერტონი" ჰონდას სანაცვლოდ 7 მილიონს იხდიდა.

ამრიგად, ჰონდას სახით „მილანს" უდავოდ მაღალი კლასის ნახევარმცველი შეემატა. შეგახსენებთ, რომ კეისუკეს გადაბირება წლების განმავლობაში სურდა კიდევ ერთ იტალიურ გუნდს, „ლაციოს", მაგრამ რომაელები ვერაფრით შეუთანხმდნენ ცსკა-ს მესვეურებს. მილანელები ჰონდას მიმართულებით კონფედერაციათა თასზე იტალია-იაპონიის მატჩის შემდეგ გააქტიურდნენ და მიზანს მალევე მიაღწიეს.

**ლაშა ნიკლაური**

იტალიის ნაკრები

# ბორგონოვოს ხსოვნას

კონფედერაციათა თასის ნახევარფინალურ შეხვედრაში იტალიის ნაკრების ფეხბურთელებმა შავი სამკლავურებით ისპარეზეს, რაც **სტეფანო ბორგონოვოს** გარდაცვალებით გახლდათ განპირობებული. „მილანის", „რომას", „უდინეზეს" და „ბრეშას" ყოფილ მოთამაშეს უკურნებელი დაავადება სჭირდა, რომლის შედეგად მთელი სხეული პარალიზებული ჰქონდა. აქვე ვთქვათ, რომ ბორგონოვოს სამი თამაში იტალიის ეროვნულ გუნდშიც ჰქონდა ნათამაშები.

მას შემდეგ, რაც სტეფანო დაავადდა, მის მხარდასაჭერად არაერთი საქველმოქმედო მატჩი გაიმართა, რომელშიც მეტწილად „ფიორენტინას" და „მილანის" ვეტერანი ფეხბურთელები ასპარეზობდნენ. ხშირად, ამ ყველაფერს სათავეში ბორგონოვოს ახლო მეგობარი **რობერტო ბაჯო** ედგა, რომელიც ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც ამ ტრაგიკულ ამბავს გამოეხმაურა. ბორგონოვო 49 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ალსანიშნავია, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ ფიფას თხოვნით მიმართა, რომ კონფედერაციათა თასის ნახევარფინალური მატჩი წუთიერი დუმილით დაწყებულიყო, მაგრამ რატომღაც, მსოფლიოს უმაღლესმა საფეხბურთო ორგანომ ფედერკალჩო უარით გაისტუმრა.

**ლაშა ნიკლაური**



სტეფანო ბორგონოვოს მხარდასაჭერად საქველმოქმედო მატჩები იმართებოდა

სუპერთასი

# გადაწყდა: რომი




გადაწყვეტილი ამბავია, რომ იტალიის სუპერთასის პაექრობა 18 აგვისტოს რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება. აქვე ვთქვათ, რომ აღნიშნულ პაექრობაში ერთმანეთის პირისპირ „ლაციო" და „იუვენტუსი" წარსდგებიან. თავიდან, სწორედ ეს გუნდები ცდილობდნენ მატჩის ადგილის განსაზღვრას, მაგრამ შეთანხმებას ვერაფრით მიაღწიეს - რომაელები პეკინს ანიჭებდნენ უპირატესობას, ტურინელები კი ამერიკას, ან კანადას. „ლაციოს" მესვეურთა მოტივაცია ის გახლდათ, რომ მატჩის ჩინეთში ჩატარების სანაცვლოდ, აზიელები ორივე კლუბს 6-6 მილიონ ევროს ჰპირდებოდნენ, „იუვენტუსს" კი აგვისტოში ჩრდილოამერიკული ტურნე აქვს დაგეგმილი და ამდენ ფრენას, „ბიანკონერესტეს" თავისთან დაბარება ერჩივნათ.

მოკლედ, შეთანხმება არ შედგა და საქმეში იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ჩაერია. თამაში ან რომში უნდა ჩატარებულიყო, ან ტურინში, ანაც ნეიტრალურ მოედანზე, მილანში. უპირატესობა თითქოს „სან სიროს" ენიჭებოდა, მაგრამ საბოლოოდ, არჩევანი რომზე შეჩერდა. ამრიგად, იტალიის სუპერთასის პაექრობაში „ლაციომ" საკუთარი მოედნის უპირატესობა მიიღო.

**ლაშა ნიკლაური**

სკანდალი

# მიკოლი და მაფია

## პალერმოს ლიდერი დაკითხეს

„პალერმო" და მისი მწვრთნელ-ფეხბურთელები კვლავაც ყურადღების ცენტრში არიან, მაგრამ თუ მაგალითად **აბელ ერნანდესმა** თავისი კარგი თამაშით მიიქცია ყურადღება, როდესაც ტაიტის ოთხი გოლი შეუგდო, ამჯერად საქმე სულ სხვა თემას ეხება... გუშინ სიცილიური გუნდის ლიდერი, 34 წლის **ფაბრიციო მიკოლი** იტალიის სამართალდამცავმა ორგანოებმა დაკითხვაზე დაიბარეს და მთელი ხუთი საათი კითხვებს უსვამდნენ. ერთი ხანობა, ისიც კი ითქვა, რომ ფაბრიციო დააკავეს და წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს, თუმცა ეს ინფორმაცია ტყუილი გამოდგა. მიკოლის კვლავაც ემუქრება დაკავების საშიშროება და წესით, უსაფრთხოდ არ უნდა გრძნობდეს თავს.

სამართალდამცავებს ეჭვი აქვთ, რომ მიკოლი ვალის დაბრუნების საქმეში მაფიოზურ მეთოდებს იყენებს და ამ ამბავში კრიმინალური ავტორიტეტები ჰყავს ჩართული. მოკლედ, ფაბრიციოს სიცილიაზე რამდენიმე მევალე ჰყოლია, რომლებიც ფულს არ აბრუნებენ და ერთ-ერთი ვერსიით, მიზნის მიღწევა ცნობილ ფეხბურთელს აკრძალული მეთოდით უცდია. სამართალდამცავებმა ისიც დაადგინეს, რომ თურმე მიკოლის მეგობრული ურთიერთობა აქვს უკვე განადგურებული დაჯგუფების, „კოზა ნოსტრას" ყოფილი ლიდერის ვაჟთან, **მაურო ლაურიჩელასთან**, რომელიც რამდენჯერმე ნასამართლევია და პოლიციის მუდმივ კონტროლში იმყოფება. საქმეში ფიგურირებს კიდევ ერთი ნიუანსი, რომლის მიხედვითაც მიკოლი ლაურიჩელას სხვა კუთხითაც დაეხმარა - ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის უფროსთან მეგობრული კავშირი გამოიყენა და ცნობილი მაფიოზის შვილს ისეთი სიმ-ბარათის აღებაში დაეხმარა, რომელიც არ ისმინებოდა. მიკოლის წარსულში გაკეთებული ფრაზაც ამოუქექეს, რომელსაც თავის დროზე დიდი ყურადღება არ მიექცა - ფეხბურთელმა „კოზა ნოსტრასთან" მებრძოლი, ლეგენდარული კომისარი **ჯოვანი ფალკონე** გააკრიტიკა და მას ნაგავი უწოდა. მოკლედ, ფაბრიციომ შარში გაყო თავი, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს.

**ლაშა ნიკლაური**



ფაბრიციო მიკოლი შარშია

ინტერი



მასიმო მორატი

# ინდონეზიელები ნახევარ ინტერს ყიდულობენ

იტალიურ სპორტულ პრესაში აქტიურად ვრცელდება ცნობები **მასიმო მორატისა** და ინდონეზიელ ბიზნესმენ **ერიკ ტოხირის** მოლაპარაკების შესახებ, რომელიც უკვე დასკვნით სტადიაზე ყოფილა და შეთანხმებასაც წინ ბევრი არაფერი უდგას. საქმე ეხება მილანური გრანდის აქციათა 40%-ს, რომლის შეძენაც სწორედ ხსენებულ ბიზნესმენს სურს. ამ თემაზე ჟურნალისტებმა მორატისთან გასაუბრება სცადეს, მაგრამ პრეზიდენტმა კომენტარის გაკეთებისგან თავი შეიკავა. ეს კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვებს, რადგან ჟურნალისტებთან მუდმივად ახლო ურთიერთობაში მყოფ მორატის გავრცელებული ხმების უარყოფა არ გაუჭირდებოდა. როგორც ჩანს, მოლაპარაკება მართლაც მიმდინარეობს და შეთანხმების ალბათობაც მაღალია.

„კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ლაპარაკია დაახლოებით 500 მილიონიან ინვესტიციაზე, რომელიც „ინტერისთვის" ახალი სტადიონების აშენებას და ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას უნდა მოხმარდეს. ალბათ, თანხის ნაწილი ტრანსფერებისთვისაც გადაიდება. ამასთან, მორატი მხოლოდ 40%-ს დათმობს და საკონტროლო პაკეტს, ანუ ხმის უმთავრეს უფლებას თვითონ დაიტოვებს. ვნახოთ, რით დასრულდება იტალიელი და ინდონეზიელი ბიზნესმენების მოლაპარაკება.

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

## პროკურატურა უარყოფს: მესის არ გავრიგებივართ

ქალაქ ბარსელონას პროკურატურამ უარყო ესპანურ პრესაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თითქოს, **ლიონელ მესისთან** და მის მამასთან, **ხორხე ორასიო მესისთან** გარიგებას მიაღწიეს.

პროკურატურის წარმომადგენელმა ბრიფინგზე განაცხადა, რომ არ იცის საიდან გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს, ლეო მესი 15 მილიონ ევროს გადაიხდის და სამართლებრივი დევნისგან განთავისუფლდება.

შეგახსენებთ, რომ მესის და მის მამას 2007-2009 წლებში 4,1 მილიონი ევრო გადასახადის დამალვაში ედებათ ბრალი. სასამართლო პროცესი 17 სექტემბერს ქალაქ გავაში გაიმართება, სადაც ცხოვრობს „ბარსელონას" არგენტინელი ვარსკვლავი.

## გიგზმა უეფას მწვრთნელთა კურსებზე ჩააბარა

„მანჩესტერ იუნაიტედის" 39 წლის უელსელმა ნახევარმცველმა **რაიან გიგზმა** უეფას პრო-ლიცენზიის 18-თვიან კურსებზე ჩააბარა. გიგზი ამჟამად თურქეთშია, სადაც შეიტანა განაცხადი დაუსწრებელ კურსებზე.

შეიძლება გიგზი ერთ-ერთი პირველი ფეხბურთელი გახდეს, რომელმაც კარიერის დასრულებამდე შეძლო პრო-ლიცენზიის აღება.

*„ჩემთვის ყველაფერი ახლიდან იწყება, ისევ მოსწავლე გავხდი. ძალიან ბევრი უნდა ვისწავლო და გამოცდილება შევიძინო. ამ საქმეს მთელ ენერგიას შევწირავ, რაც კი ფეხბურთის თამაშის მერე დამრჩება"*, - განაცხადა რაიან გიგზმა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტენჰემი

# პაულინიომ დაადასტურა

## ვილიაც დეზებში მიდის. რას იზამს ადებაიორი?



პაულინიო კონფედერაციის თასის ფინალისტ ბრაზილიაში ერთ-ერთი საუკეთესოა

ბრაზილიის ნაკრების ნევრ **პაულინიოს** ჯერჯერობით საკლუბო კარიერისთვის არ სცხელა. ამის მიუხედავად ბრაზილიური და ბრიტანული პრესა ერთხმად ამტკიცებს, რომ 24 წლის საყრდენის „ტოტენჰემში" გადასვლა ოფიციალურად მალევე დადასტურდება. ინკოგნიტო წყაროები ირწმუნებიან, რომ „დეზების" ახალმა სპორტულმა დირექტორმა **ფრანკო ბალდინიმ** „კორინთიანსთან" პრაქტიკულად უკვე ყველაფერი შეათანხმა. ჩრდილოლონდონელებს „პენტაკამპეონების" ფეხბურთელის გადაბირება 17 მილიონი ფუნტი (19,84 მლნ ევრო) დაუჯდებათ. „დეილი მეილს" პაულინიოს სიტყვებიც მოჰყავს იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად ახლოს არიან მხარეები საბოლოო გარიგებასთან: *„ბრაზილიის ნაკრებისა და მისი გულშემატკივრებისათვის ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მთელი ყურადღება კონფედერაციის თასზე მქონდეს გადატანილი. ეს ასეც არის. აი, ტურნირის დასრულების შემდეგ კი, იმედი მაქვს, ჩემი ტრანსფერის საქმე მაქსიმალურად სწრაფად მოგვარდება. ინგლისში თამაში ჩემი ოცნებაა. ისეთ კლუბში ასპარეზობა კი, როგორიც „ტოტენჰემია", მხოლოდ საამაყოა. პატივს ვცემ იმ ამბიციურ გეგმებს, რომელთა განხორციელება კლუბმა უკვე წლებია დაიწყო. როცა ჩემმა აგენტმა მათი ინტერესის შესახებ გამანდო, ვიცოდი, რომ უარის თქმა ძალიან გამიჭირდებოდა".*

### ბრაზილიელს პლუს ესპანელი

goal.com-ის ცნობით, „ტოტენჰემმა" და „ბარსელონამ" 31 წლის **დავიდ ვილიას** ტრანსფერი შეათანხმეს. კატალონიური გრანდი გარიგების თანახმად 9 მილიონ ევროს მიიღებს. „ბლაუგრანამ" დავიდს დიდი ხნის წინათ მისცა „დეზებთან" პირად ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებების უფლება. ასე რომ, შეგვიძლია ჩავთვალოთ, „უაით ჰართ ლეინზე" ესპანეთის ნაკრების საუკეთესო ბომბარდირის გადასვლას მხოლოდ ფორმალობების მოგვარებაღა სჭირდება. აღსანიშნავია, რომ ვილია ლონდონში ბარსელონასთან შედარებით ნაკლებ ხელფასს, კვირაში 100 ათას ფუნტს მიიღებს. „კამპ ნოუზე" **ნეიმარის** გადასვლის შემდეგ **ტიტო ვილანოვას** გუნდში ვილიას ადგილი ნამდვილად აღარ იყო. მანაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო. ნიშნავს თუ არა ესპანელის შეძენა **ემანუელ ადებაიორის** წასვლას, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

### ჰოდლი ურჩევს

მიუხედავად იმისა, რომ გლენ ჰოდლს 7 წელიწადია მწვრთნელად არ უმუშავია, მისი ავტორიტეტი სამშობლოში ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. „ტოტენჰემის", „ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილმა დამრიგებელმა „დეზების" მეგავარსკვლავ გარეთ ბეილს გუნდში, უკიდურეს შემთხვევაში პრემიერლიგაში დარჩენა ურჩია. მიზეზად კი პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა დაასახელა. აი, რა თქვა მან: *„თუკი გარეთი საბოლოოდ მაინც გადაწყვეტს წასვლას, მე მას ინგლისურ კლუბებს უფრო ვურჩევდი და ვიდრე „რეალს". პრემიერლიგაში ამწუთას მისი ყიდვა მხოლოდ „იუნაიტედსა" და „სიტის" შეუძლიათ. ის საკმაოდ ახალგაზრდაა და უცხოეთში თამაშს ამის შემდეგაც მოასწრებს, მაგრამ ამისთვის მზად უნდა იყოს. ბეილს ჯერჯერობით ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ძალიან მწირი გამოცდილება უმაგრებს ზურგს".*

მანჩესტერ სიტი

# კიდევ ერთი კანდიდატურა

„მანჩესტერ სიტიმ" უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში ორი თავდამსხმელი გაყიდა. ჯერ იყო და, იანვარში „მილანს" მიაშურა **მარიო ბალოტელიმ**, რამდენიმე დღის წინ კი „იუვენტუსში" გააგრძო კარიერა **კარლოს ტევესმა**. კლუბი მათ შემცვლელს გამალებით ეძებს. პრემიერლიგის ექსჩემპიონი პარალელურად რამდენიმე კანდიდატურაზე მუშაობს. არგენტინელის ერთ-ერთი ყველაზე რეალური შემცვლელი „ბაიერნისა" და გერმანიის ნაკრების 27 წლის შემტევი **მარიო გომესია**. „სუპერმარიოს" 2012/13 წლების სეზონის სტარტზე სერიოზული პრობლემები შეექმნა, ტრავმა მიიღო და **იუპ ჰაინკესის** გუნდს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა, როცა „რეკორდმაისტერი" **მარიო მანჯუკიჩის** გარშემო შესანიშნავად იყო აწყობილი. მართალია, შეზღუდული სათამაშო დროის მიუხედავად გომესმა 19 გოლი მაინც გაიტანა, თუმცა ძირითადის ფეხბურთელად მაინც ხორვატი ფორვარდი მიიჩნეოდა. „უემბლიზე" ჩემპიონთა ლიგის ფინალმა ეს თვალნათლივ დაადასტურა. ცხადია, გომესი მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე სათადარიგო მოთამაშის როლთან შეგუებას არ გეგმავს. „ბაიერნიდან" მის წასვლაზე ხმები სწორედ ამიტომ აგორდა. მარიოს გადაბირება „ქალაქელებს" 30 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ვნახოთ, რა პასუხს გასცემს ევროპის საკლუბო ჩემპიონების ახალი თავკაცი **პეპ გვარდიოლა** „სიტის" შეთავაზებას. ესპანელის ხელმძღვანელობით გუნდმა წინასასეზონო მზადება უკვე დაიწყო. ჩვენი აზრით, გომესთან გამოთხოვების შემთხვევაში „ბაიერნს" ახალი თავდამსხმელი თავადაც დასჭირდება. მარიოს გარდა ხომ გუნდს განაცხადში მანჯუკიჩი და კლაუდიო პისარო რჩება.



მარიო გომესს ამბიციური კლუბებისგან წინადადებები არ აკლია

თავდამსხმელის გარდა „სიტის" მეორე მეკარის ყიდვაც სჭირდება, რადგან „ეტიჰადიდან" წასვლას გეგმავს რუმინეთის ნაკრების 26 წლის კარის დარაჯი **კოსტას პანტილიმონი**. „სიტიში" პირველი მეკარის პოზიცია ეჭვს არ იწვევს. უახლოესი წლების განმავლობაში **ჯო ჰარტს** ძნელად რომ ვინმემ გაუწიოს კონკურენცია.

ლივერპული

# შელვი და სხვა ნარმავალნი

„ლივერპული" სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე აქტიურად ჩაება ბატალიებში. „წითლებმა" უკვე 4 ფეხბურთელის ტრანსფერი სრულყვეს. ლაპარაკია **კოლო ტურეზე** („მანჩესტერ სიტი", თავისუფალი აგენტი), **იაგო ასპასზე** („სელტა", 7,7 მლნ ევრო), **ლუის ალბერტოსა** („სევილია", 6,8 მლნ ევრო) და **სიმონ მინიოლეზე** („სანდერლენდი", 9 მლნ ევრო). **ბრენდან როჯერსი** საკადრო საკითხს ამით ნამდვილად არ დახურავს. მომსვლელების გარდა, ცხადია, გუნდს ფეხბურთელები დატოვებენ კიდეც. ერთ-ერთი ვის წასვლაზეც ლაპარაკი სერიოზულად მიდის, 21 წლის **ჯონჯო შელვია**.

ინგლისის ნაკრების კანდიდატს „სუონსი" და „ნორვიჩი" იწვევენ. მას ორივეგან პრაქტიკულად გარანტირებულ ადგილს ჰპირდებიან ძირითად შემადგენლობაში. „ენფილდზე" შელვი არც შარშან იყო განებივრებული სათამაშო პრაქტიკით. იანვარში **ფილიპე კოუტინიოს** შეძენის შემდეგ კი მას კიდევ უფრო დიდხანს უწევდა სათადარიგოთა სკამზე ჯდომა. ასპასისა და ლუის ალბერტოს გარემოცვაში კი ჯონჯო წინასწარ განწირული ჩანს მარცხისთვის. ამას დაუმატეთ, რომ მერსისაიდელთა თავკაცს „შახტარიდან" ჰენრიხ მხითარიანის ყიდვაც უნდა.




ჯონჯო შელვი

„ლივერპულ ეხოს" ცნობით, „ლივერპული" მზად არის, შელვის ტრანსფერზე შეთავაზებების განსახილველად. კლუბს ამ გზით 6 მილიონი ფუნტის შოვნის იმედი აქვს. გეტყვით იმასაც, რომ 2010 წელს „ჩარლ ტონიდან" მისი შეძენა 1,76 მილიონი დაჯდა. შელვის გარდა „ენფილდიდან" წავლენ **უსამა ასაიდი** და **ჯეი სპირინგიც**.

ამბები



### ტერაქტი აღკვეთილია

„როიტერის" ცნობით, ოთხშაბათს სტოკჰოლმში ჯერ კიდევ მშენებარე 40-ათასიან Tele2Arena-ზე პოლიციის სპეციალურმა ჯგუფმა ტერაქტი აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ სტადიონზე წვრილ-წვრილი სამუშაოები ჯერ კიდევ არის დარჩენილი, მასზე ვეტერანი ფეხბურთელების ამხანაგური მატჩი უნდა გამართულიყო. შეხვედრა არ შედგა, რადგან უსაფრთხოების სამსახურმა უცხო ნივთი აღმოაჩინა, რომელსაც ზედვე ეწერა, რომ ის ასაფეთქებლად იყო გამიზნული. სტოკჰოლმის პოლიციის პრესსამსახურის განცხადებით, გამნაღმველებმა მოწყობილობა გააუვნებელყვეს და დაადგინეს, რომ ის მართლა სერიოზული საფრთხის შემცველი იყო. გამოძიება უკვე მუშაობს სავარაუდო ეჭვმიტანილების ვინაობის დასადგენად. სტადიონის ოფიციალური პრეზენტაცია 20 ივლისისთვის არის დაგეგმილი. იმედია, ამჯერად ყველაფერი კიდევ უფრო მშვიდობიანად ჩაივლის.

### მაკლსფილდმა გადაიფიქრა

ორიოდე დღის წინ საფეხბურთო კლუბ „მაკლსფილდის" გარშემო გავრცელებულმა ხმებმა საფეხბურთო საზოგადოება პრაქტიკულად შოკში ჩააგდო. რანგით მე-5 ლიგის გუნდი სპონსორს ეძებდა, ვისაც 20 ათასი ფუნტის გადახდის სანაცვლოდ განაცხადში შეიყვანდა. მთავარი მწვრთნელი კი თავისი შეხედულების მიხედვით თასის ან ჩემპიონატის რომელიმე შეხვედრაში მას 10 წუთით მისცემდა მოედანზე გასვლის საშუალებას.

მას შემდეგ, რაც ეს ამბავი გახმაურდა და მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, კლუბმა იდეაზე უარი თქვა. იმისთვის, რომ „მაკლსფილდი" გაკოტრებულად არ გამოცხადდეს, მას აგვისტოს ბოლომდე 100 ათასი ფუნტის შოვნა მართებს. სულ კი მისი ვალი ნახევარ მილიონ ფუნტს აღწევს.

### ნორვიჩის უარი

„სანის" ცნობით, „ნორვიჩმა" „ჩელსის" 5 მილიონ ფუნტად **ჯონ რადის** დათმობაზე უარი უთხრა. 26 წლის ფეხბურთელმა 2012/13 წლების სეზონი „იადონების" ძირითადი მეკარის სტატუსით დაიწყო, მაგრამ მერე ტრავმა მიიღო და სასტარტოში ადგილი **მარკ ბენს** დაუთმო. „ნორვიჩი" მეკარის გაყიდვაზე უარს არ ამბობს და უკეთეს შეთავაზებას ელოდება. რადის შეძენა **ჟოზე მოურინიომ** მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც კლუბს მოულოდნელად მეკარის პრობლემა შეექმნა. „სტემფორდ ბრიჯს" სათადარიგო მეკარეები **როს ტერნბული** და **ენრიკე ილარიო** ტოვებენ. მათ „ჩელსისთან" კონტრაქტები უმთავრდებათ. ასე რომ, დუბლების მეკარეებს თუ არ ჩავთვლით, **პეტრ ჩეხს** ამ ეტაპზე შემცვლელი არ ჰყავს.




ჯონ რადი

### სიმპსონი ქუინზ პარკში წავიდა

ორიოდე დღეში „ნიუკასლის" ყოფილი მარჯვენა მცველი **დენი სიმპსონი** „ქუინზ პარკს" თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება. მხარეთა შორის 3-წლიანი ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. 26 წლის ფეხბურთელს მთელი შარშანდელი (და არა მარტო შარშანდელი) სეზონის განმავლობაში პრობლემები ჰქონდა დისციპლინასთან. ის არაერთხელ შეუნიშნავთ სამორინეებსა და ღამის კლუბებში. ერთ-ერთი ასეთი გართობა მას ძალიან ძვირი დაუჯდა. ნასვამს მავან ხულიგანთან უსიამოვნება შეემთხვა და სერიოზულად გაილახა. სიმპსონს სპორტულ ასპარეზზეც არ უმართლებდა - **მატიე დებუშისთან** კონკურენციაში უშანსოდ დამარცხდა, რამაც კლუბი აიძულა, მასთან თანამშრომლობის გაგრძელებაზე აღარ ეფიქრა.

### სუონსის მორიგი ესპანელი




ხორდი ამატი

ხუთშაბათს, გვიან ღამით ცნობილი გახდა, რომ „სუონსიმ" 4-წლიანი ხელშეკრულება გაუფორმა ესპანელ ცენტრალურ მცველს, 21 წლის **ხორდი ამატს**. „ესპანიოლი" „გედებისგან" საკომპენსაციოდ 2,5 მილიონ ფუნტს მიიღებს. ამატმა უკანასკნელი სეზონი იჯარით „რაიო ვალეკანოში" გაატარა. მან მადრიდელთა ღირსება პრიმერა დივიზიონის 27 შეხვედრაში დაიცვა. ამატის გარდა „ლიბერთი სტედიუმზე" ესპანური პასპორტის მქონე ოთხი ფეხბურთელი თამაშობს. მათ შორის მისი თანაამპლუელი **ჩიკო ფლორესი**. აღნიშნული ტრანსფერის სრულყოფა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „გედები" კაპიტან **ეშლი უილიამსის** გაყიდვას იოლად დათანხმდებიან.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ, სებასტიან კელი

# გიოტცეს გარეშეც მაგრები ვიქნებით!

## ლევანდოვსკის დაკარგვა არაფრით არ შეიძლებოდა

გერმანიის ვიცე-ჩემპიონი და ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი დორტმუნდის „ბორუსია“ ახალი სეზონისთვის მზადებას მომავალ კვირაში შეუდგება, გუნდის კაპიტან სებასტიან კელისთვის, რომელიც 33 წლისაა, ეს „დორტმუნდში“ რიგით მე-12 მოსამზადებელი პერიოდი იქნება. „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში კელი დარწმუნებით აცხადებს, რომ მიუხედავად მარიო გიოტცეს დაკარგვისა, „ბორუსია“ მაინც ძლიერი გუნდი იქნება და უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

**- ჰერ კელ, „დორტმუნდი“ მზადებას ოთხშაბათს შეუდგება. ფეხბურთის თამაში უკვე მოგენატრათ?**

- ჩემპიონთა ლიგის ფინალის წაგების შემდეგ მართლაც ხანგრძლივი შვებულება მჭირდებოდა. ამ ხნის განმავლობაში შევეცადე, „ბაიერნთან“ წაგება დამევიწყებინა – ცხადია, ვერ დავივიწყე, მაგრამ რაც მთავარია, დავისვენე. როცა ვხედავ, რომ სხვა გუნდებმა მზადების პროცესი უკვე დაიწყეს, ვგრძნობ, რომ ფეხბურთი მართლაც მომენატრა.

**- როგორ ფიქრობთ, რისი მიღწევა შეუძლია „დორტმუნდს“ მომდევნო სეზონში?**

- ბოლო წლებში „ბორუსია“ სტაბილურად ძლიერ კლუბად ჩამოყალიბდა. საკმაოდ კარგი გუნდი გვყავს და ნამდვილად არ დავსუსტდებით. პირიქით: მე მგონია, რომ მომავალ სეზონში უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება.

**- გვარდიოლას „ბაიერნს“ კონკურენციას გაუწევთ?**

- ეს მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ფაქტია, რომ „ბაიერნისთვის“ სერიოზული კონკურენციის გაწევა შეგვიძლია. მიუნხენელებმა ბუნდესლიგა და ჩემპიონთა ლიგა დამსახურებულად მოიგეს და მომდევნო სეზონშიც ფავორიტები იქნებიან, მაგრამ ჩვენც მაქსიმალურად შევებრძოლებით.

**- „დორტმუნდმა“ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ფეხბურთელი შეიძინა – მცველი სოკრატის პაპასტატოპულოსი. ფაქტია, რომ გუნდს გაძლიერება კიდევ სჭირდება...**

- ამაზე არ ვნერვიულობ. კარგი ფეხბურთელების გადმობირება ადვილი ნალდად არ არის, ჩვენ კი მხოლოდ კარგები გვჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ იურგენ კლოპი, მიხაელ ცორკი და ჰანს-იოახიმ ვატცკე დანაპირებს შეასრულებენ და 2-3 მართლა მაგარ ფეხბურთელს დაგვიმატებენ.

**- რობერტ ლევანდოვსკიც რჩება...**

- ეს ძალიან მიხარია! რობერტი ჩვენი გუნდისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა, რაც გასულ სეზონში ძალიან ბევრჯერ დაამტკიცა. მისი დაკარგვა ახლა ნამდვილად არ შეიძლებოდა.

**- არ გეშინიათ, რომ ლევანდოვსკი აღარ მოინდომებს ისე, როგორც აქამდე ინდომებდა? მას ხომ „ბაიერნში“ გადასვლა უნდოდა...**

- არა მგონია, რომ მოტივაცია დააკლდეს. რობერტი ნამდვილი პროფესიონალია და ესეც არაერთხელ დაუმტკიცებია. ეჭვი ოდნავადაც არ მეპარება იმაში, რომ ლევანდოვსკი „დორტმუნდისთვის“ მაქსიმალურად დაიხარჯება.

**- მატს ჰუმელსმა ვერ დამალა გაბრაზება იმის გამო, რომ მარიო გიოტცე „ბაიერნში“ გადავიდა და „გიოტცინიო“ მწარედ გააკრიტიკა. თქვენ რას ფიქრობთ?**

- მარიომ, რა თქმა უნდა, ყველას გული დაგვწყვიტა. როცა გავიგე, რომ „ბაიერნში“ გადადიოდა, გაკვირვებისგან მეც პირი დავაღე. თუმცა ამ ამბავსაც პოზიტიური კუთხით უნდა შევხედოთ: სამაგიეროდ, გიოტცეს ტრანსფერმა საკმაოდ ბევრი ფული მოგვიტანა და საშუალებას გვაძლევს, გუნდი გავაძლიეროთ. მის სანაცვლოდ აღებული თანხა ჭკვიანურად უნდა გამოვიყენოთ. თავიდან მეც ძალიან გაბრაზებული ვიყავი, ახლა კი გაბრაზებამ გადამიარა და უბრალოდ ნაწყენი ვარ. ჩვენ ჩვენს თავს უნდა მივხედოთ, მარიოს კი ღმერთმა ხელი მოუმართოს...

**- ჰუმელსმა თქვა, გიოტცეს სპორტული თვალსაზრისით არანაირი მიზეზი არ ჰქონდა საიმისოდ, რომ „ბაიერნში“ გადასულიყოო. ეთანხმებით?**

- საბოლოო ჯამში ასეთი გადაწყვეტილებები ინდივიდუალურია. ჩემი აზრით, ბოლო წლებში „დორტმუნდი“ პრესტიჟულობის მხრივ „ბაიერნს“ მნიშვნელოვნად მიუახლოვდა – „ბორუსიაზე“ უკეთესი ატმოსფერო კი, არა მგონია, სადმე იყოს. ვფიქრობ, რომ გიოტცე „დორტმუნდში“ კიდევ 1-2 წელი მაინც უნდა დარჩენილიყო.

**- მიუხედავად იმისა, რომ ფინალში ითამაშეთ, „ბორუსია“ ჩემპიონთა ლიგის წილისყრაზე მესამე კალათაში იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ისევ სიკვდილის ჯგუფში მოხვედრა გემუქრებათ...**

- ჰო, ალბათ ისევ ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდებით, მაგრამ ეს არ გვაშინებს. დიდი სახელი ავტომატურად წარმატებას არ ნიშნავს და წარმატების მიღწევა ქვედა კალათებიდანაც შესაძლებელია – ამაში გასულმა სეზონმა დაგვარწმუნა.

**- „დორტმუნდთან“ კონტრაქტი 2014 წლამდე გაკავშირებთ. ეს თქვენი უკანასკნელი სეზონი იქნება „ბორუსიაში“?**

- ჯერ არ ვიცი. ზამთარში ან ახალი წლის დასაწყისში ალბათ ხელმძღვანელებს დაველაპარაკები. შესაძლოა, მწვრთნელის ლიცენზია ავიღო.


დორტმუნდის ბორუსიას კაპიტანი სებასტიან კელი (მარჯვნივ) და მარიო გიოტცე

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციათა თასი. ფინალის წინ

# მარტოობის 27 წელიწადი

30 ივნისი

| ბრაზილია–ესპანეთი | 02:00 |
| --- | --- |

რიო დე ჟანეირო. „მარაკანა“ (ტევადობა: 78 838)

**სავარაუდო შემადგენლობები:**

**ბრაზილია (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - დანი ალვეში, ტიაგო სილვა, დავიდ ლუისი, მარსელო - პაულინიო, ლუის გუსტავო - ჰალკი, ოსკარი, ნეიმარი - ფრედი

**ესპანეთი (4-3-2-1):** კასილიასი - არბელოა, სერხიო რამოსი, პიკე, ალბა - ჩავი, ბუსკეტსი, ინიესტა - ხესუს ნავასი, სილვა - ფ. ტორესი

ურთიერთშეხვედრები

**სულ 8 მატჩი: +4 =2 -2 (11-8)**

კვირას კონფედერაციათა თასის ფინალში ერთმანეთს ის გუნდები შეხვდებიან, ვინც ტურნირის დაწყების წინ მთავარ ფავორიტებად მიიჩნეოდნენ. „მარაკანაზე“ ერთმანეთის წინაშე ორი რეკორდსმენი, ბრაზილია და ესპანეთი წარდგებიან. „სელესაომ“ 1/2 ფინალში ურუგვაის მოუგო და კონფედერაციათა თასზე ზედიზედ მე-11 გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ესპანეთმა პენალტების სერიაში იტალიას სძლია (7:6) და ოფიციალურ მატჩებში დაუმარცხებელი სვლა 29-მდე გაზარდა. გარდა ამისა, თუ ამხანაგურებსაც ჩავთვლით, „ფურია როხას“ ბოლო 26 მატჩია არ წაუგია, ბრაზილია კი 10 შეხვედრაა არ დამარცხებულა (6 მოგება, 4 ფრე).

ნახევარფინალში ორივე გუნდმა მძიმე ბრძოლა გადაიტანა, მაგრამ უფრო რთულ სიტუაციაში მაინც ესპანეთი აღმოჩნდა. გარდა იმისა, რომ ბრაზილიამ თავისი თამაში ერთი დღით ადრე გამართა, ესპანეთმა მინდორზე დამატებითი ნახევარი საათი გაატარა, რამაც გუნდზე შესაძლოა ცუდად იმოქმედოს.

*„ძალები უნდა აღვიდგინოთ და ფინალისთვის კარგად მოვემზადოთ. ჩვენ დღეს 120 წუთი ვითამაშეთ, მაგრამ მე გუნდში მყავს ფეხბურთელები, რომლებიც ერთი კვირის განმავლობაში სამჯერ თამაშს მიჩვეულნი არიან, ამიტომ მჯერა, რომ კვირას შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენაში ხელს ფიზიკური მომზადება ვერ შეგვიშლის,“* - განაცხადა **ვისენტე დელ ბოსკემ**.

გუნდები ფინალს დანაკლისის გარეშე ხვდებიან, თუმცა მწვრთნელების წინაშე მცირე დილემა კი წამოიჭრა. **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ჰალკთან** დაკავშირებით გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. შემტევი ოთხეულიდან (ჰალკი, **ოსკარი, ნეიმარი, ფრედი**) სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ ფეხბურთელი აშკარად ყველაზე სუსტად თამაშობს. ამავე დროს, „სელესაოს“ თადარიგში ჰყავს **ლუკას მოურა** და **ბერნარდი**, რომელიც ურუგვაისთან ცვლილებაზე გამოვიდა და საკუთარი გუნდი გამოაცოცხლა. სწორედ „ატლეტიკო მინეიროს“ 20 წლის შემტევის გამოსვლის შემდეგ დაეუფლა ბრაზილია გადამწყვეტ უპირატესობას.

დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაშია ვისენტე დელ ბოსკეც - **ხესუს ნავასმა** 1/2 ფინალში შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა და მისი სკამზე დასმა საკმაოდ რთული იქნება. „მანჩესტერ სიტიში“ გადასული ფეხბურთელის გარდა, „რეალის“ ყოფილ თავკაცს შემადგენლობაში **პედრო, დავიდ სილვა, ხუან მატა, სესკ ფაბრეგასი** და **სანტი კასორლა** ჰყავს. ამ შესანიშნავი ექვსეულიდან მწვრთნელმა ორი უნდა ამოარჩიოს.



კონფედერაციათა თასის ფინალში ერთმანეთს ბრაზილიისა და ესპანეთის ნაკრებები შეხვდებიან



## ურთიერთშეხვედრები

გასაკვირია, მაგრამ ამ გუნდებს, მიუხედავად ხანგრძლივი ისტორიისა, ერთმანეთში სულ 8-ჯერ აქვთ ნათამაშები. შედარებისთვის, ბრაზილიას ინგლისთან 25 მატჩი აქვს გამართული, გერმანიასთან 21, იტალია-საფრანგეთთან კი 16-16.

აღსანიშნავია, რომ ამ 8 მატჩიდან, 5 მუნდიალზე შედგა და ამაზე მეტჯერ, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე „სელესაოს“ მხოლოდ შვედეთთან (7) აქვს ნათამაშები.

1934 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე ეტაპზე (1/8 ფინალი) გამართული მატჩი ესპანეთის გამარჯვებით დასრულდა (3:1) და იქიდან მოყოლებული, პირენეელებს ბრაზილიასთან მუნდიალზე აღარ მოუგიათ. 1950 წელს, ფინალურ ჯგუფში, მასპინძლებმა ესპანეთი გაანადგურეს (6:1), 1962 წელს კი ჯგუფური ეტაპის გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს (2:1). თავიდან ადელარდოს გოლით ესპანელები იგებდნენ, მაგრამ ამარილდოს დუბლის წყალობით (72-ე და 86-ე წუთები) გამარჯვება ბრაზილიას დარჩა. ამას მოჰყვა 1978 წლის ჩემპიონატის დაპირისპირება, რომელშიც გოლი არ გასულა და 1986 წლის მუნდიალის ჯგუფური ეტაპის მატჩი, რომელიც „სელესაომ“ სოკრატესის ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო.

ბოლო 27 წლის განმავლობაში, ესპანეთმა და ბრაზილიამ სულ ორი მატჩი გამართეს და ორივე ამხანაგური გახლდათ. 1990 წლის სექტემბერში ევროპელებმა 3:0 მოიგეს, 1999 წლის დაპირისპირება კი 0:0 დასრულა. როგორც ხედავთ, ოფიციალურ ტურნირზე ესპანეთს და ბრაზილიას უკვე 27, ზოგადად კი 14 წელია არ უთამაშიათ.

აქვე, ბარემ დავამატოთ, რომ ფინალში ერთმანეთს ხვდებიან გუნდები, რომლებმაც ბოლო 11 წლის განმავლობაში, ფიფას რეიტინგში წელიწადი პირველ პოზიციაზე 10-ჯერ (5-5-ჯერ; ბრაზილია: 2002-2006, ესპანეთი: 2008-2012) დაასრულეს. ერთადერთი გუნდი, რომელმაც მათი ჰეგემონია დაამხო, არგენტინის ნაკრები გახლდათ, ვინც 2007 წელი დაასრულა პირველ ადგილზე.

## დელ ბოსკე

*„ნამდვილად არ ვიცი და ვერ გეტყვით, ვის ექნება ფინალში უპირატესობა. ვეცდებით, რომ მატჩმა ჩვენი კარნახით ჩაიაროს. დღეს, იტალია ძალიან ძლიერი იყო და ისინი მატჩის მიმდინარეობას აკონტროლებდნენ,“* - განაცხადა „ფურია როხას“ დამრიგებელმა იტალიასთან მატჩის შემდეგ.

ვისენტე დელ ბოსკე მეტოქეზეც ისაუბრა და რამდენიმე ფეხბურთელი გამოარჩია: *„დანი ალვეში და მარსელო შესანიშნავი ფეხბურთელები არიან - მათ თამაშზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლიათ. ნეიმარი უბრალოდ ფანტასტიკურია და გარდა ამისა, მათი ნახევარდაცვაც ძალიან ძლიერია. ბრაზილიას ბევრი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავს და რომელიმეს გამოყოფა გამიჭირდება“*.

## სკოლარი

*„ჩვენ სტილს არ ვუღალატებთ და ისე ვითამაშებთ, როგორც აქამდე ვთამაშობდით. ესპანეთმა, ფაქტობრივად, ერთით ნაკლები მატჩი ჩაატარა, რადგან ტაიტისთან ყველა გუნდმა შემადგენლობის როტაციას მიმართა,“* - ეს უკვე სკოლარის სიტყვებია.

ბრაზილიელთა დამრიგებლის ეს განცხადება უცნაურად ჟღერს, რადგან ესპანეთმა 1/2 ფინალში ერთი დღით გვიან, თანაც 120 წუთი ითამაშა და მისი მხრიდან ჯგუფური ეტაპის შეხვედრის გახსენება მართლაც უცნაური იყო.

ისევ სკოლარი: *„ესპანეთს პატივს ვცემთ, მაგრამ ჩვენ ფინალამდე მოვედით და მათი დამარცხება ნამდვილად შეგვიძლია“*.

მატჩი მესამე ადგილისთვის

30 ივნისი

| ურუგვაი–იტალია | 22:00 |
| --- | --- |

ურთიერთშეხვედრები

**სულ 7 მატჩი: +2 =3 -2 (5-5)**

ფინალამდე 6 საათით ადრე, ქალაქ სალვადორში იტალია და ურუგვაი ერთმანეთს მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდებიან. გუნდების სავარაუდო შემადგენლობას არ გთავაზობთ, რადგან შეხვედრის უმოტივაციობიდან გამომდინარე, ძალიან დიდია იმის შანსი, რომ მწვრთნელებმა იმ ფეხბურთელებს მისცენ თავის გამოჩენის შესაძლებლობა, ვისაც აქამდე ბევრი არ უთამაშია და ამ პირობებში, ძირითადი შემადგენლობის გამოცნობა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ორივე გუნდმა 1/2 ფინალში ძალიან მტკივნეული მარცხი განიცადა. ურუგვაიმ ბრაზილიას არაფერი დაუთმო და დამატებით დრომდე წუთები დააკლდა, იტალიამ კი მხოლოდ პენალტების სერიაში წააგო, თანაც ბევრის აზრით (მათ შორის დელ ბოსკეც არის) „სკუადრა აძურა“ შეხვედრას აკონტროლებდა და მოგებაც შეეძლო.

## ურთიერთშეხვედრები

იტალიას და ურუგვაის ერთმანეთში 7 მატჩი აქვთ გამართული და აქ სრული თანაფარდობაა: 2 მატჩი „სელესტემ“ მოიგო, 2 „აძურამ“, 3 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ამ გუნდებს შორის სულ ორი შეხვედრა გაიმართა: 1970 წელს, ჯგუფური ეტაპის მატჩი 0:0 დასრულდა. საბოლოოდ, იმ ჩემპიონატზე ურუგვაი მე-4 ადგილზე გავიდა, იტალიამ კი ფინალი წააგო.

1990 წელს, „სკუადრა აძურამ“ ურუგვაის 1/8 ფინალში 2:0 მოუგო. გოლები **„ტოტო“ სკილაჩიმ** და **ალდო სერენამ** გაიტანეს.

ბოლო დაპირისპირება კი 2011 წელს რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ შედგა და ურუგვაიმ **სებასტიან ფერნანდესის** მიერ მატჩის დებიუტში (მესამე წუთზე) გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით მოიგო.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



*მეგატრანსფერი*

## ქართველი ამერიკულ ბლოკბასტერში: შენგელია ბოსტონში

### გარნეტი, პირსი და ტერი „ბრუკლინში“




NBA-ს დრაფტის დასრულების შემდეგ „ბოსტონ სელტიქსი“ და „ბრუკლინ ნეთსი“ მეგატრანსფერზე შეთანხმდნენ: „ნეთსში“ გადავლენ ვეტერანი „კელტები“ **პოლ პირსი, კევინ გარნეტი** და **ჯეისონ ტერი**. მათ სანაცვლოდ „ბოსტონში“ ითამაშებენ **კრის ჰამპრისი, რეჯი ევანსი, კიტ ბოგანსი, ჯერალდ უოლასი** და **თორნიკე შენგელია**. ბოსტონელებმა ეს არ იკმარეს და „ბრუკლინს“ 2014, 2016 და 2018 წლებში დრაფტის პირველ წრეში არჩევის უფლებაც დაათმობინეს.

როგორც NBA-ის საიტი იტყობინება, გარიგება ოფიციალურად 10 ივლისს გაფორმდება. მანამდე რა შეიძლება შეიცვალოს, ძნელი სათქმელია. თუმცა „ბლოკბასტერად“ წოდებული ტრანსფერი ზოგადი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: „ბრუკლინ ნეთსი“ ჩემპიონობაზეა ორიენტირებული და მოცდას არ აპირებს. სწორედ ამიტომ დაიმატა 37 წლის გარნეტი, 35 წლის პირსი და ასევე 35-ის ტერი. სანაცვლოდ, „ბოსტონის“ ხელმძღვანელობა მომავლის გუნდის შენებას იწყებს...

არ არის გამორიცხული, ბოსტონელებმა „ბრუკლინიდან“ გადაბირებული რომელიმე მოთამაშე სხვა გუნდში გაუშვან, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ თორნიკეს „სელტიქსში“ დარჩენა სწორი ნაბიჯი იქნება. გაგახსენებთ: 2005 წელს **ზაზა ფაჩულია** სწორედ ახალგაზრდულ, მშენებარე „ატლანტაში“ ჩაირიცხა და გუნდთან ერთად წლიდან-წლამდე იზრდებოდა. ორ წელიწადში „ჰოქსმა“ პლეი ოფსაც მიაღწია და აღმოსავლეთის კონფერენციის ფავორიტთა კვარტეტშიც გაერია.

დღეს თორნიკე შენგელიასაც მშენებარე გუნდი სჭირდება, რომელიც ახალგაზრდების გამოწვრთნაზე უფრო იქნება ორიენტირებული, ვიდრე რომელიმე კონფერენციის მოგებაზე.

არა გვგონია, შემთხვევითი დამთხვევა იყოს, რომ წინასასეზონო პერიოდში შენგელიამ საუკეთესო მატჩი „ბოსტონის“ წინააღმდეგ ითამაშა - სირენამდე 40 წამით ადრე თოკოს ეფექტურ ჩატენვას დიდი ოვაციები, შემდეგ კი გამოხმაურება მოჰყვა. იმ ორქულიანით „ნეთსმა“ ანგარიში გაათანაბრა (95:95), რასაც თოკომ საჯარიმო მიაყოლა და ბრუკლინელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*P.S. გუშინ გვიან ღამით შევიტყვეთ, რომ „ბრუკლინს“ საბოლოო სახე არ აქვს მიღებული და რადგან ოფიციალურად 10 ივლისს უნდა გაფორმდეს, გარკვეული ცვლილებები კიდევ მოსალოდნელია. რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, დიდია ალბათობა, გარიგება შენგელიას გარეშე ჩატარდეს და თორნიკე „ბრუკლინში“ დარჩეს.*

*საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები*

## გამარჯვება იტალიაში უკრაინასთან

### ბურჯანაძეს ნეკის ძვალი გაებზარა

**საქართველო–უკრაინა 63:55**

22:14, 12:12, 14:15, 15:14

საქართველო: ორმოცაძე, ო. ფხაკაძე (24), გრძელიძე (7), მიქელაძე (9), კვანტალიანი, ცირეკიძე (6), როგავა (11), გელაზონია (4), ჯინჭარაძე (2).

უკრაინა: არტამონოვი (10), ლუტსენკო, სმირნოვი, ზაგრება (1), კორენიუკი (9) ზუიკოვი (2), კობეტსი (5), შუნდელი (10), ფურსი (14), ჟუკოვსკი (4)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა იტალიის საერთაშორისო ტურნირზე, „მენეგინ დე სილვესტრო დომეჯეზე“ პირველი მატჩი გამართა და სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ქართველთა მეტოქე უკრაინელები იყვნენ. ჩვენმა გუნდმა თავიდანვე აქტიურად შეუტია ლურჯ-ყვითლებს და პირველი მეოთხედი 22:14 მოიგო. მას მერე **დავით უსტიაშვილის** შეგირდებს თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ, და საბოლოო ანგარიშშიც 8-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა.

ქართველებმა სამიოდე დღის წინ დასრულებული სანტ ანჯელოს ტურნირის საუკეთესო კალათბურთელის **ბექა ბურჯანაძის** გარეშე ითამაშეს, რომელმაც ვარჯიშისას ნეკა თითი დაიზიანა.

*- როგორც ექიმებმა მითხრეს, მარცხენა ხელის ნეკის ძვალია გაბზარული. დამაიმედეს, რომ ევროპის ჩემპიონატამდე (9 ივლისს იწყება) ტრავმა მოშუშდება და ესტონეთში თამაშს შევძლებ, მაგრამ ვარჯიში ხომ მინდა, ევროპისთვის ფორმაში რომ ვიყო?!* - გვითხრა გუშინ ბექამ.

ქართველებს გამარჯვებისკენ **ოთარ ფხაკაძე** გაუძღვა, რომელმაც 24 ქულა ჩააგდო. მის ანგარიშზე 7-დან 3 სამქულიანია. პერიმეტრიდან ტყორცნებში ქართველებმა უკრაინელებს ორით აჯობეს - 7 სამიანი გამოიყენეს. მოხსნებში კი მეტოქეს რვით ჩამორჩნენ - 43:51.

დღეს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები მასპინძელ იტალიელებს დაუპირისპირდება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

*ლელო წერდა...*

80 ლელო

### 51 წლის წინათ...

ევროლიგის ოფიციალურ ვებგვერდზე თბილისის „დინამოს“ მიეძღვნა სტატია, რომლის სათაურიც ასეთი იყო: დინამოელებმა ჩემპიონთა თასი მოიგეს, იცოდით?

ზუსტად 51 წლის წინათ, 29 ივლისს თბილისელებმა ჟენევაში გამართულ ფინალში მადრიდის „რეალი“ 90:83 დაამარცხეს და ქართული საკლუბო სპორტის ისტორიაში ყველაზე მაღალ მწვერვალს მიაღწიეს - ჩემპიონთა თასი საქართველოში ჩამოიტანეს.

ამ მოვლენას 61 წლის წინათ გამოსულ „ლელოში“ საინტერესო სტატია მიეძღვნა - გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ქორქიამ საკუთარი შთაბეჭდილებები ხალხს გაზეთის ფურცლებიდან გააცნო. მატჩის დეტალების უკეთ გასაცნობად აქვე შემოგთავაზებთ იმავე „ლელოში“ გამოქვეყნებულ ფინალის ქრონოლოგიას.

**მატჩის სტენოგრამა**

„დინამო“ - მინაშვილი, უგრეხელიძე, ლეჟავა, ალთაბაევი, ხაზარაძე.

„რეალი“ - ლუისი, როდრიგესი, სევილიანო, ჰაიტაუერი, მორისონი.

პირველი წუთი - ალთაბაევის ორი სროლა და „დინამოს“ მიყავს ანგარიში - 4:0.

**მესამე წუთი** - ხაზარაძის, ლუისის, ჰაიტაუერისა და როდრიგესის სროლები - 6:6.

**მეხუთე წუთი** - ესპანელები გადიან წინ - 12:8, მაგრამ ლეჟავას და მინაშვილის წყალობით ანგარიში თანაბრდება - 14:14.

**მეშვიდე წუთი** - წინ უკვე „დინამოა“ - 17:14.

**მეცხრე წუთი** - უგრეხელიძეს ცვლის კილაძე. „დინამო“ წინაა - 19:16.

**მეთერთმეტე წუთი** - გათამაშდა როდრიგესი. ანგარიშში სხვაობა შემცირდა - 21:20.

**მეცამეტე წუთი** - „რეალი“ წინ გადის ქულით, მაგრამ მინაშვილი ასწორებს მდგომარეობას - 25:24. აქვე ხდება ორი შეცვლა. ხაზარაძეს ცვლის მოსეშვილი, ლეჟავას - პეტროვი.

პირველი ნახევრის დამთავრებამდე შესამჩნევად გათამაშდა ჰაიტაუერი, თუმცა მისი დარაჯი პეტროვიც ენერგიულად უტევს ესპანელთა კალათას. ორი ცენტრალური თავდამსხმელის ბრძოლაში პეტროვმა ორი ქულა მოიგო. ტაიმის შედეგია 38:36 „დინამოს“ სასარგებლოდ.

მეორე ნახევარს „დინამო“ ასეთი შემადგენლობით იწყებს: მინაშვილი, ლეჟავა, უგრეხელიძე, ალთაბაევი, კილაძე.

**მესამე წუთი** - ბრძოლა თანაბარია. ლეჟავას, უგრეხელიძის (ორჯერ), კილაძისა და მინაშვილის სროლებს ესპანელები 12 ქულით პასუხობენ. ანგარიშია 48:48.

**მეექვსე წუთი** - ანგარიში სწრაფად იცვლება, ტემპი მაღალია. თამაში „დინამოს“ მიჰყავს 3 ქულით - 57:54.

**მეათე წუთი** - 3-ქულიანი სხვაობა ძალაშია. ჰაიტაუერი აქტიურობს სხვებზე მეტად.

**მეცამეტე წუთი** - „დინამო“ წინაა 4 ქულით - 70:66. ო. ქორქია იღებს წუთშესვენებას. თბილისელები ტემპს ანელებენ.

**მეთექვსმეტე წუთი** - სწორი გადაწყვეტილებაა! „დინამომ“ ამ სამ წუთში საბოლოოდ გასტეხა მოწინააღმდეგე. ანგარიშში სხვაობამ 13 ქულას მიაღწია - 83:70.

**მეცხრამეტე წუთი** - თამაში ფაქტობრივად აქ დამთავრდა. მოსეშვილმა და ინწკირველმა წერტილი დაუსვეს საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებას. ანგარიშია 90:83. ევროპის ჩემპიონთა თასმა პირი საქართველოსაკენ იბრუნა.

# იცოდით?

## 1962 წელს ჩემპიონთა თასი მოვიგეთ




ლელო
5 ივლისი
ხუთშაბათი
1962 წ.
№ 131 (1880)
გუშინ თბილისში ჩამოვიდა „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდი — ევროპის თასის მფლობელი
მატჩის სტენოგრამა

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ მადრიდის „რეალი“ ჩვენი მომავალი მეტოქეა თასისათვის ბრძოლაში, ბუნებრივია, დავინტერესდით ამ გუნდის რაობით. მაგრამ ზუსტი წარმოდგენა ჟენევაში ჩასვლამდე, უფრო სწორად ფინალურ მატჩამდე, არ გვქონდა. საქმე ისაა, რომ შეხვედრის დღემდე ესპანელებმა ყოველმხრივ შენიღბეს თავიანთი არსებობა და ვერაფერი გავიგეთ ამ „საიდუმლო გუნდის“ შესახებ, პრესის მიერ ძუნწად მოწოდებული ცნობების გარდა.

ფინალური მატჩის წინა დღეებში „რეალის“ ხელმძღვანელობა ოპტიმისტურად იყო განწყობილი. მათი აზრით, შეჯიბრებიდან ცსკა-ს გამოთიშვის შემდეგ ესპანელებს გზა ჰქონდათ ხსნილი მიზნისაკენ. სწორედ ასეთი განწყობით მოვიდნენ ისინი ჩვენს პირველ ვარჯიშზე. მოვიდნენ, მაგრამ საკმაოდ მოწყენილებმა დატოვეს იგი. ეს, სხვათა შორის, მეორე დღეს გუნდის უფროსის მიერ მიცემულ ინტერვიუსაც დაეტყო. „რეალის“ პატრონი მეტად ფრთხილად და თავშეკავებულად პასუხობდა და ღიად დატოვა საკითხი — თუ ვინ იქნებოდა თასის მომავალი მფლობელი.

ესპანელებს ყველაზე მეტად აინტერე[...] სებდათ ლეჟავა და პეტროვი. პირველ[...] ისინი არ იცნობდნენ, მაგრამ მის ფიზიკ[...] მონაცემებს გულგრილად ვერ უვლიდნ[...] გვერდს. პეტროვის შესახებ კი ისინი მსჯ[...] ლობდნენ, როგორც საბჭოთა კავშირ[...] ნაკრების ერთ-ერთ წამყვან მოთამაშე[...] და უნდა გამოგიტყდეთ, მათ გაკვირვებას არ ჰქონდა საზღვარი, როდესაც გუნდის სასტარტო ხუთეულში პეტროვი ვერ იხილეს.

ჟენევაში დაღლილები, მოქანცულები ჩავედით. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, რომ მოსკოვიდან გაფრენის დაგვიანებამ (შვეიცარიამ გვიან გაგვიფორმა ვიზები) ყველას ნერვიულობის დალი დაგვატყო. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩავფრინდით, ოღონდ ჯერ პარიზში. საფრანგეთის დედაქალაქში ყოფნა, ერთი მხრივ, გვიხაროდა, მაგრამ, მეორე მხრივ, გვეჩქარებოდა ჟენევაში, მოწინააღმდეგესთან ახლოს. პარიზში 11 საათი დავყავით და ეს დრო ჩვენი საელჩოს დახმარებით, მთლიანად ქალაქის დათვალიერებას მოვანდომეთ. ბევრჯერ ვყოფილვარ ამ შესანიშნავ ქალაქში, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ასე საფუძვლიანად იგი არასდროს დამითვალიერებია. აი სწორედ ამან, ავტობუსით განუწყვეტელმა მგზავრობამ ქალაქის სხვადასხვა რაიონში და უამრავმა შთაბეჭდილებამ, მოგვქანცეს საბოლოოდ.

ჟენევაში გულთბილად დაგვხვდნენ. აეროპორტში მოვიდნენ ადგილობრივი სპორტის ხელმძღვანელები, კალათბურთის მოყვარულები და, რა თქმა უნდა, საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ვ. ჯონსი თავისი ამალით.

ჩასვლისთანავე გადასაჭრელი იყო ერთი საკითხი — რა რიცხვში უნდა გვეთამაშა? ჩვენ უფრო გვაწყობდა 30 ივნისს თამაში, მაგრამ გენერალური მდივანი ჭირვეულობდა: უკვე ორჯერ გადავიტანეთ ეს თარიღი და მესამედ შეუძლებელიაო. მეტი გამოსავალი არ იყო და დავეთანხმეთ.

ფინალური მატჩი ჟენევაში დაემთხვა შუა საკურორტო სეზონს და აქ საკმარისად აღმოჩნდნენ დამსვენებლები ესპანეთიდან. როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ტურისტთა რამდენიმე ჯგუფი ჩამოსულა სპეციალურად მატჩის საყურებლად ესპანეთის სხვადასხვა ქალაქიდან. ეს ყველაზე უფრო საგრძნობი იყო მატჩის მსვლელობის დროს. ესპანელები მხურვალედ ეხმარებოდნენ თანამემამულეებს, მაგრამ გულშემატკივრები ჩვენც გამოგვიჩნდნენ. ადგილობრივი მაყურებელი ჩვენს ყოველ წარმატებას, ლამაზ კომბინაციას ერთსულოვანი ოვაციებით ხვდებოდა.

ახლა თვით მატჩის შესახებ. ჩვენი მოწინააღმდეგე მოსალოდნელზე უფრო ძლიერი გამოდგა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ამერიკიდან ჩამოყვანილი 21 წლის უაინ ჰაიტაუერი. ეს გიგანტური აღნაგობის ახალგაზრდა, თანამედროვე კალათბურთის ყველა მოთხოვნას პასუხობდა. კალათში ესროდა შეუდარებლად. იგი იყო არაჩვეულებრივად სწრაფი და მოძრავი, ხტებოდა საკმაოდ მაღლა, ამაში მას სიმაღლეც უწყობდა ხელს (205 სმ). ჩვენთვის მოულოდნელი იყო ჰაიტაუერის თამაშის მრავალფეროვნება. მისი ტიპის კალათბურთელები მეტწილად ცენტრალური თავდამსხმელის პოსტზე თამაშობენ, მაგრამ „ესპანელი ზანგი“ შეუდარებელი იყო როგორც გარემარბიც, დაბოლოს, დაცვაში იგი იდგა როგორც კლდე და კბილებით იცავდა თავისი ფარის უშიშროებას. ასეთის ჩამოყვანა ამერიკიდან, მართლაც რომ ღირდა.

ჩემთვის გაუგებარი იყო მეორე იმპორტირებული კალათბურთელის სტენლი მორისონის როლი ამ მაღალი კლასის გუნდში. მას მხოლოდ ორი რამ ჰქონდა ყურადსაღები — ახალგაზრდობა (21 წლის) და სიმაღლე (202 სმ). მაგრამ „რეალის“ ანსამბლში იგი ყველაზე სუსტი ადგილი იყო და ჩემთვის რომ გეკითხათ, მანეთსაც არ გავიმეტებდი მასში (როგორც ცნობილია, „რეალის“ მთავარ პატრონს სანტიაგო ბერნაბეუს ეს ორი კალათბურთელი საკმაოდ ძვირი დაუჯდა).

გუნდის დანარჩენი წევრებიდან აღსანიშნავი იყვნენ ჯოზე ლუისი (კაპიტანი), კარლოს სევილიანო და ემილიანო როდრიგესი, სამივე ესპანელი, სამივე უმაღლესი კლასის კალათბურთელი.

თამაშობდა „რეალი“ არაჩვეულებრივად მაღალ ტემპში. ხშირად მათი აზარტი და მონდომება თავდავიწყებამდე მიდიოდა, მაგრამ არც ერთხელ მას კორექტულობის ფორმები არ დაუკარგავს.

სავსებით სწორი იყო გენერალური მდივანი ვილი ჯონსი, როდესაც ესპანელებს ქარიშხალი უწოდა (ჩვენი გუნდი მისი აზრით, იგივე ქარიშხალი იყო პლიუს დისციპლინა).

მატჩის დასაწყისში ჩვენც ავყევით ესპანელთა ტემპს. ეს იყო მართლაც დიდებული სანახაობა. ელვისებური კომბინაციები, ზესწრაფი გადაცემები, ბურთის თვალშეუვლები ქროლა, რალაც წარმოუდგენელ ეფექტს ქმნიდა. მაყურებლები მოუსვენრად ხტოდნენ ადგილებზე, დარბაზი ბორგავდა, ღელავდა და ანგარიშმიუცემლად მიყვებოდა თამაშის რიტმს. შეხვედრის დამთავრების შემდეგ იმავე ჯონსმა განაცხადა, რომ მას 30 წლის მანძილზე არ უნახავს ასეთი ლამაზი, ასეთი აზარტული და ამავე დროს კორექტული ბრძოლა. მისი აზრით, ფინალური მატჩი ნამდვილად ღირდა 15 ათასი დოლარი. თქვენ, ალბათ გაგიკვირდებათ, რას ნიშნავს ეს 15 ათასი დოლარი. გეტყვით, იგი დაეხარჯა „რეალს“ ამ მატჩის მოსაწყობად, რადგანაც ფრანკოს მთავრობამ უარი თქვა ჩვენს ჩაშვებაზე ესპანეთში და თავისი გუნდის გამოგზავნაზე საბჭოთა კავშირში (საერთაშორისო ფედერაციამ მთელი ხარჯები ჯარიმის სახით დააკისრა ესპანეთის გუნდს).

თამაში მართლაც დიდებული სანახავი იყო, მაგრამ მე, როგორც გუნდის მწვრთნელს, სანახაობრივი მომენტი ყველაზე ნაკლებად მაწუხებდა. ჩვენთვის მთავარი იყო მატჩის მოგება. ამიტომ რამდენჯერმე შეგნებულად დავაგდეთ ტემპი. ზოგიერთ მომენტში საჭირო გახდა აზარტის, ტემპერამენტის შეცვლა შიშველი ანგარიშით — გონების კონტროლით. და აი, ბიჭები იწყებენ ბურთის ნელ გათამაშებას, დინჯად, მაგრამ მეთოდურად ამზადებენ ხელსაყრელ სიტუაციებს და ასევე აუღელვებლად ესვრიან კალათში. ტაქტიკის, ხასიათების ასეთმა მანევრირებამ საშუალება მოგვცა ბრძოლა ჩვენთვის სასარგებლო შედეგით დაგვემთავრებინა.

ჩემთვის ძნელია დინამოელთაგან ვინმეს გამოყოფა. ყველა თავის ადგილზე იყო, ყველა უკიდურესი მონდომებითა და გულმოდგინებით ჭედდა ამ საპატიო გამარჯვებას. მაგრამ მაინც მსურს ვახსენო გურამ მინაშვილი, რომელიც მოედანზე გუნდის კაპიტანიც იყო და მისი ყველა მოქმედების შემკვრელი ორგანიზატორიც.

დასასრულ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ასე გულმხურვალედ იზეიმა ეს ჩვენი საერთო გამარჯვება.

**ოთარ ქორქია**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის მწვრთნელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჭიდაობა. ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი*



## ჩემპიონები საჩემპიონოდ მიდიან

მომდევნო კვირაში – 2-7 ივლისს მაკედონიის დედაქალაქი სკოპიე ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს ახალგაზრდა მოჭიდავეთა შორის. ამ პრესტიჟული ტურნირისთვის ჩვენი გუნდები ბორჯომში გადიან დასკვნით შეკრებას, მანამ კი ბაკურიანში ივარჯიშეს. პარალელურად, ძალები საერთაშორისო შეჯიბრებებშიც მოსინჯეს, სადაც მწვრთნელებს კიდევ ერთხელ მიეცათ შანსი, საქმეში ენახათ ყველა კონკურენტი, თუმცა ამან არსებითი სურათი არ შეცვალა და ორივე თავკაცი მთლიანად საქართველოს ჩემპიონებს დაეყრდნო.

ტურნირში თავდაპირველად ბერძენ-რომაელები ჩაებმებიან და სკოპიეშიც პირველად ისინი გაფრინდებიან - 30 ივნისს, გამთენიისას. ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ზაზა სილაგაძეს** იქ **ირაკლი შავაძე** (50), **ედნარ შავაძე** (55), **ხვიჩა ქითავა** (60), **ფირუზ ნულუკიძე** (66), **ლაშა გობაძე** (74), **რობერტ ქობლიაშვილი** (84), **კუკური კირცხალია** (96) და **იაკობ ქაჯაია** (120) მიჰყავს. როგორც გითხარით, ამ შვიდეულმა გაიმარჯვა საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში, თუმცა მოგვიანებით ედნარ შავაძემ და ქობლიაშვილმა უფროსებშიც იჩემპიონეს.

„თავისუფალთა“ ნაკრების თავკაცმა **გიორგი გოგშელიძემ** გუნდში **ნიკა ტატუაშვილი** (50), **ბექა ბუჯიაშვილი** (55), **შოთა ფარტენაძე** (60), **დავით ბუზიაშვილი** (66), **ლაშა გიგაშვილი** (74), **ლევან გოგრიჭიანი** (84), **როლანდ ანდრიაძე** (96) და **გენო პეტრიაშვილი** (120) შეიყვანა. ნუ გეწყინებათ სხვები – საბედნიეროდ, პერსპექტიული და თავიანთ ასაკში წარმატებული მოჭიდავეები აქაც ბლომად არიან, მაგრამ ამ გუნდში გენო პეტრიაშვილი, უდავოდ, გამორჩეულია – ახალგაზრდა ტალანტი შინ თუ გარეთ, ახალგაზრდებში თუ უფროსებში ყოველთვის იგებს.

ევროპის შარშანდელ ახალგაზრდულ პირველობაზე ბერძენ-რომაელებმა სამი მედალი მოიპოვეს – 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. მაშინ კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი **ლევან არაბული** (120) გახდა, რომელმაც უკვე დაასრულა გამოსვლა ამ ნაკრებში, მესამეზე კი ქობლიაშვილი და ქაჯაია გავიდნენ, რომელიც იმხანად 96-ში ასპარეზობდა. „თავისუფლებს“ ბევრად მწირი მონაგარი ჰქონდათ – ან უკვე უფროსებში გადაბარგებულ **ჯუმბერ ყველაშვილის** (74) ბრინჯაოსლა დასჯერდნენ.

სკოპიეში პირველი საჭიდაო დღე 2 ივლისია, როცა ბერძენ-რომაელთაგან 50, 60, 74 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენი ოთხეული კი 3-ში იასპარეზებს. 4-5 ივლისს გოგოები იასპარეზებენ, მაგრამ იქ მონაწილე არ გვეყოლება, 6-7-ში კი ლეიბზე „თავისუფლები“ გავლენ ზუსტად იმავე თანმიმდევრობით, როგორითაც – ბერძენ-რომაელები.

**ირაკლი თავაძე**

*წყალხტომა*

## ევროპაზე ორი სპორტსმენით

წლეულს 3-7 ივლისს პოზნანი (პოლონეთი) 16 და 19-წლამდელ წყალხტომელთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს ორი სპორტსმენი იასპარეზებს: **ალექსანდრე ბართაიას** ხელმძღვანელობით სამმეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომებში **თამარ სიჭინავა** (16 წ.) და **ალექსანდრე გუჯაბიძე** (19 წ.) მოსინჯავენ ძალებს (საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ირაკლი ბართაია** არბიტრად არის მიწვეული).

ევროპის პირველობაზე გამოსასვლელად ჩვენმა სპორტსმენებმა ნორმატივები შარშან საერთაშორისო ტურნირებზე შეასრულეს: გუჯაბიძემ მინსკში, სოფიასა და რომში, სიჭინავამ კი იტალიის დედაქალაქში. შეჯიბრებისთვის ორივე სპორტსმენმა მხოლოდ ერთი საწვრთნელი შეკრება გაიარა მინსკში. დანარჩენი პერიოდი თბილისში ვარჯიშობდნენ.

**ვაჟა დანელია**

*ჩოგბურთი*

## მეოთხედფინალი ვერ გადალახა

შტუტგარტ-ვაიჰინგენში (გერმანია) ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) გუშინ მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. თბილისელი **სოფიო შაფათავა** კვალიფიკაციიდან აღზევებულ ანტონია ლოტნერს (გერმანია) დაუპირისპირდა. მასპინძელმა, რომელმაც მე-2 წრეში მე-2 ნომრად განთესილი ლიხტენშტეინელი შტეფანი ვოგთი ჩამოიშორა გზიდან, ჩვენებური (იგი მე-5 ნომერი იყო) ორ სეტში დაამარცხა - 6:3, 6:1 და ნახევარფინალში გავიდა.

შაფათავამ კრისტინა შაკოვეცთან (გერმანია) ერთად წყვილთა პაექრობაც წააგო კრისტინა ბაროისი-ლაურა ზიგემუნდის (გერმანია) დუეტთან - 4:6, 1:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული მედიცინა. საერთაშორისო სემინარი

# ხორცი, ლიმონი და ალუბალი

## მედლები არა მხოლოდ ვარჯიშით, არამედ - კვებითაც

გუშინ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პატრონაჟით ხელოვნების ცენტრ „მუზაში" დაიწყო რეგიონული კონფერენცია სპორტული მედიცინის თემატიკაზე. სოკ-თან ერთად, მისი ინიციატორები საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, სპორტული მედიცინის ასოციაცია და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი არიან. კონფერენციაში ქართველ მედიკოსებთან ერთად მონაწილეობენ ექსპერტები და ექიმები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ბელარუსიდან, უკრაინიდან, პოლონეთიდან და გერმანიიდან.

შეხვედრა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კახაბრიშვილმა** და სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაიშვილმა** გახსნეს. გუშინვე საკმაოდ საინტერესო მოხსენებები მოისმინეს თემებზე: „ფიზიკური მეთოდების გავლენა სარეაბილიტაციო პროცესზე"; „სპორტულ წარმატებებში ფსიქოლოგიის როლის მნიშვნელობა და როგორ უნდა წარიმართოს სარეაბილიტაციო პროცესი დიდი ფსიქოლოგიური სტრესის შემდეგ"; „ტრავმების აცილება ძალოსნობაში". ისაუბრეს აგრეთვე ფიზიკური დატვირთვებით გამოწვეულ გადატვირთვაზე და სპორტსმენებში წონის კორექციაზე, პოლონეთის მაგალითზე კი განიხილეს დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის აქტუალური საკითხები. ქართველ ექიმებთან ერთად გამომსვლელები იყვნენ მათი ბელარუსი და პოლონელი კოლეგები.


სემინარის მონაწილეები

ცხადია, ყველა საკითხმა მედიკოსთა დიდი ინტერესი და რიგ შემთხვევებში ცხარე დისკუსიაც კი გამოიწვია. ძნელია, გამოყო რომელიმე თემა ან გამომსვლელი, რადგან უკლებლივ ყველა საკითხი ფრიად მნიშვნელოვანია სპორტსმენთა მომზადებაში, მათ მიერ მაღალი შედეგების მოპოვებაში, თუმცა დღის პირველ ნახევარში პოლონელი **დანიელ კოპკოს** მოხსენება მართლაც გამორჩეული აღმოჩნდა. კოპკო იქაური ძალოსანთა ნაკრების ექიმია და კარგად იცნობს ჩვენს ძალოსნებს, რომლებიც ხშირად ჩადიან პოლონეთში მოსამზადებლად. ალბათ, ამ ნაცნობობის გამოც იყო, რომ ესენიც კონფერენციას ლამის სრული შემადგენლობით ესწრებოდნენ - ნაკრების წევრები, მწვრთნელები, ფედერაციის ხელმძღვანელობა... კოპკოს მოხსენება პოლონეთის ძალოსანთა ნაკრების მაგალითზე იყო აგებული, რომელიც მისი გუნდის მრავალწლიან დაკვირვებას ეყრდნობოდა. აკი სხდომის ერთ-ერთმა უხუცესმა მონაწილე **რომანოზ სვანიშვილმა** თქვა კიდეც, 60 წელიწადია, ანალოგიურ სემინარებს ვესწრები და ძალოსნობაზე ასეთი სრულყოფილი მოხსენება ჯერ არ მომისმენიაო... კოპკოს გამოსვლის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დეტალი ის იყო, რომ თურმე ძალოსნობა, რომელიც ძალისმიერი სპორტია და აქედან გამომდინარე, ხშირია წელის, ხერხემლის დისკოს ტრავმები, მუხლების, ფეხებისა და ზოგადად - კიდურების დაზიანება, თურმე სულაც არ ყოფილა ყველაზე ტრავმული; პირიქით - ამ მხრივ ბევრ, შედარებით „მშვიდ" სახეობასაც ჩამორჩება. სწორი ვარჯიშით, სწორი კვებით და ექიმთა მუდმივი მეთვალყურეობით დაზიანებათა 70%-ის თავიდან აცილებაც ყოფილა შესაძლებელი. პოლონელი სტუმარის მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო სპორტსმენთა კვების თავისებურებებსაც, რა ტიპის საკვები უნდა მიიღონ, რომ თავიდან აიცილონ მავნე ნივთიერებების დაგროვება ორგანიზმში, რაც მომავალში აუცილებლად გამოიწვევს ტრავმებს. ამის აცილება წამლებითაც შეიძლება გარკვეული ნივთიერებების დაშლის ხარჯზე, თუმცა ეს ფრიად სარისკოა დოპინგის ფაქტორის გათვალისწინებით - ამ რიგის ბევრი პრეპარატი აკრძალულია, მაგრამ უახლოეს პერიოდში ზოგზე შეღავათების დაშვება იგეგმება. მისი თქმით, თურმე სულაც არ ყოფილა აუცილებელი, იმავე ძალოსანთან კვების რაციონში ხორცის დიდი რაოდენობით შეტანა, როგორც ეს საყოველთაოდაა მიჩნეული, ან ამას გასანეიტრალებლად აუცილებლად უნდა დაემატოს ხილ-ბოსტნეული. თუმცა ამ მოსაზრებამ ცოტაოდენი კამათი გამოიწვია და თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ რაციონი ყველა სახეობისთვის განსხვავებული იქნება იქიდან გამომდინარე, ვინ რამდენად იხარჯება მზადება-შეჯიბრებისას.

საერთოდ, ეს კონფერენცია ამგვარი თემების გამო ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩვენი მწვრთნელებისთვის და მიმაჩნია, რომ მსგავსი სახის სემინარები მათ მუდმივად უნდა უტარდებოდეთ. ამ კონფერენციის მაგალითზეც ცხადად დადასტურდა, რომ სპორტული შედეგი მხოლოდ შეჯიბრებისას არ მიიღწევა და საამისოდ მთელი პროცესის გააზრება, სწორად წარმართვაა საჭირო, ხოლო მწვრთნელი ფანდის, ილეთის შესწავლის ანუ წმინდა სპორტული ასპექტების გარდა, ვალდებულია, მათ სწორად კვებაზეც იზრუნოს. მაგალითად, მწვრთნელები გაიგებდნენ, რითი ჯობია ლიმონი ალუბალს და რატომაა მათი მიღება სასარგებლო; რომ აუცილებელია, თუნდაც მცირე ტრავმები მყისვე აღმოიფხვრას, რადგან დაყოვნება მდგომარეობის გართულებას გამოიწვევს.

კონფერენცია დღეს დასრულდება კვლავაც არანაკლებ საინტერესო საკითხებით: „გენეტიკა სპორტში, საშუალო სიმაღლის მთიან ზონაში ვარჯიშის გავლენა, ფიზიკური მომზადების თანამედროვე მეთოდები იმავე ძალოსნობაში"; „სპორტსმენთა დღის რეჟიმი"; ფიზიოთერაპია სპორტში, საკვები დანამატების გამოყენების დოპინგ-რისკები"; „სპორტული ფსიქოლოგიისა და სპორტული მედიცინის აქტუალური საკითხები". ჩვენთვის კარგად ცნობილი გერმანელი პროფესორი **ალბერტ გიუზბახერი** კი ტრავმატიზმისა და მისი შემდგომი რეაბილიტაციის საკითხებზე გამოვა მოხსენებით.

ირაკლი თავაძე
კახა ბერიძის ფოტო

წყალბურთი




# ოლიმპიკში თბილისის თასისთვის

მალტა 11-14 ივლისს წყალბურთელ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მე-2 რაუნდი გაიმართება. საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები იქ მასპინძლებს, ისრაელს, ბელარსსა და უკრაინას დაუპირისპირდება, მანამდე ერთკვირიან საწვრთნელ. შეკრებას (2-9 ივლისი) ჩერნოგორიაში გაივლის.

შესარჩევი ტურნირისთვის უკეთ მომზადების მიზნით გუშინ ჩვენი გუნდი **ვლადიმერ ისელიძისა** და **იოვან პოპოვიჩის** ხელმძღვანელობით თბილისის თასის მე-4 გათამაშებაში ჩაება. ამ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში" დაიწყო, მასპინძლებს მეტოქეობას უწევენ ბელარუსები და უკრაინელები. თურქებმა ორი დღის წინათ დაამთავრეს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ჩემპიონატში გამოსვლა, ამიტომ საქართველოს დედაქალაქში ჩამოსვლა ვერ შეძლეს. ტურნირში მათ საქართველოს მეორე ნაკრები ჩაენაცვლა.

**საქართველო-1 – ბელარუსი 18:5**

**საქართველო-1:** ჭუმბურიძე, ჯახაია (2), ჩიკვაძე, იმნაიშვილი, ლაითაძე (3), ბითაძე (4), ხვედელიანი, ბალათურია (1), რურუა, გეგელაშვილი (6), ნიკოლეიშვილი (2), ქავთარაძე, კაპანაძე, მწვრთნელები — ისელიძე, პოპოვიჩი.

**ბელარუსი:** შანტური, ხრუპაჩოვი, საიუკი, რადსკო (1), შაპურაუ, მიხუტსკი (1), ივანოვი (1), კოვალიოვი, ტუმასი (1), ჩუპრუნა, ჩარბაშანი (1), ფედორუკი, ველიჩკა, მწვრთნელი ფრალოვი.

საქართველოს პირველმა ნაკრებმა გუშინ სასტარტო პაექრობაში ნატურალიზებული წყალბურთლების გარეშეც დაჯაბნა ბელარუსის ეროვნული გუნდი (**მარინო ფრანიჩევიჩი, დამირ ცრეპულია, მარკო ელაჩა** და **მარკო ელეზი** ნაკრებს 2 ივლსს ჩერნოგორიაში შეუერთდებიან). ანგარიში გეგელაშვილმა გახსნა. მანვე რამდენიმე წამში მეორე ბურთიც გაიტანა. პირველ პერიოდში მასპინძლებმა კიდევ ხუთჯერ აიძულეს შანტური, საკუთარი კარის ბადიდან გამოეტანა ბურთი. ქართველებმა მეორე რვაწუთიან მონაკვეთში ოდნავ მოადუნეს ტემპი და სტუმრებს ტოლსწორად თამაშის შანსი მისცეს. შესვენების შემდეგ ჩვენი გუნდის უპირატესობა აშკარა იყო: ისელიძე-პოპოვიჩის შეგირდებმა 18:5 გაიმარჯვა და გათამაშების ცხრილში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს. გეგელაშვილმა 6 გოლით გამოიჩინა თავი.

**უკრაინა – „საქართველო-2" 16:7**

**უკრაინა:** პეტროვი, ცვირკუნი, შელინი (3), რატკოვი, დიადურა (2), ფედორუშუნი (1), აბრამოვი (1), ალექსეევი, სიდნიკი (6), ვოიტენკო, ობედინსკი (3), ბაბაენკო, ვოლონჩუკი, მწვრთნელი ცუპრუკი.

**საქართველო-2:** ფავლენიშვილი, ჩიქვინიძე (1), ქარჩილაძე, ტუკვაძე (2), ბაქრაძე (1), ყავლაშვილი (1), ქართველიშვილი (1), გელაშვილი, ურუშაძე (1), სულაძე, გიორგაძე, კაკულია, შუბლაძე, მწვრთნელები — გიორგაძე, კალანდაძე.

საქართველოს მე-2 ნაკრები უმთავრესად სტუდენტი წყალბურთელებითაა დაკომპლექტებული. ეს გუნდი 6-17 ივლისს ყაზანში (რუსეთი) მსოფლიოს 27-ე უნივერსიადაში იასპარეზებს, ამიტომ თბილისის თასზე გამოსვლა მათთვის ერთგვარი რეპეტიცია იქნება, თან მკაცრი გამოცდაც ისეთ გუნდებთან, რომლებსაც ორიოდე კვირაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ელით. გუშინდელ შეხვედრაში შულინმა დააწინაურა სტუმრები, მაგრამ ქართველიშვილმა მალევე აღადგინა წონასწორობა. პირველი და მეორე პერიოდები თანაბარ პაექრობაში გაილია. შესვენების შემდეგ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და უკრაინამ სასურველ შედეგსაც მიაღწია - 16:7.

**დღეს** მე-2 ტურში ითამაშებენ: ბელარუსი - საქართველო-2 (17.00), საქართველო-1 - უკრაინა (18.30); **30 ივნისი.** უკრაინა - ბელარუსი (10.00), საქართველო-1 - საქართველო-2 (11.30).

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# ბრინჯაო და 120 ქულა

ხუთი მოგება, ოთხი ყაიმი და ორი მარცხი — ასეთი შედეგით დაასრულა სომხურ დილიჟანში ფიდეს ქალთა გრან პრის მეორე რაუნდი ქართველმა დიდოსტატმა, 2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებულმა **ნანა ძაგნიძემ,** რომელმაც 7 ქულით ანა მუზიჩუკთან (სლოვენია) მეორე-მესამე ადგილები გაიყო — უარესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი ერგო.

გუშინ ბოლო ტურში ძაგნიძემ თეთრი ფიგურებით 78-ე სვლაზე ოლგა გირია დაამარცხა. გრან პრის პირველი რაუნდის გამარჯვებულმა **ბელა ხოტენაშვილმა,** რომელიც გუშინ მსოფლიოს ჩემპიონ ანა უშენინას (უკრაინა) 68-ე სვლაზე დაუზავდა, 4 ქულით ბოლო — მეთორმეტე ადგილი დაიკავა: 8 პარტია ყაიმით დაასრულა და სამი შეხვედრა წააგო.

დანარჩენი ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: ტატიანა კოსინცევა (რუსეთი) — ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა) 1:0, ანა მუზიჩუკი (სლოვენია) — ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0,5:0,5, ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი) — ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი) 0,5:0,5, ჰამფი კონერუ (ინდოეთი) — თუვშინთუგს ბათჩიმეგი (მონგოლეთი) 1:0.

თერთმეტი ტურის შემდეგ 8 ქულით პირველი ადგილი ჰამფი კონერუმ დაიკავა და 160 ქულა დაიმსახურა. პირველ რაუნდში ძაგნიძემ კოსინცევასთან მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო და 100 ქულა ერგო. ამჯერად კი 120 ქულა ხვდა ისევე, როგორც მეორე ადგილზე გასულ ანა მუზიჩუკს. მეოთხე-მეთორმეტე ადგილები ასე განაწილდა: ტატიანა კოსინცევა — 6, ანა უშენინა — 5,5, ანტოანეტა სტეფანოვა — 5, თუვშინთუგს ბათჩიმეგი — 5, ჰარიკა დრონავალი — 5, ოლგა გირია — 4,5, ვიქტორია ჩმილიტე — 4,5, ელინა დანიელიანა — 4,5, ბელა ხოტენაშვილი — 4 (გრან პრისთვის 10 ქულა).

გრან პრის მე-3 ეტაპს 17 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ტაშკენტი (უზბეკეთი) უმასპინძლებს. იქ ბელა ხოტენაშვილთან ერთად ჰამფი კონერუ, ჟაო სიუე (ჩინეთი), კატერინა ლაგნო (უკრაინა), ანტოანეტა სტეფანოვა, ვიქტორია ჩმილიტე, ჰარიკა დრონავალი, ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი), ალექსანდრე კოსტენიუკი (რუსეთი), ელინა დანიელიანი, ოლგა გირია და ნასიფა მუმინოვა (უზბეკეთი) იასპარეზებენ.

ვაჟა დანელია

ფარიკაობა

# ანა აფრასიძის იტალიური ბრინჯაო

ბოლო წლებში ქართველი მოფარიკავეები საერთაშორისო სარბიელზე სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევენ. უფროსების კვალდაკვალ ყოჩაღობენ ახალგაზრდებიც. გუშინ ტორინოში (იტალია) მოხმალავეთა საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც მასპინძლებმა „მსოფლიოს ჩემპიონი" უწოდეს, შვიდი ქვეყნის წარმომადგენლებმა მოსინჯეს ძალები. თავი გამოიჩინა **ანა აფრასიძემ:** ჯგუფში მან 6 ორთაბრძოლა მოიგო და ერთი წააგო, პლეი ოფში ბრაზილიელ და იტალიელ მეტოქეებს სძლია, ნახევარფინალი კი მასპინძელთან 14:15 დათმო და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ბიჭებში მეხუთე ადგილზე გავიდა **ნიკა შენგელია:** მის ანგარიშზეა შვიდი მოგება ორი მარცხის წილ. **ოთარ გიორგაძე** მე-16 ადგილით დაკმაყოფილდა.

ვაჟა დანელია


ანა აფრასიძე

შვიდკაცა რაგბი

# ამერიკასთან ნაგებით დავიწყეთ

**მოსკოვში დაიწყო შვიდკაცა რაგბის მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც D ჯგუფში საქართველოს ნაკრები ახალი ზელანდიის, კანადისა და აშშ-ს ნაკრებებთან ერთად ასპარეზობს.**

შეჯიბრების პირველმა დღემ მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ყველა შეხვედრა, ლოგიკურად, უფრო ძლიერების გამარჯვებით დასრულდა. „შვიდკაცა ბორჯღალოსნებმა“ პირველი მატჩი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან გამართა და 19:26 წააგეს.

პირველ ტაიმში ჩვენს გუნდს თამაში აშკარად არ გამოუვიდა. ამერიკელებმა ანგარიში პირველივე წუთზე გახსნეს. საპასუხო ლელო ჩვენმა მორაგბეებმა ორ წუთში გაიტანეს. კარის ძელებს შორის ბურთით **მერაბ შარიქაძემ** შეაღწია. პირველი ტაიმის დარჩენილ დროში ამერიკელებმა კიდევ სამი ლელო მიითვალეს და 26:7 დაწინაურდნენ.

მეორე ნახევარში საქართველოს ნაკრები საგრძნობლად გააქტიურდა და მეტოქეს ორი ლელო გაუტანა. თუმცა, სამწუხაროდ, ეს მატჩის გადასარჩენად საკმარისი არ აღმოჩნდა. თითო ლელო **შავლეგ მახარაშვილმა** და **რეზო გიგაურმა** მიითვალეს.

ჩვენს ჯგუფში ახალი ზელანდიის ნაკრებმა კანადელებს 31:12 მოუგო. დღეს „შვიდკაცა ბორჯღალოსნები“ კიდევ ორ მატჩს გამართავენ. პირველი მეტოქე ახალი ზელანდია იქნება, ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრაში კი კანადელებს დაუპირისპირდებიან.

**საქართველო**

გიორგი ჯიმშელაძე, ბახვა კობახიძე (ორივე-არმია), ბიძინა სამხარაძე (ტიმიშოარა), მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), ვიქტორ კოლელიშვილი (ლიონი), რევაზ გიგაური (მონლუსონი), შალვა მახარაშვილი (ბათუმი), ირაკლი გეგენავა (ლელო), მერაბ შარიქაძე (აკადემია), ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე (ორივე-აია).

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**A ჯგუფი**

ავსტრალია-ესპანეთი 21:0, საფრანგეთი-ტუნისი 24:7.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ავსტრალია - 3 ქულა, 2. საფრანგეთი - 3, 3. ტუნისი - 1, 4. ესპანეთი - 1.

**B ჯგუფი**

სამხრეთ აფრიკა-რუსეთი 31:0, შოტლანდია-იაპონია 19:17.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. სამხრეთ აფრიკა - 3 ქულა, 2. შოტლანდია - 3, 3. იაპონია - 1, 4. რუსეთი - 1.

**C ჯგუფი**

სამოა-ზიმბაბვე 21:14, ფილიპინები-კენია 5:45

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კენია - 3 ქულა, 2. სამოა - 3, 3. ზიმბაბვე - 1, 4. ფილიპინები - 1.

**D ჯგუფი**

ახალი ზელანდია-კანადა 31:12, აშშ-საქართველო 26:19

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ახალი ზელანდია - 3, 2. აშშ - 3, 3. საქართველო - 1, 4. კანადა.

**E ჯგუფი**

ფიჯი-ტონგა 45:0, უელსი-ურუგვაი 33:5

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ფიჯი - 3 ქულა, 2. უელსი - 3, 3. ურუგვაი - 1, 4. ტონგა - 1.

**F ჯგუფი**

ინგლისი-პორტუგალია 21:7, არგენტინა-ჰონგ კონგი 47:7.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. არგენტინა - 3 ქულა, 2. ინგლისი - 3, 3. პორტუგალია, 4. ჰონგ კონგი.

**29 ივნისი**

საქართველო-ახალი ზელანდია
საქართველო-კანადა

**ბესიკ ჯანგავაძე**




ზე რაგბი

# ტესტების მერე განახლდა

**ივნისის ტესტები ავსტრალიისთვის კიდევ ორ კვირას გაგრძელდება. ახალი ზელანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებებმა კი ასპარეზობა უკვე დაასრულეს და, შესაბამისად, ამ ქვეყნების გუნდებმა ზე რაგბის გათამაშებაში თამაში განაახლეს.**

**ახალი ზელანდია**

რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურილა დარჩა. ახალი ზელანდიის კონფერენციაში გამარჯვებულის ვინაობა უკვე გარკვეულია. ეს შარშანდელი ჩემპიონი ჰემილთონის „ჩიფსია“. მე-18 ტური სწორედ ამ გუნდისა და ველინგტონის „ჰარიკენზის“ დაპირისპირებით გაიხსნა. ჰემილთონელებმა შინ ალმაცერობით ითამაშეს და მეტოქე, რომელიც უმოტივაციოდაა დარჩენილი 34:22 მოუგეს.

სტუმრებმა „ჩიფსს“ წინააღმდეგობა, პირველი ტაიმის დასკვნით ათ წუთში გაუწიეს, როცა წინ გაჭრილ მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს და ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირეს - 15:17. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ ჰემილთონელებმა მობილიზება შეძლეს და კარგად დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს. შედეგად „ჩიფსს“ 61 ქულა დაუგროვდა და პირველ ადგილზეა. მას უახლოესი მდევარი, ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“ 15 ქულით ჩამორჩება და, ცხადია, ჰემილთონელებს პირველობას ვერ შეეცილება.

„ჯვაროსნები“ მე-18 ტურში სტუმრად ეთამაშებიან კონფერენციის აუტსაიდერ დანიდინის „ჰაილენდერზს“. **დენ კარტერი** და კომპანია ყველანაირად ეცდება ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავოს და ნახევარფინალის შესარჩევ პლეი ოფში გაალწიოს. ამ შემთხვევაში გუნდს კაპიტანი და ლიდერი **რიჩი მაქოაც** შეუერთდება.

**XVIII ტური**

**ჩიფსი-ჰარიკენზი 34:22, ჰაილენდერზი-კრუსეიდერზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ჩიფსი - 61 ქულა, 2. კრუსეიდერზი - 46, 3. ბლუზი - 43, 4. ჰარიკენზი - 39, 5. ჰაილენდერზი - 22.**

**სამხრეთ აფრიკა**

სამხრეთ აფრიკის კონფერენციაში პირდაპირ ნახევარაფინალში გასვლის შანსი პრეტორიის „ბლუ ბულზს“ აქვს, რომელიც 54 ქულით პირველ ადგილზეა. „ლურჯი ხარები“ მე-18 ტურში შინ ეთამაშებიან აუტსაიდერ „საუთერნ კინგზს“ და გამარჯვების შემთხვევაში უახლოესი მდევრისგან, ბლუმფონტეინის „ჩიტაზისგან“ მიუწვდომელი შეიქნება. ეს გუნდი პრეტორიელებს ცხრა ქულით ჩამორჩება და სტუმრად ეთამაშება მეოთხე ადგილზე მყოფ კეიპთაუნის „სტორმერზს“.

ზე რაგბის დატოვება კი დებიუტანტ „საუთერნ კინგზს“ მოუწევს. მის ადგილს, სავარაუდოდ, ისევ იოჰანესბურგის „ლაიონზი“ დაიკავებს.

ავსტრალიის კონფერენციაში, როგორც უკვე ვთქვით, ივნისის ტესტების გამო შესვენება კიდევ ორ კვირას გასტანს. გათამაშება „ბრიტანელი ლომების“ ტურნეს დასრულების შემდეგ განახლდება. აქ პირველობისთვის ორი გუნდი - კანბერას „ბრამბიზი“ და ბრისბენის „რედსი“ იბრძვის. კანბერელებს 59 ქულით პირველი საფეხური უჭირავთ და მეტოქეს ხუთი ქულით უსწრებენ.

**XVIII ტური**

**ნატალ შარქსი-ბლუზი, ბლუ ბულზი-საუთერნ კინგზი, სტორმერზი-ჩიტაზი.**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბლუ ბულზი - 54 ქულა, 2. ჩიტაზი - 46, 3. ნატალ შარქსი - 38, 4. სტორმერზი - 38, 5. საუთერნ კინგზი - 24.**

**ავსტრალია**

**სატურნირო მდგომარეობა**

**1. ბრამბიზი - 59 ქულა; 2. რედსი - 54; 3. ვორათაზი - 44; 4. მელბურნ რებლზი - 32; 5. ფორსი - 27.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

შეკითხვა „ლელოს“



საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი, ქუთაისის „აია“

**შეკითხვა: ვარ რაგბის ქომაგი. ყველაფერი მაინტერესებს ქართული რაგბის შესახებ. კარგი იქნება, თუ ისტორიას თვალს გადაავლებთ. ვფიქრობ, ეს სხვებსაც დააინტერესებს.**

**მოგელი კიკვიძე**
**ქუთაისი**

***პასუხი:*** *საქართველოში რაგბის რამდენიმე საჩვენებელი მატჩი* 1919, 1940 და 1948 წლებში გაიმართა. პირველი ქართული კლუბი 1959 წლის 15 ოქტომბერს დააფუძნა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ფრანგმა ემიგრანტმა ჟაკ ასპეკიანმა. 1961 წლის დეკემბერში გივი მრელაშვილის თაოსნობით შეიქმნა პირველი ოფიციალური ორგანო თბილისის რაგბის საქალაქო სექცია, რომელიც 1964 წელს თბილისის რაგბის ფედერაციად გადაკეთდა.

პირველი შეჯიბრება, თბილისის პირველობა, ოთხი გუნდის მონაწილეობით გაიმართა 1962 წელს. ჩემპიონობა მოიპოვა პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა. 1963 წელს საქართველოს დედაქალაქში ჩატარდა პირველი საკავშირო ტურნირი პროფკავშირების პირველობა, რომელშიც თბილისის განთიადმა III ადგილი დაიკავა. 1966 წელს გიორგი ყუფარაძისა და შალვა ქურციკიძის თაოსნობით ქუთაისში დაარსდა რაგბის პირველი გუნდი „დინამო“. 1966 წელს სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატში თბილისის „დინამომ“ (მწვრთნელი გივი მრელაშვილი) II ადგილზე გავიდა. 1967 წელს გაიმართა პირველი უცხოური გუნდის, საფრანგეთის მასწავლებელთა პროფკავშირის მასწავლებელთა ტურნე საქართველოში. ამავე წელს პირველმა ქართულმა გუნდმა მოაწყო ტურნე უცხოეთში. (თბილისის „დინამო“, 3 გამარჯვება პოლონეთში). 1967 წელსვე ჩატარდა საქართველოს I ჩემპიონატი.

1968 წელს თბილისის „ლოკომოტივმა“ III ადგილი დაიკავა სსრკ ჩემპიონატში. გუნდმა ეს შედეგი კიდევ სამჯერ გაიმეორა (1972, 1978, 1981), 1978 წელს კი სსრკ თასი მოიპოვა. 1980-იან წლებში ქართულ და საბჭოურ რაგბიში ლიდერობდა „აია“. გუნდმა ჯერ სსრკ ჩემპიონატის ვერცხლისა (1984) და ბრინჯაოს (1985) მედლები მოიპოვა, შემდეგ კი დუგლას კავთელაშვილის ხელმძღვანელობით ზედიზედ სამჯერ (1987, 88, 89) გახდა სსრკ ჩემპიონი, ორჯერ კი თასის გათამაშებაში გაიმარჯვა (1987, 90) წლებში. სხვადასხვა დროს სსრ კავშირის ნაკრებში თამაშობდნენ საქართველოს მორაგბეები: თამაზ მგელაძე, ვლადიმერ აბაშიძე, მიხეილ თუთიშვილი, ზურაბ ხარშილაძე, თემურ ბენდიაშვილი, მიხეილ ჯვარიძე, დავით კილასონია, მიხეილ ხარშილაძე, ავთანდილ გიორგაძე, ავთანდილ ღიბრაძე, ნუკრი წერეთელი, ვლადიმერ პეტუხოვი, რამაზ სანებლიძე, ოლეგ ლიპარტელიანი, გაიოზ მონიავა, ალექსანდრე ნაჭყებია, ბესარიონ ლილუაშვილი, სერგო უგრეხელიძე, ნუგზარ ძაგნიძე, მამუკა ლოსაბერიძე, მალხაზ ჭეიშვილი, ზაზა ბაკურაძე.

1989 წელს შეიქმნა საქართველოს პირველი ეროვნული გუნდი, რომელმაც 12 სექტემბერს ქუთაისში საერთაშორისო მატჩი გამართა ზიმბამბვეს ნაკრებთან 16:3. მწვრთნელი იყო დავით კილასონია, პირველი კაპიტანი ოლეგ ლიპარტელიანი. 1990 წელს მოეწყო მორაგბეთა ნაკრების ტურნე ზიმბაბვეში. 1991 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქართულმა კლუბებმა სსრკ ჩემპიონატი დატოვეს. 1992 წლის თებერვალში რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველოს რაგბის კავშირი 52-ე წევრად მიიღო. ერთი წლის შემდეგ საქართველოს ნაკრები პირველად ჩაება მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში. საქართველოს რაგბის კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ (პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე) მიზნად დაისახა ამ ასპარეზობის ფინალურ ეტაპზე გასვლა. 1997 წელს ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ფრანგი კლოდ სორელი. 2001 წელს საქართველოს ნაკრებმა მოიგო ევროპის ერთა თასი, რითაც ოფიციალურად გახდა ევროპის მეშვიდე გუნდი. 2002 წლის 13 ოქტომბერს თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, საქართველოს ნაკრებმა დაამარცხა რუსეთის ნაკრები (17:13) და 2003 წლის მსოფლიოს თასის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა. მორაგბეთა ნაკრები პირველი ქართული გუნდია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა.

1988 წელს თბილისში, ვაკის სტადიონზე გაიმართა შვიდკაცა რაგბის პირველი ტურნირი. 2001 წელს საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში იასპარეზა და 24 გუნდში X ადგილი დაიკავა.

**საქართველოს რაგბის კავშირი** დაფუძნდა 1991 წლის 27 მაისს. რაგბის საერთაშორისო საბჭოში (IRB) გაერთიანდა 1992 წლის 27 თებერვალს („სპორტის ენციკლოპედია“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი. NBA დრაფტი 2013

# ნიუ იორკში დებიუტანტები დაინაწილეს



ენტონი ბენეტი

გუშინ, ნიუ იორკში, „ბრუკლინ ნეტსის“ არენაზე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში მეორედ, პირველი ნომრის არჩევის უფლება „კლივლენდ კავალიერზს“ ეკუთვნოდა, სულ კი ასეთი რამ ისტორიაში მეხუთედ ხდებოდა. წინა წლებში „კავალერებმა“ არჩევანი შეაჩერეს **ოსტინ კარზე** (1971), **ბრედ დოჰერტიზე** (1986), **ლებრონ ჯეიმსსა** (2003) და **კაირი ირვინგზე** (2011). ამჯერად, „კლივლენდმა“ ნევადას შტატის უნივერსიტეტის ფორვარდი **ენტონი ბენეტი** აირჩია, რომელიც უკვე შევიდა ისტორიაში იმით, რომ პირველი კანადელია, ვინც დრაფტზე პირველ ნომრად აიყვანეს.

„კავალიერზის“არჩევანი სრული მოულოდნელობა გახდა ყველასთვის, რადგან დრაფტისწინა მიმოხილვებსა თუ რეიტინგებში, ბენეტი პირველ ხუთეულში არ განიხილებოდა. შარშანდელ სტუდენტურ ლიგაში ბენეტის (207 სმ) საშუალო სტატისტიკა 16.1 ქულა და 8.1 მოხსნა იყო.

მეორე ნომერი გახდა 192 სანტიმეტრი სიმაღლის მცველი ინდიანადან **ვიქტორ ოლადიპო**. მასზე არჩევანი „ორლანდომ“ შეაჩერა. ტანმორჩილი სიმაღლის მიუხედავად, ოლადიპო განვლილ სეზონში 6.3 მოხსნას იღებდა, რასაც ემატება 13.6 ქულა და 2.1 შედეგიანი პასი. სხვათა შორის, ოლადიპო მეორე კალათბურთელია ინდიანას შტატიდან, ვისაც დრაფტის ასეთი მაღალი ნომერი ერგო. პირველი იყო ლეგენდარული **აიზია ტომასი** (1981 წელი, მე-2 ნომერი).

ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ფორვარდი **ოტო პორტერი** გახდა დრაფტის მესამე ნომერი და შესაბამისად, „ვაშინგტონ უიზარდში“ წავიდა. პორტერი შარშან, სტუდენტურ ლიგაში აღმოსავლეთის საუკეთესო მოთამაშე გახდა. მისი საშუალო სტატისტიკა 16.2 ქულასა და 6.8 მოხსნას შეადგენდა.

საკმაოდ გვიან, მეხუთე და მეექვსე ნომრებად აირჩიეს დრაფტის ფავორიტები - უკრაინელი ცენტრი **ალექსეი ლენი** (216 სმ) მერილენდის უნივერსიტეტიდან და კენტაკის ცენტრი **ნერლენს ნოელი** (210 სმ). ლენი მეხუთე ნომრად „ფინიქსმა“ აიყვანა, ნოელს კი დრაფტის მეექვსე ნომერი ერგო და ის „ნიუ ორლეანში“ წავიდა. თუმცა აქ დიდხანს არ დარჩენილა. ცოტა ხანში, „ფილადელფიამ“ ტრეიდით აიყვანა ნოელი და მის სანაცვლოდ „ნიუ ორლეანს“ **ჯრიუ ჰოლიდეი** დაუთმო.

**I რაუნდი**

1. ენტონი ბენეტი (ფ) - კლივლენდი
2. ვიქტორ ოლადიპო (მ) - ორლანდო
3. ოტო პორტერი (ფ) - ვაშინგტონი
4. კოდი ზელერი (ც) - შარლოტი
5. ალექს ლენი (ც) - ფინიქსი
6. ნერლენს ნოელი (ც) - ნიუ ორლეანი
7. ბენ მაკლემორი (მ) - საკრამენტო
8. კენტავიუს კოლდუელ-პოუპი (მ) - დეტროიტი
9. ტრეი ბურკი (მ) - მინესოტა
10. სი ჯეი მაკალუმი (მ) - პორტლენდი
11. მაიკლ კარტერ-უილიამსი (მ) - ფილადელფია
12. სტივენ ადამსი (ც) - ოკლაჰომა
13. კელი ოლინიკი (ც) - დალასი
14. შაბაზ მუჰამედი (ფ) - იუტა
15. იანის ანტეტოკუნბო (ფ) - მილუოკი
16. ლუკაშ ნოგეირა (ც) - ბოსტონი
17. დენის შრიოდერი (მ) - ატლანტა
18. შეინ ლარკინი (მ) - ატლანტა
19. სერგეი კარასიოვი (ფ) - კლივლენდი
20. ტონი სნელი (მ) - ჩიკაგო
21. გორგი დიენგი (ც) - იუტა
22. მეისონ პლუმლი (ც) - ბრუკლინი
23. სოლომონ ჰილი (ფ) - ინდიანა
24. ტიმ ჰარდუეი (მ) - ნიუ იორკი
25. რეჯი ბალოკი (ფ) - კლიპერსი
26. ანდრე რობერსონი (ფ) - მინესოტა
27. რუდი გობერტი (ც) - დენვერი
28. ლივიო ჟან-შარლი (ფ) - სან ანტონიო
29. არჩი გუდვინი (მ) - ოკლაჰომა
30. ნემანია ნედოვიჩი (მ) - ფინიქსი

**ჰოკეი**

## ამერიკას მწვრთნელი დაუნიშნეს

„პიტსბურგ პინგვინზის“ მთავარი მწვრთნელი **დენ ბილსმა**, რომელმაც ამასწინათ, თავის კლუბთან ახალი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, სოჭში 2014 წლის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრების დამრიგებელი იქნება. ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ განცხადებას დღეს გააკეთებენ.

დავამატებთ, რომ ბილსმას გარდა, აშშ-ის ჰოკეის ფედერაცია **პიტერ ლავიოლეტისა** („ფილადელფია“) და **ჯონ ტორტოლერას** („ვანკუვერი“) კანდიდატურას განიხილავდა.

უკვე ცნობილია, რომ აშშ-ის ნაკრების გენერალური მენეჯერი იქნება **დევიდ პოილი** „ნეშვილიდან“, ხოლო მის ასისტენტებად იმუშავებენ **რეი შერო** („პიტსბურგი“) და **ბრაიან ბურკი** („ანაჰაიმი“). ეს სპეციალისტები ერთად მუშაობდნენ 2010 წელს, ვანკუვერის ოლიმპიადაზე, სადაც ამერიკელებმა ვერცხლის მედლები მიიღეს.

## კალგარიმ და კოლორადომ ორ-ორი გაცვალეს

მოახლოებული დრაფტის წინ, გაცვლა განახორციელეს „კალგარიმ“ და „კოლორადომ“.

„ეველანშის“ მიმართულებით გაემგზავრნენ ფორვარდი **ალექს ტანგეი** და მცველი **კორი სერიჩი**, მათ ნაცვლად კი „კალგარიმ“ მიიღო ფორვარდი **დევიდ ჯონსი** და მცველი **შეინ ო'ბრაიენი**.

33 წლის ტანგეიმ გასულ სეზონში 40 მატჩი ჩაატარა და 27 ქულა (11+16) დააგროვა, 34 წლის სერიჩის ანგარიშზე კი 28 მატჩში ორი ქულა (0+2) მოდის.

ჯონსი „კოლორადოში“ ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა. ჯამში მას 272 მატჩი და 126 ქულა (70+56) დაუგროვდა. ო'ბრაიენი შვიდი წელია NHL-ში. მან 483 მატჩში 88 ქულა (13+75) დაუგროვდა.

**მძლეოსნობა**

## პარიზში ლეგენდა გარდაიცვალა

პარიზის გარეუბანში 92 წლის ასაკში გარდაიცვალა მძლეოსნობის ლეგენდა, 1956 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მარათონულ რბენაში **ალენ მიმუნი**.

ალჟირული წარმოშობის ფრანგი მორბენალი ომის შემდგომ წლებში გრძელ დისტანციაზე სირბილში ვარსკვლავი იყო. მისი დაპირისპირება ჩეხ მარათონელ **ემილ ზატოპეკთან** იმ დროის ტურნირების ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა იყო. თავის მთავარ გამარჯვებას მიმუნმა მელბურნის ოლიმპიადაზე მიაღწია, როცა 36-გრადუსიან სიცხეში სხვებზე უკეთ გადაანაწილა ძალები.

საფრანგეთში მიმუნის სახელს ატარებს 50-ზე მეტი სპორტული ნაგებობა, სადაც მძლეოსნობის სტარტები იმართება.

● ფორმულა 1

# სილვერსტოუნში წვიმდა

გუშინ სილვერსტოუნში ორი თავისუფალი პრაქტიკით დაიწყო ბრიტანეთის გრანპრი. ამ სეზონში მეოთხედ, უამინდობამ ხელი შეუშალა გუნდებს შეესრულებინათ დაგეგმილი პროგრამა პარასკევის ვარჯიშების დროს. „სილვერსტოუნის“ ტრასას მთელი დილა აწვიმდა და ტრეკზე წყლის გუბეები დადგა.

სესიის დასაწყისში, პილოტებმა საინსტალაციო წრე გაიარეს და ბოქსებში დაბრუნდნენ - ტრასა ძალიან სველი იყო. კომპანია „პირელიმ“ სილვერსტოუნში „ჰარდის“ დამატებითი ორი ექსპერიმენტული საბურავების კომპლექტი ჩაიტანა, რომლითაც გუნდები პარასკევს მოძრაობდნენ. საბოლოოდ, მრავალრიცხოვანი მაყურებელი დროის დიდი ნაწილი ცარიელ ტრასას მისჩერებოდა.



ნიკო როსბერგი

სესიის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა, როცა პირველმა პილოტმა გაიარა სრული წრე - ეს გააკეთა **დანიელ რიკარდომ**. ამის შემდეგ, ტრასაზე კიდევ რამდენიმე პილოტი გავიდა. **შარლ პიკმა** ბოლიდი დაამტვრია, როცა ბოლო სექტორზე ტრასიდან გადავარდა. სხვა მრბოლელებიც ვერ გადაურჩნენ შეცდომებს, მაგრამ სერიოზულ ინციდენტს ადგილი არ ჰქონია.

საბოლოოდ, სრული წრე მხოლოდ 11-მა პილოტმა გაიარა და საუკეთესო დროის ავტორი რიკარდო გახდა - 1.54,249. თუმცა ცხადი იყო, რომ პირველი სესიის პროგრამა ჩავარდა.

■ ■ ■

მეორე სესიის დასაწყისისთვის ამინდი სილვერსტოუნში გაუმჯობესდა - აღარ წვიმდა და ასფალტი გაშრა. შესაბამისად, მრბოლელები საშუალედო საბურავებით გავიდნენ ტრასაზე, შემდეგ კი „სლიკებზე“ გადავიდნენ.

სესიის დაწყებიდან 22 წუთის შემდეგ, **ფელიპე მასამ** მანქანა დააზიანა - ზედიზედ მესამე უქმეებია, ბრაზილიელი სერიოზულ ავარიაში ხვდება. ბოლიდი იმდენად დაზიანდა, რომ ფელიპე ფეხით დაბრუნდა ბოქსებში და ტრასაზე აღარ დაბრუნებულა.

საუკეთესო დრო **ნიკო როსბერგმა** აჩვენა, რომელმაც წრე წუთსა და 32.248 წამში დაფარა. წამზე ნაკლებით ჩამორჩა „მერსედესის“ წევრს ხუთი პილოტი: **უებერი, ფეტელი, დი რესტა, ჰემილტონი** და რიკარდო.

# რედ ბულმა მერსედესის სასჯელი დაითვალა




გერმანულმა გამოცემა Auto Motor und Sport-მა გაარკვია დამატებითი დეტალები, რომელიც ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ტრიბუნალის სხდომას უკავშირდება და რომელზეც განხილული იყო „მერსედესის“ მიერ ჩატარებული საიდუმლო ტესტები კომპანია „პირელისთან“ ერთად. როგორც ცნობილი გახდა, „რედ ბულმა“ ტრიბუნალს წარუდგინა 18-გვერდიანი დოსიე, რომლის მიხედვითაც ითხოვდა „მერსედესისთვის“ კონსტრუქტორთა თასზე 162 ქულის დაკლებას.

„რედ ბულის“ აზრით, საიდუმლო სამდღიანმა ტესტებმა გერმანულ საჯინიბოს ორი უპირატესობა მიანიჭა. პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ ათასმა სატესტო კილომეტრმა გუნდს საშუალება მისცა მანქანისთვის სიჩქარე მოემატებინა. „რედ ბულის“ გამოთვლებით, სიჩქარის გაზრდამ „მერსედესს“ დამატებითი 1.4 ქულა უნდა მისცეს თითო პილოტისთვის ყოველ გრანპრიზე. ესპანეთის ეტაპის შემდეგ, ჩემპიონატში რჩებოდა კიდევ 14 გრანპრი, ასე რომ, „მერსედესის“ ფორა 39 ქულას შეადგენს.

მეორე უპირატესობა - საბურავებთან მუშაობის მხრივ მიღებული მეტი ცოდნა და გამოცდილება. ამ შემთხვევაში, ავსტრიული საჯინიბოს გამოთვლების მიხედვით, საბურავებთან ზუსტმა მუშაობამ „მერსედესის“ თითო ბოლიდს დამატებითი 4.4 ქულა უნდა მოუტანოს თითო ეტაპზე. ჯამში 14 ეტაპისთვის გამოდის 123 ქულა. სულ კი ფორა 162 ქულას უდრის.

შეგახსენებთ, რომ საერთაშორისო ტრიბუნალმა მსუბუქი გადაწყვეტილება გამოიტანა, როცა „მერსედესს“ ახალგაზრდულ ტესტებში გამოსვლა აუკრძალა.

● ამბები

## უებერის შემცვლელზე ფეტელსაც შეეკითხებიან

„რედ ბულის“ მრჩეველმა **ჰელმუტ მარკომ** აღნიშნა, რომ გუნდი აუჩქარებლად და მაქსიმალური სიფრთხილით მიუდგება ახალი პილოტის ძიების საკითხს, რომელმაც ავსტრალიელი **მარკ უებერი** უნდა შეცვალოს. ამ უკანასკნელმა ორი დღის წინ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2013 წლის შემდეგ დატოვებს ფორმულა 1-ს.

ჰელმუტ მარკოს თქმით, პილოტის შერჩევისას აუცილებლად იქნება გათვალისწინებული **სებასტიან ფეტელის** აზრი.

*„არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ერთიანი გუნდი ვართ, -* ამბობს მარკო. *- ამიტომაც, ახალ პილოტზე გადაწყვეტილებას ფეტელის აზრის გათვალისწინებით მივიღებთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მრბოლელებს შორის კარგი ურთიერთობა ჩამოყალიბდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება სამუშაო ეფექტური“.*

## მასას დარჩენის იმედი აქვს

„ფერარის“ პილოტმა **ფელიპე მასამ** შეაფასა მომავალი სეზონისთვის „სკუდერიაში“ დარჩენის შანსები. ბრაზილიელის სიტყვებით, ის საკუთარ ძალებში დარწმუნებულია და ვარაუდობს, რომ გააგრძელებს გამოსვლას „ფერარის“ ბოლიდით.

*„ვფიქრობ, „ფერარიში“ ჩემი დარჩენის შანსები საკმაოდ მაღალია, -* აცხადებს მასა. *- თუმცა ამისთვის ბევრი მუშაობა და სტაბილური შედეგების ჩვენება დამჭირდება. საბოლოოდ, ყველა საერთო ჩათვლის ცხრილს შეხედავს. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ საკუთარ ძალებში“.*

● მძლეოსნობა

# პისტორიუსი ისევ დარბის

სამხრეთაფრიკელმა ამპუტანტმა მორბენალმა **ოსკარ პისტორიუსმა**, რომელიც თავისი შეყვარებულის მკვლელობაშია დადანაშაულებული, ვარჯიშები განაახლა.

სპორტსმენის ოფიციალურ ვებგვერდზე აღნიშნულია, რომ ის არ ემზადება რომელიმე ტურნირისთვის, უბრალოდ, ფიზიკური დატვირთვები ეხმარება მოემზადოს ხანგრძლივი სასამართლო პროცესისთვის. პისტორიუსი სასამართლოს წინაშე 19 აგვისტოს წარსდგება.

*„მისი ყურადღება მთლიანად კონცენტრირებულია მომავალ პროცესზე, -* წერია ოფიციალურ განცხადებაში. *- ოჯახმა და ახლობლებმა სპორტსმენს ურჩიეს რამდენიმე საათი გაატაროს სარბენ ბილიკზე, რადგან ვარჯიში ეხმარება გადაიტანოს ფსიქოლოგიური ტრავმა და შეინარჩუნოს ემოციური წონასწორობა სასამართლოს წინ“.*

26 წლის მორბენალი, რომელიც ლონდონში სამხრეთ აფრიკის ოლიმპიურ გუნდში შედიოდა, ბრალდებულია თავისი საცოლის **რივა სტინკამპის** მკვლელობაში.



პისტორიუსი ვარჯიშის შემდეგ

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი 2013



კრის ფრუმი

# ისინი ფავორიტები არიან

**დღეს კუნძულ კორსიკაზე სტარტს იღებს საიუბილეო, მე-100 ტურ დე ფრანსი, რომლის მოგება ორმაგად სასიამოვნო და მნიშვნელოვანი იქნება ნებისმიერი მრბოლელისთვის. ვის აქვს ტურზე ტრიუმფის ყველაზე დიდი შანსი? ასეთი რამდენიმე ველომრბოლია...**

## კრის ფრუმი
## (ბრიტანეთი, SKY)

**კრის ფრუმმა** შარშან იმის გამო ვერ გაიმარჯვა, რომ მთელი მისი გუნდი მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონზე **ბრედლი უიგინსზე** მუშაობდა, არადა, წარმოშობით კენიელს ცოტა რომ მოემატებინა მთებში, მოახერხებდა თანაგუნდელისთვის ყვითელი მაისურის ჩამორთმევას. მაგრამ, ახლა, სერ ბრედლის მოუწია პირველი ნომრის სტატუსის დათმობა და ფრუმი იბრძოლებს მოგებისთვის. ამისთვის მას ყველაფერი აქვს: მთაში შესანიშნავი ამტანობა, დროული შეტევის ალღო, დროზე განცალკევებით ბრძოლაში კარგი გამოსვლა... რაც მთავარია, ფრუმის განკარგულებაშია პელოტონში საუკეთესო გუნდი და ბრწყინვალე დამხმარე **რიჩი პორტის** სახით. თან, სეზონის მსვლელობისას, ფრუმი შესანიშნავა ფორმას აჩვენებს.

## ალბერტო კონტადორი
## (ესპანეთი, SAXO-TINKOFF)

სულ რაღაც ორი წლის წინ, **კონტადორი** ნებისმიერი გრანდ-ტურის აშკარა ფავორიტი იქნებოდა, მაგრამ, ახლა, რთული ჩანს ბრიტანული Sky-ს ჰეგემონიის დამხობა. „პისტოლეროს" გუნდი უფრო მოკრძალებულია და კონტადორის შედეგებიც დაბრუნების შემდეგ არც ისე შთამბეჭდავი („ვუელტას" მოგების მიუხედავად). განსაკუთრებით გასაკვირი იყო მისი კრახი „კრიტერიუმ დოფინეზე". მაგრამ კონტადორი უმაღლესი დონის ველომრბოლია და გამარჯვება შეუძლია მაშინაც, როცა ყველა და ყველაფერი მის წინააღმდეგაა. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, რამდენს წააგებს ის დროზე განცალკევებით რბოლაში. თუ ჩამორჩენა დიდი იქნა, ესპანელს ყველა მთაზე მოუწევს რისკზე წასვლა.

## ხოაკიმ როდრიგესი
## (ესპანეთი, „კატიუშა")

რუსული ველოსაჯინიბოს ლიდერისთვის ეს არის, ალბათ, კარიერაში ტურ დე ფრანსის დაპყრობის ბოლო შანსი, რადგან მალე 35 წლის გახდება და არავინ იცის, როდის ამოვარდება ფორმიდან. წელს, **ხოაკიმმა** აქცენტი სწორედ ფრანგულ ველომარათონზე გააკეთა. კლასიკურ რბოლებში ის ხშირად თავისი თანაგუნდელის **დანი მორენოს** ჩრდილში ექცეოდა, რისი მიზეზი მუხლის ტრავმაც იყო, მაგრამ ტურ დე ფრანსს როდრიგესი კარგ ფორმაში ხვდება. რა თქმა უნდა, დროზე განცალკევებითი რბოლა მისი სუსტი წერტილია და ამან, შესაძლოა, სერიოზულად შეუშალოს ხელი მის მიზნებს.

## ტიჯერ ვან გარდერენი
## (აშშ, BMC)

BMC კიდევ ერთი გუნდია, სადაც ლიდერის შეცვლა დადგა დღის წესრიგში. შარშან ტურის ყოფილმა ჩემპიონმა **კეიდელ ევანსმა** არა თუ ტიტული ვერ დაიცვა, არამედ გენერალური კლასიფიკაციის პოდიუმზეც ვერ მოხვდა. ამიტომაც, ლიდერობა თავის თავზე აიღო **ვან გარდერენმა** და საბოლოოდ, საპატიო მეხუთე ადგილზე გავიდა და საუკეთესო ახალგაზრდა მრბოლელისთვის განკუთვნილი თეთრი მაისურიც მოირგო. ამ სეზონის მსვლელობისას, ამერიკელმა მოიგო „კალიფორნიის ტური" და კარგად გამოიყურებოდა „პარიზი-ნიცაზე" და „შვეიცარიის ტურზე".

წლევანდელ ტურზე იქნება BMC-ის მეორე ლიდერი კეიდელ ევანსი, მაგრამ გაურკვეველია, მომქანცველი ჯირო დ'იტალიას შემდეგ, რა ფორმაში იქნება ავსტრალიელი. ბოლო წლებში ერთმანეთის მიყოლებით ჯიროსა და ტურ დე ფრანსის პოდიუმზე არავინ ასულა, თვით კონტადორიც კი. თუმცა ისიც ჩანდა, რომ ევანსი იტალიურ ველომარათონზე ბოლომდე არ იხარჯებოდა (და მაინც სამეულში მოხვდა) და იმ შემთხვევაში, თუ ტურზე ვან გარდერენმა ვერ „გაქაჩა", გუნდის ლიდერობას იტვირთებს.

## ნაირო კინტანა
## (კოლუმბია, MOVISTAR)

უძლიერესი ესპანური საჯინიბოს რიგებში ძლიერი მრბოლელი გაიზარდა, რომელიც არ ცნობს ავტორიტეტებს. კინტანა კოლუმბიელი სამთო პილოტების ერთ-ერთი ნათელი წარმომადგენელია. თუ რა შეუძლია კინტანას, მან ეს „ბასკების ქვეყნის ტურში" გვიჩვენა, სადაც გადამწყვეტი დროზე განცალკევებითი რბოლა მოუგო კონტადორს, თანამემამულე **სერხიო ენაოსა** და ინდივიდუალური სვლის ოსტატს რიჩი პორტს. კინტანას ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ჩამოართვას ვან გარდერენს თეთრი მაისურა და იბრძოლოს საბოლოო პოდიუმისთვის.

## ალეხანდრო ვალვერდე
## (ესპანეთი, MOVISTAR)

თუმცა კინტანას სერიოზული ხელისშემშლელი ეყოლება ესპანელი თანაგუნდელის **ალეხანდრო ვალვერდეს** სახით. ამ უკანასკნელს არასოდეს გამოსდიოდა ტურზე წარმატების მიღწევა, სამაგიეროდ, საყვარელ „ვუელტაზე" აღწევდა მაღალ შედეგებს. შარშანაც, ის საფრანგეთში ვერ ბრწყინავდა, სამაგიეროდ, ესპანეთში პოდიუმზე ავიდა. წლევანდელ სეზონში ალეხანდრო შესანიშნავად გამოიყურებოდა სამთო კლასიკურ რბოლებში, „ვუელტა ანდალუსია" კი ზედიზედ მეორედ მოიგო. და, როგორი კარგიც არ უნდა იყოს კინტანა, Movistar - ესპანური გუნდია და მისი მრავალწლიანი კაპიტანი პრიორიტეტი გახლავთ. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ თუ ვალვერდე ტურის მესამე კვირას ლიდერთა ჯგუფში იქნება, გუნდი სწორედ მასზე იმუშავებს და არა კოლუმბიელ ვუნდერკინდზე.

## ტურ დე ფრანსი ციფრებში

**როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლევანდელი ტური მეასეა ისტორიაში. ამასთან დაკავშირებით, ველომარათონის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატისტიკა, რომელიც რბოლის ასწლიანი ისტორიას გვიხასიათებს.**

- **ნინა 99 რბოლაში გადაილახა 426 678 კილომეტრი. ეს უფრო დიდია, ვიდრე მანძილი დედამიწასა და მთვარეს შორის;**
- **სულ სტარტზე გავიდა 14 798 ველომრბოლი;**
- **8 357 ველომრბოლმა მიაღწია ფინიშამდე;**
- **417 კილომეტრი - ტურის ისტორიაში ყველაზე გრძელი ეტაპის სიგრძე (ნანტიდან პარიზამდე, 1903 წელი);**
- **254 მრბოლელს უტარებია ლიდერის ყვითელი მაისურა - ოიგენ კრისტოფიდან (საფრანგეთი) ბრედლი უიგინსამდე (ბრიტანეთი);**
- **19-ჯერ ტურ დე ფრანსმა სტარტი უცხოეთში აიღო;**
- **2 023 300 ევრო - ასეთია წელს ტურ დე ფრანსის საპრიზო ფონდი. გამარჯვებული მიიღებს 450 ათას ევროს, თითო ეტაპის გამარჯვებული - 8 ათასს. ყველა პილოტი, რომელიც პარიზამდე მიაღწევს, 400 ევროს გამოიმუშავებს;**
- **წელს, „ტურ დე ფრანსის ქარავანში 4500 ადამიანი იქნება. ესენი არიან - ველოსაჯინიბოების წევრები, ორგანიზატორები, ლეგენდარული სარეკლამო ჯგუფის მონაწილეებს და პრესის წარმომადგენლები;**
- **ტურ დე ფრანსზე მუშაობს 14 ათასი ჟანდარმი. მათ შორის - 47 მოტოციკლი პრეზიდენტის პოლკიდან.**

● TV პროგრამა

### 29 ივნისი. შაბათი

#### GMG-ფეხბურთი

10:00 ევროპის ლიგა. ბორუსია (მ)-ლაციო.
12:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ნიურნბერგი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ფეიენოორდი.
18:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ვესტ ჰემი.
20:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰამბურგი-ვერდერი.
22:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერი-ნიუკასლი.
00:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
01:00 არგენტინის ჩემპიონატი. ფინალი. ველეს სარსფილდი-ნიუელსი (LIVE).

#### GMG-სპორტი 1

10:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ჰანოვერი.
12:00 კალათბურთი. ევროლიგა. ეფესი-პანათინაიკოსი.
14:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

### 30 ივნისი. კვირა

#### I არხი

22:50 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. მე-3 ადგილისთვის. ურუგვაი-იტალია. ბრაზილია (LIVE).
02:00 ფეხბურთი. კონფედერაციათა თასი. ფინალი. ბრაზილია-ესპანეთი. ბრაზილია (LIVE).

#### GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ფინალი. ველეს სარსფილდი-ნიუელსი.
12:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
13:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
14:00 გერმანიის ჩემპიონატი. შტუტგარტი-ბაიერნი.
16:00 ინგლისის ჩემპიონატი. ასტონ ვილა-ტოტენჰემი.
18:00 ევროპის ლიგა. ლივერპული-ზენიტი.
20:00 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-დორტმუნდი.
22:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ვიტესი-აიაქსი.
00:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ნიუკასლი.

#### GMG-სპორტი 1

10:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
11:00 ყაზახური ორთაბძოლები (LIVE).
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ტულუზი-ბენეტონი.
19:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი.
21:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
21:30 მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. დეტროიტ პისტონსი. 2003-04 წლები.
22:30 კალათბურთი. ევროლიგა. კახა ლაბორალი-ბეშიქთაში.
00:30 NBA ACTION.

#### GMG-სპორტი 2

10:00 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი.
14:30 ჩოგბურთი. უიმბლდონი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).

● ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ავსტრალია-თურქეთი | 1:2 |
| სალვადორი-კოლუმბია | 0:3 |
| საბერძნეთი-პარაგვაი | 1:1 |
| მალი-მექსიკა | 1:4 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ჰორსენსი-ესბერგი | 1:2 |
| ვეილე-ორჰუსი | 1:2 |
| კარლსრუე-ვიდეოტონი | 1:0 |
| სტ. გალენი-აალენი | 1:0 |
| კოშიცე-ზადარი | 1:2 |
| ყუბანი-კაპოშვარი | 5:1 |
| ურალი-შენიცა | 0:0 |
| ჰორნი-დ. სტრედა | 2:0 |
| ვინერი-ჰალადაში | 2:0 |
| პაისტი-ბრიუგე | 0:5 |
| ლოზანა-დინამო (მ) | 1:2 |
| პადერბორნი-ზალცბურგი | 2:7 |
| მუნსტერი-კიოლნი | 2:2 |
| რუზელარე-ანდერლეხტი | 1:2 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| დეგერფორსი-ასირისკა | 2:1 |
| **ირლანდია** | |
| დერი-ბოჰემიანსი | 2:1 |
| დროგედა-შემროკი | 0:3 |
| სტ. პატსი-ბრეი | 2:0 |
| უნივერსიტი-კორკი | 3:0 |
| შელბურნი-სლიგო | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ეთლონი-მერვუ | 3:0 |
| სოლტჰილი-ლონგფორდი | 1:1 |
| უოტერფორდი-ფინ ჰარპსი | 3:0 |
| **ლიტვა** | |
| სუდუვა-შიაულიაი | 3:0 |
| **პარაგვაი** | |
| ხენერალ დიასი-ლიბერტადი | 1:1 |
| **პერუ** | |
| ხუან აურიჩი-ხოსე გალვესი | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევრობასკეტი 2013** | |
| **ქალები** | |
| ბელარუსი-შვედეთი | 69:48 |
| ესპანეთი-სერბეთი | 88:69 |
| თურქეთი-საფრანგეთი | 49:57 |

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 19 | 32 | (მზე) |
| ქუთაისი | 21 | 33 | (მზე) |
| ბათუმი | 20 | 28 | (მზე) |
| ქობულეთი | 19 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 30 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 32 | (მზე) |
| გორი | 17 | 33 | (მზე) |
| თელავი | 18 | 31 | (მზე) |
| სიღნაღი | 17 | 30 | (ხანმ. წვიმა) |
| ბაკურიანი | 11 | 24 | (მზე) |
| ბორჯომი | 15 | 31 | (მზე) |
| მესტია | 12 | 30 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1512 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6515 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5237 |
| 100 რუსული რუბლი | 5.0233 |

● ველოსპორტი

# არმსტრონგი: ტურს უდოპინგოდ ვერ მოიგებ

ლეგენდარულმა და სკანდალურმა ამერიკელმა ველომრბოლმა **ლენს არმსტრონგმა** განაცხადა, რომ დოპინგის გარეშე ტურ დე ფრანსის მოგება შეუძლებელია. შეგახსენებთ, რომ ლენსმა აღიარა აკრძალული პრეპარატების გამოყენება და ამისთვის ტურის შვიდი ტიტული ჩამოერთვა.


ლენს არმსტრონგი

*„არარეალურია ტურ დე ფრანსის მოგება დოპინგის გარეშე. ტური - ეს არის შემოწმება ამტანობაზე, რომელშიც მთავარ როლს ჟანგბადი თამაშობს.*

*კარგია, რომ ჩემი გვარი ამოშალეს გამარჯვებულთა სიიდან, მაგრამ 1999-2005 წლებში რბოლა იმართებოდა, შესაბამისად, მას გამარჯვებული უნდა ჰყავდეს. ვინ არის ის? როგორც ჩანს, ვერავინ გაბედა ჩემს მიღწევებზე ხელის აღმართვა", - მოჰყავს არმსტრონგის სიტყვები ფრანგულ პრესას.*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მარეი იოლად იგებს, ჰაასიც კარგია


დიმიტროვი სლოვენიელთან დაეცა

ორი დღეა, ლონდონური წვიმა სერიოზულად აფერხებს უიმბლდონის მსვლელობას. გუშინ ტურნირზე მესამე რაუნდი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, სანამ ეს მოხდებოდა, წინა დღიდან გადმოტანილი მეორე წრის მატჩები იყო დასასრულებელი.

გუშინდელი სათამაშო დღის დროულად დაწყება წვიმის გამო არ მოხერხდა, თუმცა მოგვიანებით გამოიდარა და ჩოგბურთელები წინა დღეს დაწყებული მატჩების დასრულებას შეუდგნენ. ამ მხრივ, ყველაზე დიდ ინტერესს სლოვენიელი **გრეგა ჟემლიასა** და ბულგარელი **გრიგორ დიმიტროვის** მატჩი იწვევდა. შეხვედრა მაშინ შეწყდა, როცა მეხუთე სეტში ჟემლია 9:8 იყო დაწინაურებული, მოწოდებაზე კი ბულგარელი ჩოგბურთელი იდგა.

მე-18 გეიმში ხუთი გათამაშების შემდეგ, ჟემლიამ მატჩბოლი მიიღო (30:40), მაგრამ ისევ გაწვიმდა. ჩოგბურთელებმა კორტი არ დატოვეს, 12 წუთში კი თამაში განაახლეს და დიმიტროვმა გადაარჩინა გეიმი - 9:9. ახლა უკვე სლოვენიელს დაუდგა მძიმე მომენტი თავის მოწოდებაზე, მაგრამ 30:40-დან იხსნა თავისი გეიმი - 10:9. დიმიტროვმა ცუდად დაიწყო მეოცე გეიმი - 0:30 ჩამორჩა, შემდეგ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ რიგით მეექვსე მატჩბოლი მისცა მეტოქეს, რომელმაც ეს შანსი გამოიყენა - წინ გასულ ბულგარელს კარგი შემოვლითი დარტყმა შესთავაზა და რიგით 54-ე „ვინერსით" დაასრულა ოთხსაათიანი მარათონი. ჟემლიას შემდეგი მეტოქე არგენტინელი **ხუან მარტინ დელ პოტრო** იქნება.


ენდი მარეი

კიდევ ერთ გადადებულ შეხვედრაში გაირკვა მესამე წრეში **ნოვაკ ჯოკოვიჩის** მეტოქე - სერბი ამ ეტაპზე ფრანგ **ჟერემი შარდის** შეხვდება, რომელმაც 23 ეისის დახმარებით ოთხ სეტში მოუგო გერმანელ **იან-ლენარდ შტრუფს**.

ასევე მეორე მატჩს ატარებდა ტურნირზე გერმანელი **ტომი ჰაასი**. 35 წლის ჩოგბურთელი აგრძელებს ამ სეზონში ბრწყინვალე გამოსვლას. მან ტაივანელი **ჯიმი ვანგი** საათნახევარში გაანადგურა - 6:3, 6:2, 7:5. მთელი მატჩის განმავლობაში, გერმანელს არც ერთი ბრეიკ-პოინტის მოგერიება არ დასჭირვებია და 2009 წლის შემდეგ, პირველად გავიდა უიმბლდონის 1/16-ფინალში. ჰაასმა შესანიშნავი შემტევი ჩოგბურთი ითამაშა და 44 „ვინერსი" მიითვალა, ამასთან, მხოლოდ რვა უნებლიე შეცდომა დაუშვა. მესამე წრეში ტომი ესპანელ **ფელისიანო ლოპესს** შეხვდება, ვისაც ერთი კვირის წინ ისტბურნის ტურნირზე სძლია.

გუშინ, რეიტინგის TOP4-ის ორი წევრი ვიხილეთ კორტზე. მეოთხე ნომერი, ესპანელი **დავიდ ფერერი** მეორე წრის მატჩს თამაშობდა თანამემამულე **რობერტო ბაუტისტა აგუტის** წინააღმდეგ. ვერ ვიტყვით, რომ როლან გაროსის ფინალისტს იოლი მატჩი ჰქონდა. მან 43 წუთი მოანდომა პირველი სეტის მოგებას - 6:3, მეორე პარტია კი იმავე ანგარიშით დათმო. შეხვედრის კულმინაცია გახდა მესამე სეტი, სადაც ფერერმა უმნიშვნელოვანესი ტაი-ბრეიკი თავის სასარგებლოდ დაასრულა, ხოლო მეოთხე სეტში მე-11 გეიმში გააკეთა გადამწყვეტი ბრეიკი და გაჭირვებით გაიკვლია გზა მესამე რაუნდამდე, სადაც მისი მეტოქე უკრაინელი **ალექსანდრ დოლგოპოლოვი** იქნება.

■ ■ ■

გადავიდეთ მესამე წრის მატჩებზე. **როჯერ ფედერერის** ძლევის შემდეგ, უკრაინელ **სერგეი სტახოვსკის** არ გამოადგა „მოწოდება-ბადესთან გასვლის" სტილი ავსტრიელი **იურგენ მელცერის** წინააღმდეგ. თან, ამ უიმბლდონზე ერთ-ერთი მთავარი სენსაციის ავტორს ბევრი წუნი ჰქონდა. თუ ფედერერთან მატჩში მან პირველი მოწოდებით ქულების 72 პროცენტი აიღო და ბადესთან 65 პროცენტის სიზუსტით ითამაშა, გუშინ ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 65 და 58 პროცენტს უდრიდა.

სტახოვსკიმ მატჩის შემდეგ აღიარა, რომ მელცერი უფრო მეტ ბურთს უბრუნებდა, ვიდრე ფედერერი და თამაშის მსვლელობისას ტაქტიკის გადაწყობა მართებდა, მაგრამ ეს ვერ გააკეთა. პირველ სეტში გადამწყვეტი ბრეიკი მელცერმა მეტოქის დახმარებით აიღო, როცა უკრაინელმა ორი ორმაგი შეცდომა დაუშვა. სტახოვსკის ერთადერთი გამონათება მეორე სეტში ჰქონდა, რომელიც 30 წუთში მოიგო, მაგრამ მესამე პარტიიდან მელცერმა ისევ მრავალფეროვანი თამაში შესთავაზა მეტოქეს და მის უპირატესობაში ეჭვი არავის შეჰპარვია.

მელცერი მერვედფინალში პოლონელ **იერჟი იანოვიჩს** შეხვდება, რომელმაც 30 ეისი ჩააწოდა ესპანელი **ნიკოლას ალმაგროს** წინააღმდეგ და 7:6, 6:3, 6:4 მოიგო. ახალგაზრდა პოლონელი პირველად თამაშობდა უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე და პირველად გავიდა „დიდი სლემის" ტურნირის მეოთხე რაუნდში.

TOP4-ის მეორე წევრი, რომელსაც გუშინ მოუწია თამაშმა, ბრიტანელი **ენდი მარეი** იყო. ის გადახურულ ცენტრალურ კორტზე ეთამაშებოდა ესპანელ **ტომი რობრედოს** და ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო „მშრალი" ანგარიშით - 6:2, 6:4, 7:5. საინტერესოა, რომ ამ მატჩამდე ბრიტანელი 2:3-ს აგებდა ესპანელთან ურთიერთშეხვედრებში. რობრედომ ერთი ბრეიკის შესრულება შეძლო, რასაც ენდიმ ხუთი საკუთარი ბრეიკით უპასუხა. ბრიტანელს შესანიშნავი სტატისტიკა ჰქონდა - 9 ეისი, 40 „ვინერსი" და მხოლოდ 14 უნებლიე შეცდომა.

მარეის მეტოქე რუსი **მიხაილ იუჟნისა** და სერბი **ვიქტორ ტროიცკის** მატჩში უნდა გარკვეულიყო, მაგრამ ეს და კიდევ სამი მატჩი დღეისთვის გადაიდო.

### II წრე

**ჟერემი შარდი (საფ, 28)**-იან-ლენარ შტრუფი (გერ) 6:2, 5:7, 7:6(6), 7:6(4); **ტომი ჰაასი (გერ, 13)**-ჯიმი ვანგი (ტაივ) 6:3, 6:2, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 4)**-რობერტო ბაუტისტა აგუტი (ესპ) 6:3, 3:6, 7:6(4), 7:5; **ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრ, 26)**-სანტიაგო ხირალდო (კოლ) 6:4, 7:5, 6:3; **გრეგა ჟემლია (სლოვენ)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ, 29) 3:6, 7:6(4), 3:6, 6:4, 11:9.

### 1/16 ფინალი

**ადრიან მანარინო (საფ)**-დასტინ ბრაუნი (გერ) 6:4, 6:2, 7:5; **იერჟი იანოვიჩი (პოლ, 24)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 15) 7:6(6), 6:3, 6:4; **იურგენ მელცერი (ავსტრია)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:2, 2:6, 7:5, 6:3; **ენდი მარეი (ბრიტ, 2)**-ტომი რობრედო (ესპ, 32) 6:2, 6:4, 7:5.

## ქალთა ბადე ღარიბდება

გუშინდელი დღის შემდეგ, ქალთა ბადეს WTA-ის რეიტინგის ტოპ-ათეულის მხოლოდ ოთხი წევრი შემორჩა. ელიტიდან მორიგი მსხვერპლი **ანჟელიკ კერბერი** გახდა, რომელმაც თითქმის მოგებული მატჩი დათმო ესტონელი **კაია კანეპის** წინააღმდეგ. პირველ სეტში 0:3 ჩამორჩენის შემდეგ, კერბერმა ზედიზედ ექვსი გეიმი მოიგო და 6:3 გაიმარჯვა. მეორე სეტში საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ ესტონელმა პატარა სასწაული მოახდინა. კერბერი მე-13 გეიმში 5:1 დაწინაურდა და ორი ქულა აკლდა მოგებამდე, მაგრამ მომდევნო რვა გათამაშებიდან შვიდი კანეპის დარჩა და 8:6 მოიგო საჩოგბურთო ლატარია. კერბერმა სერიოზული ფსიქოლოგიური დარტყმა მიიღო და მესამე სეტში 0:3 ჩამორჩა, რის შემდეგაც მეტოქეს ველარ დაეწია - 6:3, 6:7, 3:6.


ლორა რობსონი

კანეპი შემდეგ ეტაპზე უაილ-ქარდის მფლობელ ამერიკელ **ელისონ რისკეს** შეხვდება, რომელმაც სამ სეტში მოუგო პოლონელ **ურსულა რადვანსკას** და დაამტკიცა ბალახის კორტების სპეციალისტის სტატუსი: 126-ე ჩოგანმა კარიერაში მე-13 მატჩი მოიგო - ცამეტივე ბალახის საფარზე.

**ენდი მარეის** გარდა, ბრიტანული პუბლიკა **ლორა რობსონმაც** გაახარა, რომელმაც უპრობლემოდ მოუგო **მარიანა დუკე-მარინოს** - 6:4, 6:1. ამ უკანასკნელმა მხოლოდ პირველ სეტში შეძლო ბრძოლა, როცა 2:5-დან მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხა, მეორე სეტში კი 1:6 განადგურდა.

### II წრე

**ლორა რობსონი (ბრიტ)**-მარიანა დუკე-მარინო (კოლ) 6:4, 6:1; **ელისონ რისკე (აშშ)**-ურსულა რადვანსკა (პოლ) 4:6, 6:3, 6:4; **კაია კანეპი (ესტ)**-ანჟელიკ კერბერი (გერ, 7) 3:6, 7:6(6), 6:3.

### 1/16 ფინალი

**მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-კამილა ჯორჯი (იტა) 6:4, 7:5; **კარინ კნაპი (იტა)**-მიშელ ლარშერ დე ბრიტუ (პორ) 7:5, 6:2; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ, 19)**-იუჯინ ბუშარი (კან) 7:5, 6:2; **კირსტენ ფლიპკენსი (ბელ, 20)**-ვესნა დოლონცი (სერ) 6:4, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა)**-ალიზ კორნე (საფ, 29) 0:6, 7:6(4), 6:2.

## ენდი სერენას წინააღმდეგ. ეს რეალურია?

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ბრიტანელმა **ენდი მარეიმ** ჟურნალისტებს განუცხადა იმის შესახებ, რომ წინააღმდეგი არ იქნება, თუ ქალთა ტურის პირველ ნომერთან, ამერიკელ **სერენა უილიასთან** ჩაატარებს საჩვენებელ შეხვედრას.

*„მზად ვარ სერენას წინააღმდეგ გავიდე კორტზე. მასთან ერთად არასოდეს მივარჯიშია, მაგრამ ის დაუჯერებელი სპორტსმენია. მიმაჩნია, რომ გულშემატკივრებისთვის საინტერესო იქნება, როგორ ითამაშებს მამაკაცი ქალის წინააღმდეგ.*

*ასეთი რამ ადრე უკვე მოხდა - ჯიმი კონორსი ჯონ მაკინროის წინააღმდეგ. რას იტყვის უილიამსი მატჩის ლას-ვეგასში ჩატარებაზე?"* - განაცხადა BBC-სთან კომენტარში ბრიტანელმა.

მარეის სურვილს მეორე დღეს გამოეხმაურა სერენა უილიამსი.

*„მან მართლა ასეთი რამ თქვა? ენდის ჩემთან თამაში უნდა? დარწმუნებულია ამაში? მხიარულება იქნება, თუმცა მეეჭვება, რომ თუნდაც ერთ ქულას ავიღებ. სინამდვილეში, მარეი ერთ-ერთი იმ ჩოგბურთელთაგანია, ვისთან თამაშიც არ მინდა.*

*თუმცა აქედან შეიძლება რაღაც გამოვიდეს. უბრალოდ, წესების მცირედი შეცვლა იქნება საჭირო. მაგალითად, ჩემთვის გაიზარდოს მოწოდების ზონა. გარდა ამისა, მის ნახევარზე აუტის ზონა დერეფნების მიღმა იყოს დაფიქსირებული"*, - მოჰყავს სერენას სიტყვები სააგენტო AP-ის.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38); მოადგილეები: ნიკოლოზ ნეფარიძე (577 74 89 21), გია ტუხაშვილი (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: თამუნა ყულუმბეგაშვილი.

1934 წლიდან გაზეთის ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), აწზორ ზასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გოდერძი ლენცი
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608